K 114394
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთნოგრაფიულ და ანთროპოლოგიურ
მეცნიერებათა VII მსოფლიო კონგრესისათვის

К VII Международному конгрессу
этнографических и антропологических наук

Au VII$^{ème}$ Congrès International des
Sciences Ethnologiques et Anthropologiques

ეროვნული ბიბლიოთეკა

Академия Наук Грузинской ССР

Институт истории им. И. А. Джавахишвили

Р. Харадзе, А. Робакидзе

# Сванское село в прошлом



ИЗДАТЕЛЬСТВО
«САБЧОТА САКАРТВЕЛО»
ТБИЛИСИ
1964

39 + 902.7(с)(=99.962.1)

K 114.394
3

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი

რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე

# სვანეთის სოფელი
# ძ ვ ე ლ ა დ



გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თბილისი
1964

ეროვნული
ბიბლიოთეკა

902.7 (с 41)
[909.7+394] (47·922)
6 259

საზოგადოებრივი რედაქტორები: პროფ. **ი. ანთელავა**
ისტორიულ მეცნ. კანდიდატი **მ. ჩართოლანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შესავალი

დასახლების ფორმა ისტორიულად ჩამოყალიბებული მთლიანობაა. დასახლების ერთეულის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მისი მთლიანობის საფუძველს შეადგენს საწარმოო ურთიერთობათა ესა თუ ის სახე მისთვის დამახასიათებელი საკუთრების ფორმით. პირველყოფილთემური წყობილების პირობებში დასახლების ერთეულის მთლიანობა სისხლით ნათესაობაში პოვებს გამოხატულებას, სოფლის თემის პირობებში — მეზობლობასა და ტერიტორიულ მთლიანობაში, ხოლო კლასობრივ საზოგადოებაში — საწარმოო ურთიერთობათა შესაბამის ფორმაში.

დასახლების ერთეული, მისი განვითარების ყველა საფეხურზე, წარმოადგენს გარკვეულ ერთობლიობას, რომელსაც ახასიათებს მოსახლეობის ძირითადი ბირთვის ეთნიკური ერთგვაროვნება და საერთო ენა, სამეურნეო ინტერესების თანხვედრილობა, ტერიტორიის ერთიანობა, კოლექტიური დაცვის აუცილებლობა. ეს ერთობლიობა გარკვეულ ასახვას პოვებს იდეოლოგიის ზოგ სფეროშიაც, საკუთრივ ხალხურ დღეობა-დღესასწაულებში, რწმენა-წარმოდგენებში, წეს-ჩვეულებებში, ხატ-სალოცავებში.

ამიტომაა, რომ დასახლების ძირითად ერთეულს ჩვენ განვიხილავთ როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებულს მოსახლეობისა და მისი ტერიტორიის მთლიანობას, რომელსაც ახასიათებს გარკვეული ერთობლიობა როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობასა და ეკონომიკაში, ასევე იდეოლოგიის ზოგ სფეროში[1].

---

[1] А. Робакидзе. К вопросу о формах поселения в Сванети. Краткие сообщения Института этнографии АН СССР, в. XXXIX, М., 1958, 52. პროფ. გ. ჩიტაიას განმარტებით „ცნება დასახლება ვარაუდობს: ადამიანთა საცხოვრებლისა და შრომის ადგილის მთლიანობას“ (გ. ჩიტაია. „დასახლების ტიპი მთიულეთში“, მსე, VI, თბ., 1953, 201); ასევეა ეს ცნება განმარტებული ზოგადი ხასიათის კომპენდიუმებში, რომელთა მიხედვით დასახლება წარმოადგენს საცხოვრებელი და შრომის ადგილის გაერთიანებას“... Vereinigung menschl. Wohn-und Arbeitsstätten“ (Der grosse Brockhaus, XVII, 1934, 382).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახლების ფორმის პრობლემა ეთნოგრაფიის ერთ-ერთი ტრადიციული პრობლემაა. მისდამი ინტერესი ადრე იჩენს თავს. მისი მეცნიერული შესწავლის ფუძემდებლად ითვლება ი. კოლი[1]. XIX ს-ის ბოლოს გამოდის ა. მეიტცენის მრავალტომეული, რომელიც ევროპის ხალხთა დასახლების ფორმათა საკითხისადმი არის მიძღვნილი[2]. ა. მეიტცენი არის ერთი პირველთაგანი, ვინც დასახლების ფორმა ისტორიული კვლევის წყაროდ გამოიყენა. მისი სიტყვით: „დასახლებისა და მიწის ნაკვეთების განლაგების უმთავრესი ნიშნები წარმოადგენენ უძველეს ფაქტობრივ ძეგლებს, რომლებიც გვაწვდიან ჩვენ ცნობებს ოდესღაც არსებული სასიცოცხლო მოთხოვნილების, ხალხური წარმოდგენებისა, ეკონომიური და პოლიტიკური იდეების შესახებ“[3]. იგი დაწვრილებით იხილავს ი. მოზერის, გ. ჰანსენის, ა. ჰაქსტჰაუზენის, ვ. როშერის, ფრ. ზეებომის, კ. ლამპრეხტის, გ. ლანდაუს და სხვათა ნაშრომებს[4], რომლებიც დასახლების ფორმათა საკითხს ეხება. თვითონ ა. მეიტცენი დასახლების ფორმას უკავშირებს სამეურნეო ყოფის თავისებურებას და ცდილობს დასახლების ნაციონალური ფორმის გამოვლინებას. ავტორის სიტყვით, მისი გამოკვლევა მიზნად ისახავდა „ალპების ჩრდილოეთით მდებარე ევროპის ეთნოგრაფიულ ოლქებში არსებულ დასახლებათა დახასიათებას მათი გეგმის (die Anlage), ფართობის განაწილების (die Besitzeintheilung), მეურნეობის წესის (die Wirtschaftweise) და უფლებრივი მდგომარეობის (die Rechtgestaltung) მიხედვით და ნაციონალურ წარმომავლობასთან მათ დაყვანას“[5].

სამეურნეო ყოფის თავისებურებათა შესაბამისად ა. მეიტცენი ასხვავებს დასახლების ორ ძირითად ფორმას: მარტოულა კარმიდამოს (die Einzelhof), რომელსაც ახასიათებს პირადი მფლობელობა მიწისა, და შეჯგუფულ დასახლებას (die Gewanndorf), რომლისთვისაც მიწის საერთო მფლობელობის ნიშნებია დამახასიათებელი[6]. დებულებას, რომ დასახლების ფორმას სამეურნეო ყოფის

---

[1] J. K o h l. Der Verkehr und die Siedlung der Menschen..., Dresden, 1841.

[2] A. M e i t z e n. Siedlung und Agrarwesen Westgermanen und Ostgermanen, der Kelten, Römer, Finnen und Slaven, B. B. I—III, Brl., 1895.

[3] А. М е й т ц е н. Формы расселения, «Очерки из экономической и социальной истории древнего мира и средних веков», Спб., 1899, 279; შდრ. თურნვალდის შეხედულებას, რომლის დაკვირვებით ცალკეულ დასახლებათა აგებულება ხშირად განსაცვიფრებელი სიზუსტით ასახავს მოსახლეობის პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას (Thurnwald. Siedlung, Reallexicon der Vorgeschichte, XX, Brl., 1928, 89).

[4] A. M e i t z e n. Siedlung und Agrarwesen..., I, 19—26.

[5] იქვე, II, 648.

[6] იქვე, 654, 658.

თავისებურება განსაზღვრავს, ხოლო ეს უკანასკნელი ბუნებაზეა დამოკიდებული, ა. მეიტცენი სხვა ნაშრომებშიც იმეორებს. მისი სიტყვით: „მოსახლეობის დასახლების ხასიათი სასოფლო-სამეურნეო მიზნებით მთლიანად დამოკიდებულია ქვეყნის ბუნებრივ პირობებზე“[1].

ა. მეიტცენის ნაშრომები გამოირჩევა უმდიდრესი ფაქტობრივი მასალით, დოკუმენტაციის სიზუსტით, ტერიტორიულად დიდი დიაპაზონით და ამით არის იგი ჩვენთვის გარკვეული ინტერესის შემცველი. მეთოდოლოგიურად იგი, რა თქმა უნდა, მოძველებულია, რადგან დასახლების ფორმათა თავისებურების ახსნას იგი ეძებს უშუალოდ მეურნეობის ფორმებში და მათ ნაციონალური წარმომავლობით ხსნის, იმის მაგივრად, რომ ამ საკითხების ახსნა საწარმოო ურთიერთობათა განვითარების დონეს დაუკავშიროს[2]. მიუხედავად ამისა, ა. მეიტცენის ზემოთ დასახელებული ნაშრომი მრავალი ათეული წლების მანძილზე დიდი გავლენით სარგებლობდა და დასახლების პრობლემაზე მუშაობის მიმართულებას განსაზღვრავდა.

ამის მაგალითია R. Mielke-ს ნაშრომი, რომელიც გერმანელების დასახლებას ეხება და ა. მეიტცენის ძირითად დებულებათა განვითარებას წარმოადგენს. რ. მილკეს კლასიფიკაცია დასახლების ფორმათა ოთხ ჯგუფს შეიცავს, კერძოდ: დაბლობისა (die Siedlung der Ebene), საშუალო სარტყელისა (die Mitteldeutsche Siedlung), მაღალმთიანეთისა (die Siedlung des Hochgebirges) და კოლონიებისა (die Mittel und Ostdeutsche Kolonialsiedlung). ყოველი ეს დიდი ჯგუფი თავის მხრივ ცალკე ქვეჯგუფებად იყოფა გერმანიის ძირითადი პროვინციების მიხედვით — საქსური, ფრიზული, ფრანკული, რეინული, ჰესური, ტურინგული, ელზასური, ვურტენბურგული და სხვა[3].

მაგრამ დასახლების ფორმათა განსაზღვრისას ცალკეული პროვინციების მიხედვით რ. მილკე მაინც ვერ ასცდა დასახლების ტოპოგრაფიის ძირითად ნიშნებს და ცალკეული პროვინციის შიგნით დასახლების ფორმები ამ ნიშნების მიხედვით დაალაგა, საკუთრივ—ქვედა საქსური დასახლების შიგნით მან გამოყო მარტოულა კარმიდამო (die Einzelhof), ჯგუფური სოფელი (das Haufendorf), წრისებრი სოფელი (das Runddorf), ქუჩებრი სოფელი (das Strassendorf) და ქალაქი (die Stadt).

---

[1] А. Мейтцен. Формы расселения..., 272.

[2] ა. მეიტცენის შეხედულებათა კრიტიკა, იხ. М. В. Витов. О классификации поселений, С. Э., 1953, № 3, 28—29.

[3] R. Mielke. Siedlungskunde des deutschen Völkes und ihre Beziehung zu Menschen und Landschaft, München, 1927.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Thurnwald-ი დასახლების ფორმებს ტოპოგრაფიული ნიშნებით განსაზღვრავს: წრისებრი (Runddorf), ქუჩებრი (Strassendorf) და მწკრივული (Reichendorf), ამასთან, საცხოვრებელ ნაგებობების თავისებურებას იგი მეურნეობას უკავშირებს და შესაბამისად მეურნეობისა შემდეგ ტომებს ასახელებს: „მოხეტიალეები“ (primitiwe Schweife), მესაქონლეები (Hirtennomaden), მიწათმოქმედნი (getreidebauende Stämme)[1].

B. Schnittger-ი, რომელსაც ჩვენ ს. კისელევის ნაშრომით ვიცნობთ, ნორვეგიისათვის ვარაუდობს დასახლების სამ ძირითად ტიპს, რომლებიც ასევე სამეურნეო ყოფის თავისებურებებით არის შეპირობებული, კერძოდ, მონადირე-მეთევზეების დასახლება (Lagerplätzen), მიწათმოქმედთა დასახლება (Dorfplätzen) და ხელოსანთა დასახლება (Werkstätten)[2].

დასახლების ფორმათა კლასიფიკაცია ეკონომიურ-გეოგრაფიული ნიშნების მიხედვით და ძირითადად რუსეთის მიმართ ვ. სემიონოვ-ტიან-შანსკის აქვს მოცემული. ამ მასალის საფუძველზე ავტორი ასხვავებს დასახლების სამ ტიპს:

1. ცენტრალური და ჩრდილო-დასავლური, უპირატესად მიწათმოქმედური,
2. ჩრდილოური, უპირატესად სამრეწველო ხასიათისა და სუსტად განვითარებული მიწათმოქმედებით,
3. სამხრული, მხოლოდ და მხოლოდ მიწათმოქმედური[3].

ს. კისელევი, არქეოლოგიური მასალის საფუძველზე, ასხვავებს ღია და დახურულ (ე. ი. დაცულ) დასახლებულ პუნქტებს, რომელთაგან შემდეგ ვითარდება სოფელი[4].

ნ. ვორონინის აზრით, დასახლების ძირითადი ერთეულები ფეოდალურ რუსეთში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით: დიდოჯახიანი დასახლებული პუნქტი (большесемейные городища), და ღია სოფელი (открытая деревня); იგი იძლევა ისეთი ტერმინების ანალიზს, როგორიცაა „პოგოსტი“, „სვობოდა“, „სელო“, „დერევნია“[5].

დასახლების პრობლემა რუსულ ეთნოგრაფიულ მასალაზე შესწავლილი აქვს მ. ვიტოვს. ავტორი ასხვავებს დასახლების ტიპს დასახლების ფორმისაგან;

---

[1] Thurnwald. Siedlung, დასახელებული გამოცემა, 89—94.

[2] С. Киселев. Поселение, РАНИОН, Институт археологии и искусствознания, Труды секции теории и методологии, т. II, М., 1928, 40—41.

[3] В. Семенов-Тян-Шанский. Город и деревня в европейской России, ЗРГО, т. X, в. 2, 1910, 13.

[4] С. Киселев. დასახელებული ნაშრომი, 52.

[5] Н. Воронин. К истории сельского населения феодальной Руси, ИГАИМК, 138, Л., 1935, 16—17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველის ქვეშ იგი გულისხმობს დასახლების სოციალურ-ეკონომიურ ბუნებას, ხოლო მეორის ქვეშ — მის გეგმას. შესაბამისად ამისა იგი ადგენს დასახლების შემდეგ ფორმებს:

I უწესრიგო ფორმები — 1. ჯგუფური სოფელი და 2. მცირეკომლიანი სოფელი.

II მწკრივული ფორმები — 1. მდინარისმიერნი, 2. ხევისმიერნი, 3. მზისმიერნი.

III დახურული ფორმები — 1. კუთხური, 2. მრგვალი და ოვალური.

IV ქუჩებრივი ფორმები — 1. ერთქუჩიანი, ორქუჩიანი, 2. რადიალური.

V დასახლების ახალი ფორმები[1].

მ. ვიტოვი ზემოთ მოტანილ კლასიფიკაციას პირობით მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ ამასთან ერთად მას აქვს გამოთქმული რიგი ანგარიშგასაწევი მოსაზრება. ვფიქრობთ, მართლაც უკეთესი იქნება დასახლების ტიპის ქვეშ ვიგულისხმოთ დასახლების ერთეულის სოციალურ-ეკონომიური სხვაობანი, ხოლო დასახლების ფორმის ქვეშ — მისი ტოპოგრაფიისა და სხვა გარეგანი ნიშნების თავისებურება. ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობდა დასახლების ერთეულის შესწავლის სწორად წარმართვას და ბოლოს დაუდებდა დასახლების ტიპების გაუმართლებელ სიჭრელეს. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მ. ვიტოვს მის იმ დებულებაშიაც, რომლითაც დაგმობილია ცალკე აღებული დასახლების ერთეულის შესწავლა და დასმულია საკითხი დასახლების ერთეულების ისეთი ჯგუფის კომპლექსური შესწავლის შესახებ, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბებულ მთლიანობას წარმოადგენს. მართლაცდა შეუძლებელი იქნებოდა მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგის მიღება დასახლების ტიპის ისეთი შესწავლით, რომელიც ცალკე აღებულ ერთ სოფელს მისთვის ორგანული თემისა, ხევისა თუ ეთნოგრაფიული ოლქისაგან მოწყვეტით განიხილავს, რადგან ყოველი ტიპიზაცია განზოგადოებას გულისხმობს, ხოლო ცალკე აღებული ერთი სოფელი ამის საფუძველს ვერ შექმნის.

საქართველოში დასახლების ფორმათა საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა შ. ჩოჩიამ[2]. მისი ნაშრომი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია საქართველოს ისტორიის ზოგადი მიმოხილვა, მეორე ნაწილში განხილულია დასახლების ფორმები საქართველოს ბარში, ხოლო მესამეში — დასახლების ფორმები მთაში. ზოგად მიმოხილვაში ავტორი, ქართული სამარ-

---

[1] М. Витов. О классификации поселений, С. Э., 1953, № 3; მისივე. Гнездовой тип поселения на русском севере, С. Э., 1955, № 2.

[2] Sch. Tschotschia. Agrarverfassung und Landwirtschaft in Georgien, Brl., 1927.

თლის ძეგლების მიხედვით, ადგენს ორი სახეობის დასახლებას — სოფელს და ქალაქს[1], რომელთა შორის უმთავრესი ინტერესის შემცველად მას სოფელი მიაჩნია. ამ შემთხვევაშიაც შ. ჩოჩია იმეორებს ა. მეიტცენის დებულებას სოფლის ტიპის დასახლების უპირატესი მნიშვნელობის შესახებ[2]. აქვე შ. ჩოჩია ავითარებს დებულებას, თითქოს საქართველოში არისტოკრატული ფენის დასახლება შერეული იყოს გლეხების დასახლებასთან.

მისი სიტყვით: „Die Höfe des Adels und der Bauern liegen verstrent untereinander"[3].

საქართველოს დიდი ნაწილის მიმართ ეს გარემოება არც ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება, არც წერილობითი წყაროების მონაცემებით. საამისოდ საკმარისი იქნებოდა ქსნის ერისთავთა ქრონიკის ცნობა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა დასახლების ადგილის შერჩევის დროს ბრძოლას „ჭევთა შუა მკვიდრობისათვის"[4]. იქ, სადაც წოდებრივი დიფერენციაცია ჩამოკვეთილი იყო, ეს გარემოება დასახლების ფორმაშიაც პოვებდა გარკვეულ გამოხატულებას.

ამავე ნაწილში შ. ჩოჩიას წარმოდგენილი აქვს მოსაზრება თითქოს საქართველოში დასახლების მხოლოდ ორი ფორმა არსებობდეს, საკუთრივ ე. წ. მარტოული, გაფანტული (die Einizelhofstreusiedlung) დასავლეთ საქართველოში, და დახურული, შეჯგუფული (die Sammelsiedlung) აღმოსავლეთ საქართველოში[5].

მთიელთა დასახლება (გარდა სვანეთისა) შ. ჩოჩიას აზრით, განფენილია (zerstrent)[6], რასაც ავტორი მესაქონლეობით ხსნის. შ. ჩოჩია განსაკუთრებით ჩერდება სვანთა დასახლების ფორმებზე და დიდ ყურადღებას აქცევს სვანურ სახლს მისი დაცვითი ფუნქციების გამო. ამასთან ერთად ავტორი ხაზს უსვამს სვანეთში დიდი ოჯახის არსებობას, ამით შეპირობებულ გარკვეული ტიპის სახლის ადგილს დასახლების სისტემაში, რომელსაც იგი უწოდებს საოჯახო დასახლებას (Familiensiedlung)[7].

---

[1] Sch. Tschotschia. დასახელებული ნაშრომი, 24.

[2] A. Meitzen. Siedlung und Agrarwesen..., II, 649.

[3] Sch. Tschotschia. დასახელებული ნაშრომი, 25

[4] ძეგლი ერისთავთა. შ. მესხიას გამ., „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკ. 30, თბ., 1954, 346.

[5] Sch. Tschotschia. დასახელებული ნაშრომი, 24.

[6] იქვე, 28.

[7] იქვე, 28—29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანგებოდ შეეხო საქართველოში დასახლების საკითხს ჰუგო ბერნატციკი, რომელმაც დასახლების ფორმათა ზოგადი კლასიფიკაციის წარმოდგენა სცადა. ჰ. ბერნატციკის მიხედვით საქართველოში დასახლების სამი ძირითადი ფორმაა — საქართველოს მთიანეთისა, რომელსაც კოშკური სახლები ახასიათებს, დასავლეთ საქართველოს განფენილი და აღმოსავლეთ საქართველოს მჭიდრო დასახლება[1]. ამ კლასიფიკაციის პრინციპი ჰ. ბერნატციკს დასაბუთებული არ აქვს.

საქართველოს მთიანეთის დასახლებას არა ერთგზის ეხება ს. მაკალათია[2].

დასახლების საკითხს მთიულეთში ერთი სოფლის მაგალითზე წერილი უძღვნა გ. ჩიტაიამ[3], ხოლო კახეთის დასახლებას, ასევე ერთი სოფლის მაგალითზე — გ. ჯავახიშვილმა[4].

შესაბამისად იმ ძირითადი დებულებებისა, რომლებიც შემუშავდა დასახლების ფორმათა შესწავლის პროცესში, ზოგ ქვეყანაში ჩამოყალიბდა ცოდნის გარკვეული საგანი, რომელსაც უწოდებენ დასახლების მცოდნეობას (die Siedlungskunde). იგი, თავის მხრივ, მოიცავს ისეთ დარგებს, როგორიცაა დასახლების გეოგრაფია (დასახლების ერთეულის ლანდშაფტური გარეგნობის შესწავლა მისი განლაგების, მდებარეობის, ფორმისა და სიდიდის მიხედვით) მის სტრუქტურულ და ფუნქციონალურ თავისებურებათა შუქზე; დასახლების ისტორია (დასახლების ერთეულის თანმიმდევრულ ფორმათა შესწავლა მათი განვითარების პროცესში); დასახლების არქეოლოგია (მიწის წიაღისეული დასახლებული პუნქტების გათხრა-შესწავლა); ნასახლარების შესწავლა; დასახლების მეურნეობრივი ორგანიზაცია; ხალხური ცოდნის გამოვლინება დასახლების შესახებ და სხვ.[5].

ზემოთ დასახელებულ ჩამოთვლაში დასახლების მრავალი მხარეა აღნიშნული, მაგრამ დასახლების ერთეულის საზოგადოებრივ საფუძვლებს ჯეროვანი ადგილი არ აქვს მიჩენილი, მაშინ როდესაც დასახლების ფორმა, როგორც ცნობილია, პირველყოვლისა, სოციალურ პრობლემას წარმოადგენს.

---

[1] H. Bernatzik. Die neue grosse Volkerkunde, II, 1954, 4.

[2] ს. მაკალათია. თუშეთი, თბ., 1933, 46—47; მისივე. ხევი, თბ., 1934, 63—64 და სხვ.

[3] გ. ჩიტაია. დასახლების ტიპი მთიულეთში, მსე, VI, თბ., 1953, გვ. 201—216.

[4] გ. ჯავახიშვილი. დასახლების ტიპი ს. შილდაში, მსე, X, თბ., 1959, 99—104.

[5] Der grosse Brockhaus. სიტყვასთან „Siedlungskunde", X, 1957, 698.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

საქართველოში ადრე ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი ცხოვრების მაღალ-განვითარებული ფორმები. ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე კოლხეთსა და იბერიაში იქმნება ადრემონათმფლობელური საზოგადოება, ხოლო ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში ადრეფეოდალური ურთიერთობა იმარჯვებს. ეს ხდება საქართველოს ბარში. საქართველოს მთამაღალში, ისევე როგორც ევროპის ალპებში თუ აზიის ჰიმალაებში, საზოგადოებრივი განვითარების პროცესი, ბართან შედარებით, თავისებურ პირობებში მიმდინარეობს. საქართველოს ბარში რომ ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა ( ჩვ. წ. IV ს-ე), მთა ჯერ კიდევ წარმართობდა, ხოლო საქართველოს ბარში რომ ბატონყმობამ საბოლოოდ გაიმარჯვა (XII ს-ე), მთაში ჯერ კიდევ თემი მძლავრობდა. ამის გამოა, რომ საქართველოს მაღალმთიანეთის ზოგ რაიონში ფეოდალურმა საზოგადოებამ ისე დათმო ადგილი, რომ დასრულებული სახე ვერ მიიღო. ადრეფეოდალური ურთიერთობა კი წინაფეოდალური სოციალური ინსტიტუტების გადმონაშთური ფორმების აქტიურ არსებობას გულისხმობდა.

საქართველოს მთიანეთში, განსხვავებით ბარისაგან, სადაც ფეოდალური ურთიერთობანი ადრემონათმფლობელური საზოგადოების წიაღში იქმნებოდა, ფეოდალიზმი ყალიბდებოდა უშუალოდ თემური წყობილების რღვევის ნიადაგზე. ე. წ. მთური ფეოდალიზმის ბუნების გაგებისათვის ეს გარემოება პრინციპული მნიშვნელობისაა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ფეოდალურ საზოგადოებას საქმე აქვს თემური წყობილების არა იმ ინსტიტუტებთან, რომელთაც გამოიარეს მონათმფლობელური ფორმაცია და სათანადო ცვლილება განიცადეს, არამედ წინაკლასობრივი საზოგადოებიდან უშუალოდ მომდინარე ინსტიტუტებთან. მსგავსი მოვლენა სხვა შემთხვევებისათვისაც არის შენიშნული[1]. ეს გარემოება იყო ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ასაზრდოებდა მთაში თემური საზოგადოების გადმონაშთების ქმედითობას ფეოდალური წყობილების არსებობის თითქმის მთელ მანძილზე.

ფეოდალური მონარქიის დარღვევამ და ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის მოშლამ იმ დროს მოუსწრო საქართველოს, როდესაც მთაში ფეოდალიზაციის პროცესი ჯერ არ იყო დასრულებული. ეს გარემოება თავის მხრივ ხელს უწყობდა მთიელთა სეპარატიზმს და წარმოადგენდა მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც საჭირო ნიადაგს უქმნიდა საქართველოს მთიანეთში სოციალურ ურ-

---

[1] М. Сюзюмов. К вопросу об особенностях генезиса и развития феодализма в Византии, «Византийский Временник», т. XVII, М., 1926, 3—4, 8—10.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თიერთობათა წინაფეოდალური ფორმების არა მარტო შემონახულობას, არამედ ხშირად მათ გალვანიზაციასაც.

მაგრამ საზოგადოებრივი ურთიერთობის გადმონაშთური ფორმების ესოდენ ხანგრძლივი არსებობის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენდა მათი ის აქტიური როლი, რომელსაც ისინი ასრულებდნენ ფეოდალური საქართველოსათვის დამახასიათებელი მწვავე სოციალური ბრძოლის პროცესში. ჯერ კიდევ ფ. ენგელსი წერდა გერმანიის, საფრანგეთისა და ინგლისის შესახებ, რომ სამარკო თემი, რომელსაც იგი უწოდებს „ნამდვილი გვაროვნული წყობილების ნაშთს", შუა საუკუნეების უმკაცრესი ბატონყმობის პირობებშიაც გლეხთა ხელში წარმოადგენდა ლოკალური შეკავშირების შესაძლებლობას და წინააღმდეგობის გაწევის საშუალებას[1]. უფრო მეტის თქმაც შეიძლება. კ. მარქსის სიტყვით, თემური მიწათმფლობელობა ფეოდალიზმის საფარველის ქვეშ განაგრძობდა არსებობას[2]. ვ. ლენინი პირდაპირ მიუთითებდა, რომ გლეხური მიწათმფლობელობის ფორმები წარმოადგენს კომპრომისს თემურ და კერძო მიწათმფლობელობას შორის[3]. თემური ყოფის ცალკეულ ინსტიტუტებს თავის ინტერესებში ფეოდალებიც იყენებდნენ.

ბურჟუაზიული ისტორიკოსების მცდელობამ დაესაბუთებინათ ის აზრი, თითქოს XIX ს-ში ფიქსირებული თემური მიწათმფლობელობის ფორმები ახლად შექმნილი ინსტიტუტია, თავის დროზე მიიღო ღირსეული პასუხი. 1868 წელს კ. მარქსი წერდა ფ. ენგელსს, რომ შეცდომაა ვიფიქროთ, თითქოს რუსული ობშჩინა გლეხთა გადასახლების აკრძალვის შედეგად აღმოცენდა; მისი აზრით, რუსული ობშჩინა უძველესი გერმანული ობშჩინას სრული ანალოგია[4]. იგივე აზრია გატარებული კ. მარქსის წერილში ნ. დანიელსონის მიმართ[5]. ფ. ენგელსი პირდაპირ მიუთითებდა კ. კაუცკისადმი მიწერილ წერილში, რომ იქ, სადაც არსებობს მიწის საერთო საკუთრება, ეს არის აუცილებლად ძველთაგან მომდინარე მოვლენა[6].

მცდელობას, რომ XIX ს-ში დამოწმებული თემური მიწათმფლობელობის ფორმები შეფასებულიყო როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების პროდუქ-

---

[1] ფ. ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1953, 215.

[2] კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, 99 (ორიგინალშია: unter der Decke der Feodalität; K. Marks. Das Kapital, I, M., 1932, 763, ხოლო ქართულ თარგმანში „ფეოდალიზმის მფარველობის ქვეშ").

[3] Ленинский Сборник, XIX, 31.

[4] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, XXIV, 126—127.

[5] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, XXVI, 828—829.

[6] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, XXVII, 290—291.

ტი, საქართველოშიც ჰქონდა ადგილი. ამ ტენდენციის გამომხატველი იყო, მაგალითად, ი. სეგალი[1]. ი. სეგალის ამ შეხედულებათა ბურჟუაზიული ხასიათი ჩვენს სპეციალურ ლიტერატურაში საკმაო დამარწმუნებლობით არის მხილებული[2].

მაშასადამე, საქართველო ამ მხრივ არ შეიძლება ჩაითვალოს გამონაკლისად. საქართველოშიაც სოციალური ძვრების ქარტეხილებში მწარმოებლური ფენების ერთ-ერთი იარაღი იყო ბრძოლა სათემო მიწათმფლობელობისა და თემური მმართველობის შენარჩუნებისათვის. მთასა და ბარს შორის ფეოდალიზმის მთელს მანძილზე არსებული წინააღმდეგობაც, წყაროების სიტყვით რომ ვთქვათ, ასეთი „ბორგვნეულობაც“, ამ თვალსაზრისით, სოციალური ბრძოლის გამოვლინება იყო. ამ ბრძოლაში ფეოდალიზმი უპირისპირდებოდა მთიელთა საზოგადოებრივ ყოფას, რომელშიაც წინაფეოდალურ სოციალურ ინსტიტუტებს ზოგჯერ წამყვანი ადგილი ეჭირათ. მთიელთა მიერ რიგი წინაფეოდალური ინსტიტუტის მეტ-ნაკლები დაცულობა ამ ბრძოლაში მთიელთა მეტ-ნაკლებ წარმატებაზე მიუთითებდა.

ასე იყო ყველა მთიან ქვეყანაში, ასევე იყო საქართველოშიაც. და როდესაც ქართველი გლეხი ამბობდა, „მთასა და ბარს რა გაასწორებსო“, ის, რა თქმა უნდა, გეოგრაფიაზე არ ფიქრობდა; იგი პირველ ყოვლისა გულისხმობდა იმ სხვაობას, რომელიც ახასიათებდა მთისა და ბარის მოსახლეობის სოციალურ ცხოვრებას.

სოციალურმა ბრძოლამ საზოგადოებრივი ცხოვრების გადმონაშთურ ფორმებს ახალი სული ჩაბერა და ამხედრებული ხალხის ხელში მძლავრ იარაღად აქცია. ეს იყო უმთავრესი ისტორიული ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო მრავალი არქაული სოციალური ინსტიტუტის გადმონაშთური ფორმის ხანგრძლივ შემონახულობას. ამ გარემოებამ თავის მხრივ შექმნა შესაძლებლობა დასახელებული გადმონაშთური ფორმების გამოყენებისა, რა თქმა უნდა, მათი პრეპარაციის სათანადო წესების დაცვით, საზოგადოებრივი განვითარების ადრინდელი ფორმების შესწავლის დროს.

სვანები წარმოადგენენ ერთ-ერთ ძირითად ეთნიკურ მასივს, რომელიც ქართებთან და ზანებთან ერთად საფუძვლად დაედო ქართველი ხალხის ჩამოყალიბების პროცესს. სვანეთმა ადრევე მოიპოვა მკვიდრი ადგილი ქართველი ხალხის ისტორიაში. სვანეთის ეს მნიშვნელობა კარგად ჩანს თუნდაც იმ ადგილი-

---

[1] И. Сегаль. Крестьянское землевладение в Закавказье, Т., 1912, 55—56.

[2] პ. გუგუშვილი, თემური მიწათმფლობელობა ამიერკავკასიაში, ეკონომიკის ინსტიტუტის „შრომები“, I, თბ., 1947, 36.

დან, რომელიც დაეთმო სვანეთის საკითხს საქართველოს გარშემო ატეხილ ბიზანტია-ირანის ხანგრძლივსა და დაუნდობელ ბრძოლაში (ჩვ. წ. VI ს-ე).

ადრეფეოდალურ ხანაში სვანეთი წარმოადგენდა ეგრისის ნაწილს, ხოლო განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში სვანეთის ერისთავს გაერთიანებული საქართველოს მეფე ნიშნავს. ამ დროსაც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში სვანეთს დიდი ადგილი უჭირავს[1].

სვანეთი საქართველოს მაღალმთიანეთს განეკუთვნება და საქართველოს აშლილობამ აქაც თემური ყოფის ჯერ კიდევ ცოცხალ ფორმებს მოუსწრო. გვიანფეოდალურ ხანაში, სვანეთი საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად, სეპარატიზმის გზას დაადგა, მაგრამ მთლიანი და დამოუკიდებელი სამთავროს სახე, ზემოთ აღნიშნული თავისებურების გამო, ვერ მიიღო — ქვემო სვანეთი სამეგრელოს სამთავროს ფარგლებში აღმოჩნდა, ბალსქვემო სვანეთში დადეშქელიანები გამთავრდნენ მათი „მთავრობის“ სერიოზული შეზღუდვის პირობით, ხოლო ბალსზემომ ფეოდალთა მიმძლავრებისაგან თავი დაიცვა. ამის გამოა, რომ სვანეთის ამ ნაწილს ქართულად „უბატონო“ ეწოდება, სვანურად — „უფუსდო“, ხოლო რუსულად—„безгосподские“.

დასახელებული თავისებურების შედეგად სვანეთის სხვადასხვა კუთხეში დასტურდება ერთი და იგივე სოციალური გაერთიანების სხვადასხვა გადმონაშთური ფორმები, რომლებიც განვითარების თანმიმდევრულ საფეხურს ასახავენ და ამდენად მოცემული ინსტიტუტის შესწავლის შესაძლებლობას გვაძლევენ მისი განვითარების პროცესში.

ამ რიგის სოციალურ გაერთიანებათა შორის სვანეთში, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია „ქევ“, „სოფელ“ და „ლასკარ“.

* * *

მასალა ცალკეულ თავებს შიგნით დალაგებულია სამ ძირითად ნაწილად: ბალსზემო, ბალსქვემო და ქვემო სვანეთი. მასალის ამრიგად დალაგებას, ჩანს, დასაბუთება ესაჭიროება, რადგან ზოგჯერ უპირატესობა ეძლევა სვანეთის ეთნოგრაფიული მასალის კვლავ ერთობლივად განხილვას ლოკალურ თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე. კულტურულ-ისტორიული საკითხების შესწავლისადმი ასეთი მიდგომა ჩვენ მართებულად არ გვეჩვენება; მისი მცდა-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორია XIII—XIV სს. (კონსპექტი), სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1938, ტ. II, 298—299.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობა კარგად მოჩანს როგორც ეთნოგრაფიულ, ასევე ენობრივ მონაცემებში; იგივე ითქმის იმ მასალის შესახებ, რომელიც სვანურ ეთნონიმიკას ასახავს. სვანთა ეთნონიმიკის თვალსაზრისით ამ საკითხს თავის დროზე ნ. მარმა მიაქცია ყურადღება[1].

ნ. მარი წერს, რომ ეთნონიმი სვანი სვანურში სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი, საკუთრივ: mu-шwan; mu-шwni; шwän. აქვე იგი დასძენს, რომ ეთნონიმის სვანური ფორმა шwan, არ ეგუება სვანურის ნორმებს. ნ. მარი წერს: „Сама сванская форма ш w a n безусловно не сванская так как wa в данном случае восходит к „o“, как указывает его двойник son..., а „o“ в сванском развивается не в группу wa, а в группу we“. ოციოდე წლით გვიან ნ. მარი კვლავ შენიშნავდა, რომ „... и в отношении даже одной Свании мы в сомнении — один ли общественный тип мы имеем в ее обитателях“ [2].

დასახელებულ საკითხთან კავშირში ბ. ნიჟარაძემ ყურადღება მიაქცია წონა-ზომის ერთეულების სხვადასხვაობას სვანეთის სამივე ჩვენს მიერ დასახელებულ კუთხეში. ბ. ნიჟარაძის ცნობების მიხედვით, ბალსზემო სვანეთის „საზოგადოებებში“, კერძოდ, ლენჯერსა და ლატალში ერთ ქცევას ოთხი ნ ა ლ ჯ ო მ ი უდრის, ბალსქვემო სვანეთში, საკუთრივ ეცერში ერთი ქცევის შესატყვისად ც ხ ვ ა დ ი შ - ს მიიჩნევენ, ხოლო ქვემო სვანეთში ამავე ზომის ექვივალენტს ლ ა დ ღ ი შ წარმოადგენს.

იგივე ითქმის საწყავების შესახებ; ძირითად საწყაოს ბალსზემო სვანეთში ლ ე რ ქ ვ ა შ ეწოდება, ბალსქვემოში — ზ ე ქ ა, ხოლო ქვემოში ლ ა ზ ე მ[3].

რა თქმა უნდა, ეს განსხვავებანი მხოლოდ ენობრივი არ არის — ისინი ეთნოგრაფიული ხასიათის სხვაობასაც გამოხატავენ.

1833 წლის 4 იანვრის მოხსენებაში გორიხვოსტოვის მისამართით სვანების შესახებ ნათქვამია, რომ ისინი განიყოფებიან სამ ნაწილად: ცხენისწყლის, ზემოენგურისა და ქვემოენგურის სვანებად[4].

---

[1] Н. Марр. Из поездок в Сванию (летом, 1911 — 1912 гг.), «Христианский Восток», т. II, в. 1, Спб., 1913, 31—32.

[2] ნ. მარის წინასიტყვაობა ბ. კოვალევსკის წიგნისა. В стране снегов и башен, Л., 1930, 8; შდრ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. მისიმიანთა ტომი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომები“, I, ტფ., 1936, 280.

[3] ბ ე ს ა რ ი ო ნ ნ ი ჟ ა რ ა ძ ე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, 124.

[4] ЦГИА Груз. ССР. ф. ОВД, д. 7, лл. 31—32, 80; ЦГВИА, ф. ВУА, д. 18505, л. 14.

ი. ივანიუკოვი და მ. კოვალევსკი ამ საკითხთან დაკავშირებით წერდნენ, რომ სვანეთს მისი ისტორიული ბედიღბლის მიხედვით ყოფენ სამად: თავისუფალ, სადადეშქელიანო და სადადიანო სვანეთად[1]. ათიოდე წლის შემდეგ უვაროვაც შენიშნავდა სვანეთის სამად დაყოფას ზემოთ აღნიშნული ნიშნების მიხედვით[2].

კიდევ ათიოდე წლის შემდეგ ს. ესაძე, ისტორიულ ნაშრომებზე დაყრდნობით, იმავე გარემოებაზე მიუთითებდა[3]. ასევე უყურებს ამ საკითხს ს. ავალიანიც[4].

სასოფლო-სამეურნეო თავისებურებათა თვალსაზრისით ა. კალვეიტმა ზემო სვანეთში სამი სხვადასხვა რაიონი გამოჰყო, საკუთრივ აღმოსავლეთისა, ცენტრალური და დასავლეთისა[5].

ამ საკითხზე საგანგებოდ ჩერდება ექვთიმე თაყაიშვილი. იგი წერს: „თავისუფალი სვანეთი შეადგენს ერთს ნაწილს ზემო სვანეთისა. გეოგრაფიულად ზემო სვანეთი შეიცავს მდინარე ენგურის ხეობის სათავედან სამეგრელოს საზღვრამდის, ისტორიულად ზემო სვანეთი იყოფა ორ ნაწილად: თავისუფალ სვანეთად, სადაც განსაზღვრულ დროიდან მოსპობილ იქნა ხელისუფლება სვანთა ერისთავისა და თავად-აზნაურთა, და სათავადო ანუ სადადეშკელიანო სვანეთად, სადაც დადეშკელიანებმა შეინარჩუნეს ბატონობა უკანასკნელ დრომდის“[6].

ამავე აზრს იზიარებს ბ. დეგენ-კოვალევსკი, რომელმაც სვანეთის დასახლების საკითხს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა. მისი სიტყვით, სვანეთი ისტორიულად განიყოფება სამ ნაწილად: ქვემო სვანეთი, ზემო სვანეთი და თავისუფალი სვანეთი[7].

თანამედროვე გამოკვლევებში სვანეთის ცალკეული კუთხეების ამ რიგის გაგება საყოველთაოდ არის აღიარებული[8].

---

1 В Сванетии. Из путешествия И. Иванюкова и М. Ковалевского, «Вестник Европы», 1886, т. V, кн. 8, 574.

2 Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию гр. Уваровой, МАК, X, М., 1904, 26.

3 С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом, Т., 1907, II.

4 С. Авалиани. Крестьянский вопрос в Закавказье, II, Од., 1913, 46.

5 Э. Кальвейт. Очерк сельского хозяйства Верхней Сванетии, ЗКОРГО, XXVI, Т., 1911, 4.

6 ექ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, 135.

7 Б. Деген-Ковалевский. Сванское селение как исторический источник, С. Э., 1936, 1, 4—5, 22.

8 Документы по истории Грузии (1862 — 1917), под ред. Ш. Чхетиа, т. 1, Т., 1914, XXXVIII—XXXIX.



ეროვნული ბიბლიოთეკა
K 114.394 3
ქ. მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სავსებით უპასუხებს თვით სვანების წარმოდგენას ამ საკითხზე — ზემო სვანეთში განასხვავებენ **ჩუბე ხევს** და **ჟიბე ხევს**, რაც „ბალსქვემო“ და „ბალსზემო“ ან „სადადეშკელიანო“ და „თავისუფალ“ სვანეთს შეესატყვისება.

ამ საკითხზე ჩვენ საგანგებოდ ვჩერდებით იმიტომ, რომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მასალის სწორად გაგებისათვის.

ისტორიულად ჩამოყალიბებული სამი ძირითადი კუთხე სვანეთისა XIX ს-ის ეთნოგრაფიული მასალებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით, საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების სამ სხვადასხვა დონეს წარმოადგენს. ეს გარემოება, ბუნებრივია, თავს იჩენს კულტურისა და ყოფის სხვადასხვა მხარეში. დასახლების ფორმა არ შეიძლება ნეიტრალური აღმოჩნდეს ამ გარემოების მიმართ. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ დასახლების ფორმა წარმოადგენს ყოფის იმ მხარეს, რომელიც ამ დონეთა განსხვავებას გარკვეულად ასახავს. სვანური მასალისადმი დიფუზურ მიდგომას არა ერთი შეცდომა მოჰყოლია შედეგად. ასე, მაგ., ბ. დეგენ-კოვალევსკი, ახასიათებს რა საერთოდ სვანური დასახლების ტოპოგრაფიას, შენიშნავს დასახლების ფორმათა იგივეობას მთელს სვანეთში და მის იმ თვისებებს, რომლითაც სვანეთის სხვადასხვა კუთხის დასახლებული პუნქტები ერთმანეთს გვანან[1].

აქვე ავტორი აკრიტიკებს ერთი მხრით მ. კოვალევსკის — რატომ თქვა, რომ სვანეთში ხუტორული დასახლება გვხვდებაო და მეორე მხრით რ. ერისთავს — რატომ ამბობს, სვანები შემაღლებულ ადგილებზე სახლდებიანო.

ბ. დეგენ-კოვალევსკის ზემოთ მოტანილ შეხედულებაში ის რაც სწორია, მეტის-მეტად ზოგად ხასიათს ატარებს. ეს ნიშნები საერთოდ მთური დასახლებისათვის არის დამახასიათებელი და საკუთრივ სვანეთისათვის ცოტას მთქმელია. ამიტომაა, რომ ავტორი იძულებულია ყველა თავის განსაზღვრებას გამონაკლისები დაურთოს და სწორედ ეს გარემოება უჩვენებს ამ განსაზღვრებათა არასისრულეს.

მეორეს მხრივ, იქ, სადაც ავტორი ეხება მ. კოვალევსკის ცნობას სვანეთში ისეთი დასახლების არსებობის შესახებ, რომელიც საკარმიდამო დასახლებას უახლოვდება, იგი არასწორად აკრიტიკებს მას, რადგან არ ითვალისწინებს, რომ საკარმიდამო კომპლექსი სვანეთში ერთი ტიპისა არ არის, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება უშკულური და ხელედური საკარმიდამო კომპლექსის გაიგივება, რომ მეორე პირველის განვითარებას წარმოადგენს ახალ საზოგადოებრივ და ბუნებრივ პირობებში.

---

[1] Б. Деген-Ковалевский. დასახელებული ნაშრომი, 26—27.

იგივე შეიძლება ითქვას დასახლების ფორმის შესახებ. ქვემოთ მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალა თვალნათლივ უჩვენებს, რომ დასახლების ფორმა სვანეთის ყველა კუთხეში ერთი არ არის, რომ დასახლების ფორმებიც განვითარების თანმიმდევარი, მაგრამ სხვადასხვა საფეხურების სახით არის წარმოდგენილი და ამ ნაირსახეობათა უკიდურესი ფორმები ვერ განეკუთვნებიან ერთს ტიპს, თუმცა გენეტურად ერთმანეთთან არიან დაკავშირებული.

ასეთივე ვითარება შეინიშნება საკუთრივ სახლისა და ყოფის სხვა ელემენტების მიმართ.

ამიტომაა სწორედ საჭირო კონკრეტული მასალა თავებს შიგნით წარმოდგენილი იყოს სვანეთის სამი ზემოთ დასახელებული კუთხის თავისებურებათა შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# I. დასახლების ფორმები სვანეთში

## 1. ბალსზემო სვანეთი

ბალსზემო სვანეთში, რომელიც მოთავსებულია მდ. ენგურის ზედა წელისა და მისი შენაკადების ვიწრო ხეობებში, ხევი ძირითადად განლაგებულია კავკასიონის ქედის სამხრეთ მხარეზე, და აგრეთვე, ნაწილობრივ, სვანეთის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე, როგორც წესი, მდინარე-ღელეების ნაპირას, ბუნებრივ ტერასებზე. ამის გამო, ხევის დასახლებული ტერიტორია მდინარის გასწვრივ არის გამართული. ეს არის სვანური ხევის ძირითადი დამახასიათებელი მხარე. ამ მხრივ ყველაზე ტიპიურია უშკული; ასევეა განლაგებული მესტია, მულახი და სხვა.

ხევი შედგება რიგი ტერიტორიულად მეტ-ნაკლებად გამიჯნული სოფლისაგან, შედარებით მცირერიცხოვანი მოსახლეობით. დასახლება, როგორც წესი, შეჯგუფულია და დაფერდებულად (მულახი) ან ტერასისებურად (უშკული) განლაგებული. იგი შედგება სამოსახლოებისაგან, რომელთა სახმარი მიწა დასახლების ხაზს გარეთ არის მოქცეული. საკარმიდამო ბოსტნებს, როგორც ცნობილია, სვანეთში ხანგრძლივი ისტორია არ აქვს. საკუთრივ სახნავი მიწა (დ ა ბ)[1] სოფლის ტერიტორიას ემიჯნება, მას მოსდევს სათიბი (ლ ა რ ე) და სოფლის საძოვარი (ლ ა ჩ ӧ ხ ვ), ხოლო შემდეგ ტყე (ც ხ ე კ) და საზაფხულო საძოვარი (ლ ა ხ ვ).

ყოველი ხევის ტერიტორია მეზობელი ხევის ტერიტორიისაგან მტკიცედ არის გამიჯნული ბუნებრივი საზღვრებით. ამ ბუნებრივ საზღვრებს შორის მოქცეული ფართობი სახმარი მიწის ყველა სახეობათა მეტ-ნაკლებად ზომიე-

---

[1] სახნავი მიწის სვანური სახელწოდება დ ა ბ უკავშირდება ძველ ქართულ დ ა ბ ა-ს დასახლებული პუნქტის მნიშვნელობით (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული სამართლის ისტორია, I, თბ., 1928, 140). ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით „დაბაჲ“-ს პირვანდელ ფორმას წარმოადგენს მისი მრავლობითი რიცხვი „დაბანი“. ასევე მრავლობითი რიცხვის სვანური სუფიქსით არის გაფორმებული მესტიის სახმარი მიწის ყველაზე დიდი ნაკვეთის სახელწოდება — „დაბარ“ // „დაბდერ“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რი თანაშეფარდების შესაძლებლობას იძლევა. ხევის ტერიტორია უმცირესი გეოგრაფიული ერთეულია, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ხევის, როგორც დასახლებული პუნქტის, საცხოვრებელ და სამეურნეო პირობათა მთლიანობას.

ხევის ეს ტოპოგრაფიული ნიშნები კარგად მოჩანს მესტიის მაგალითზე, რომელიც ამჟამად სარაიონო ცენტრს წარმოადგენს, დასახლების მრავალ ახალ ელემენტს შეიცავს, მაგრამ ამასთან ერთად, არქაული ნიშნების მატარებელიც არის.

მესტია მდებარეობს ზ. დ. 1300 — 1500 მ სიმაღლეზე; განსხვავება სიმაღლეში დასახლებული ფართობის უკიდურეს პუნქტებს შორის ერთ კილომეტრზე დაახლოებით 200 მეტრს აღწევს. მესტიის ხევში შედის ოთხი სოფელი: ლეხთაგ, სეტ, ლანჩვა̈ლ და ლაღა̈მ, რომლებიც ცალკე უბნებისაგან შედგება, საკუთრივ ლეხთაგი — ქიბე და ჩუბე ლეხთაგ, სეტი — სანა̈კ, ეჩხა̈ნ-ტაფ, ამხან-ტაფ და ნესგა̈-უბა̈ნ, ხოლო ლანჩვალი — მარგიანალ და ჩუბე ლანჩვალ. ს. ლაღამი ცალკე უბნებად აღარ იყოფა.

მესტიის თითქმის ყველა ზემოხსენებული სოფელი მთის ფერდობზეა განლაგებული. ეს სოფლები ერთი ბოლოთი მდ. მესტია-ჭალის მარჯვენა ნაპირს ებჯინება, ხოლო მეორეთი ფერდობს აჰყვება. სოფლები (ლაღამს გარდა, რომელიც დაახლოებით ერთი კილომეტრით არის დაცილებული მესტიას), იმდენად ახლო მდებარეობს ერთმანეთთან, რომ მათ შორის ამჟამად საზღვრის დანახვა ძნელია. ბუნებრივია, რომ ძველად, როდესაც მესტიის მოსახლეობა ნაკლები იყო, ამ სოფელთა შორის საზღვარი უკეთ შეიმჩნეოდა.

მესტიის ოთხივე სოფელი სასოფლო გზების საშუალებით გამოდის მთავარ საგზაო მაგისტრალზე, რომელიც მესტია-ჭალის გასწვრივ მიემართება. გარდა ამისა, სასოფლო გზებით ეს სოფლები ერთმანეთს უკავშირდება. სახნავ-სათიბი და ტყე სოფლებთან სამარხილე გზებით არის დაკავშირებული, ხოლო საძოვრები — ბილიკებით.

ლეხთაგისა და ლაღამის მოსახლეობა ლეხთაგი-ტვიბიდან და ლაღამი-ტვიბიდან იღებს წყალს, სეტის მოსახლეობა მესტია-ჭალით სარგებლობს, ხოლო ლანჩვალს თავისი წყარო აქვს. მესტიაში მოიპოვება სხვადასხვა სახის მინერალური წყალი (ს გ ი მ), რომელსაც მოსახლეობა სამკურნალოდ იყენებს. მესტიას თერმული წყალიც გააჩნია. მესტია-ჭალის მარცხენა შენაკადის, გვალდირის, ტემპერატურა 20° აღწევს. ამ წყალს მესტიის მოსახლეობა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულებით ხმარობს. სარწყავად გამოყენებულია როგორც მესტია-ჭალის, ასევე ლეხთაგი-ტვიბისა და ლაღამი-ტვიბის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყალი. აქვე შევნიშნავთ, რომ თქმულებებში, რომლებიც დაკავშირებულია დასახლების ადგილის შერჩევასთან, ხაზგასმულია მინერალური წყლის მნიშვნელობა. ეს გარემოება ერთნაირად ეხება სვანეთის სამივე კუთხეს. ბალსქვემო სვანეთში ეს მომენტი მოჩანს ჩხეტიანების კალაში დასახლებასთან დაკავშირებულ თქმულებაში, ხოლო ქვემო სვანეთში — ონიანებისა სასაში და ზურებიანებისა ტვიბში დასახლებასთან დაკავშირებულ თქმულებებში.

წისქვილები მესტია-ჭალის მარჯვენა ნაპირზეა განლაგებული; მათი პატარ-პატარა ჯგუფები სათანადო სოფლებს ემხრობა. მარცვლის გასარეცხი, მთლიანი მორისაგან გამოთლილი გრძელი გობი (ლ ვ ე ბ), იმართებოდა მესტია-ჭალის, აგრეთვე ლეხთაგი-ტვიბისა და ლაღამი-ტვიბის გასწვრივ.

ს. სეტში იმყოფებოდა მოედანი (ს ვ ი ფ), რომელიც წარმოადგენდა საერთო-სახევო შეკრების ადგილს, ამხედრებული ხალხის თავშესაკრებს, სახალხო დღეობა-დღესასწაულებისა და თამაშობა-გართობის ასპარეზს. გარდა საერთო-სახევო სვიფისა, ყოველ სოფელს ჰქონდა თავისი სასოფლო სვიფი, სადაც მხოლოდ ამ სოფლის მოსახლეობა იკრიბებოდა.

ხევის სახმარი მიწა გარკვეული წესით იყო განლაგებული. საოჯახო-სათემო მფლობელობაში მყოფი სახნავი მიწის ძირითადი ფონდი უშუალოდ სოფელს ემიჯნებოდა.

სახნავ-სათესი ნაკვეთებისა და სათიბების ტოპოგრაფიის თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მათი განლაგება ხევში შემავალი სოფლების მიმართებით. მიუხედავად ამ საერთო მიმხრობისა, ნაკვეთების შერეულობა მაინც ვითარდებოდა. ამას ხელს უწყობდა მემკვიდრეობის თავისებური წესი, რომელიც მოითხოვდა ოჯახის გაყრისას ყველა ნაკვეთის ცალ-ცალკე და თანაბარ ნაწილებად გაყოფას ყველა მონაწილეთა შორის.

სახმარი მიწების მესამე ჯგუფს შეადგენდა სასოფლო საძოვრები, რომლებიც ასევე სოფლის მომიჯნავე ტერიტორიაზე იყო განლაგებული. ამ ფართობის ზოგადი სახელწოდება ლ ა ლ დ ღ ი ე რ დაკავშირებულია დღის სვანურ სახელწოდებასთან (ლ ა დ ე ღ). იგი ასახავს ამ მიწებით სარგებლობის წესს, რომელიც გულისხმობს საქონლის ყოველდღე გადენას საძოვარზე და საღამოს მის შინ დაბრუნებას. ეს ნაკვეთებიც, ბუნებრივია, იმ სოფლების მცხოვრებთა ექსპლუატაციის საგანს წარმოადგენდა, რომლებთანაც ახლო იყო განლაგებული. ასე მაგალითად, შგედის ლალდღიერით ლეხთაგელები და სეტელები სარგებლობდნენ, ხოლო ლექვალახვის ლალდღიერით — ლანჩვალელები და ლაღამელები. სასოფლო საძოვრები, გარდა იმ ნაკვეთებისა,

რომლებზედაც ლაბავი იყო გამართული და ამდენად საოჯახო საკუთრებად ითვლებოდა, სახევო სარგებლობაში იმყოფებოდა.

მესტიის მთის საძოვართა შორის უმთავრესი იყო: ცხჷკვზაგჷრ, ფოშდელ, სტილჷი, ლენჯე̄შ, ქორულდ, გულჷნაკჷრ, დალანაკჷრ და სხვა. უშორესი საზაფხულო საძოვარი (დალანაკჷრ) მესტიიდან ათიოდე კილომეტრით არის დაცილებული, ხოლო უახლოესი (ლენჯე̄შ) სამიოდე კილომეტრით.

ზემოთ მოყვანილი მასალიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს ხევის, როგორც დასახლების ერთეულის, ტერიტორიის განსაზღვრულობა ბუნებრივი პირობების შესაბამისად, ასე ვთქვათ, ხევის გეოგრაფიული და პოლიტიკური საზღვრების სრული თანხვედრილობა და ხევის ტოპოგრაფიის ორიენტაცია წყლის მაგისტრალის მიხედვით. ეს არის კიდევ ერთი ნიშანი, რომლითაც ხასიათდება დასახლების ძირითადი ერთეული ბალსზემო სვანეთში.

სვანური დასახლების ადრინდელი სტრუქტურის საფუძვლები, რომლებიც ყველაზე მკვეთრად სწორედ ბალსზემო სვანეთში მოჩანს და, რომელთა მნიშვნელობა ბალსქვემო და ქვემო სვანეთში თანდათან იკარგება, თავის დროზე დ. ბაქრაძის მიერ იყო შენიშნული[1]. იგივე აზრი გამოთქვა ს. ანისიმოვმა[2]. ხევებად დასახლების ეს თვისება მხოლოდ საქართველოს სპეციფიკას არ წარმოადგენს; იგი როგორც კავკასიის მთიანეთის სხვა რაიონებში, ასევე ევროპის ალპებშიაც შეინიშნება[3].

ბალსზემო სვანეთის საკარმიდამო ერთეულის ყველაზე გავრცელებულ ფორმად რევოლუციამდელ ხანაში ჩვენ მივიჩნევთ ქვითკირით ნაგებ ორსართულიან სახლს (ქ ო რ), კოშკით (მ უ რ ყ ვ ა მ), კალოთი და ზოგჯერ ხის დამხმარე ნაგებობით (მ ე გ მ ე მ ქ ო რ.), რომ რევოლუციამდელ ხანაში ბალსზემო სვანეთისათვის სწორედ ეს საკარმიდამო კომპლექსი იყო დამახასიათებელი, ამაზე მ. ილინაც მიუთითებს[4]. ეს სახლი შედგება უმეტეს შემთხვევაში ორი ძირითადი სართულისაგან, რომელთა შორის პირველს მ ა ჩ უ ბ ეწოდება, ხოლო მეორეს — დ ა რ ბ ა ზ; ეს უკანასკნელი ზოგჯერ მ ა ჟ ი ბ-ის სახელითაც არის ცნობილი. ამ სახლის სართულების სვანურ სახელთა წარმოება სავსებით შეესატყვისება საქართველოს სხვა კუთხეებში ანალოგიური ტერმინების წარმოების წესს. ასე მაგალითად, ხევში სახლის ქვედა სართულს ქ ო ი თ ს ა ხ ლ ი ეწოდება, ხოლო ზედა სართულს ზ ა ი თ ს ა ხ ლ ი. იგივე ითქმის აჭარის შესა-

---

[1] Д. Бакрадзе. Сванетия, ЗКОРГО, VI, Т., 1864, 57.

[2] С. Анисимов. Картины Кавказа, М., 1915, 55.

[3] ЦГВИА. ф. ВУА, д. 6528, л. 130.

[4] М. Ильина. Поездка в Сванетию, Спб., 1913, 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებ, სადაც პირველ სართულს თურქეთიდან შემოსული არაბული ა ხ ო რ ი ს გვერდით ძ ი რ თ ა ი ს ა ხ ლ ი ეწოდება, ხოლო მეორე სართულს ზ ე დ ა ს ა ხ ლ ი ან შ ე დ გ მ უ ლ ი[1]. ნიკორწმინდის სიგელშიაც (XI ს-ე) მეორე სართულს ეწოდება „ზედა სახლი", ან „ზედა ქორედი სახლი"[2].

სვანურ სახლს ხშირად გააჩნია სასარდაფო ნაწილი, რომელშიაც მოთავსებულია საკუჭნაო (გ უ ე მ) და საპყრობილე (დ ი ლ ე გ). ძირითადი სამეურნეო, საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობანი ვერტიკალურ ჭრილშია მოქცეული. სვანური კარ-მიდამო შეადგენს ყველა ზემოთ აღნიშნული ფუნქციების მთლიანობას, დამოუკიდებელი კომპლექსის სახით წარმოდგენილს. სვანური კარმიდამოს ეს ძირითადი ნიშანთვისება ბალსზემო სვანეთის ყველა ხეობისათვის ერთნაირად დამახასიათებელია, მაგრამ სხვადასხვა ფორმითაა წარმოდგენილი[3].

სვანური კარმიდამოს უმთავრესი ელემენტი, რომელიც ამ ფორმათა შორის განსხვავებას ქმნის, ეს არის თავდაცვითი ნაგებობა. ამ მხრივ განსასხვავებელია ე. წ. ციხე-სახლი, მურყვამიანი სახლი, მურყვამ-გალავნიანი სახლი, სვანირიანი სახლი, სანცხვირიანი სახლი და დუროიანი სახლი. სვანურ საცხოვრებელ ნაგებობათა ამ რიგის ტიპოლოგიური სქემა სავსებით უპასუხებს დებულებას, რომ მურყვამი ციხე-სახლის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს[4]. ციხე-სახლის სახით კი ჩვენ გვაქვს კომპლექსური ნაგებობა, რომელშიაც ერთ ჭერს ქვეშ გაერთიანებულია საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ფუნქციის მქონე ნაწილები. /

ზემოთ დასახელებული ნაგებობანი სვანური კარმიდამოს დაცვითი ფუნქციის განვითარების სხვადასხვა საფეხურს ასახავენ. ციხე-სახლში საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ფუნქციები ერთი ნაგებობის სახით არის წარმოდგენილი; მურყვამიანი სახლისათვის დამახასიათებელია სახლთან მიშენებული და მასთან ორგანულად დაკავშირებული ოთხ-ხუთ სართულიანი კოშკი; გალავ-

---

[1] ა ლ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „შრომები", I, ბათუმი, 1960, 20.

[2] „ქრონიკები"..., II, თბ., 1897, 46 და 48.

[3] მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961.

[4] შდრ. აგრეთვე М. Д ж а н д и е р и и Г. Л е ж а в а. Архитектура горных районов Грузии, М., 1940, 97, მათივე Архитектура Сванетии, М., 1938, 12; ვ. ც ი ნ ც ა ძ ე. საცხოვრებელი სახლის ერთი სახის დახასიათებისათვის საქართველოში, „ქართული ხელოვნება", IV, 1955, 238; ვ. დ ო ლ ი ძ ე. ხევის ხალხური საცხოვრებელი სახლი, „ქართული ხელოვნება", V, თბ., 1959, 240; ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, თბ., 1945, 24.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიანი სახლი ორმაგი დაცვითაა უზრუნველყოფილი (გალავანი და მურყვამი); სვანირიან სახლში ეს კოშკი მეტწილად ორ სართულს არ აღემატება და საკუთრივ სახლისაგან ოდნავ გამოირჩევა სიმაღლით; სანცხვირიან სახლში თავდაცვით ფუნქციას სახლის კუთხეებში მიშენებული სათოფურები ასრულებენ; დუროიან სახლში სათოფურები ხშირად დეკორატიულ მოტივს წარმოადგენს. ყველა დასახელებულ შემთხვევაში ამ რიგის დასახლება წარმოადგენს ძნელად მისადგომ სიმაგრეს, რომელიც ორგანულად ითავსებს როგორც მთელი სოფლის საერთო დაცვის, ასევე ცალკეული საკარმიდამოს ინდივიდუალური დაცვის ინტერესებს.

ბალსზემო სვანური კარმიდამოები რიგ შემთხვევაში გაბარიტებითაც განსხვავდებიან. მესტიიდან საამისო მაგალითს წარმოადგენს ალექსანდრე ხერგიანის სახლი ლეხთაგის თავში, რომელიც გალავნის სიმტკიცითა და ფართობის სიდიდით მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვენს მიერ ტიპიურად მიჩნეული სვანური კარმიდამოსაგან[1]. ანალოგიურ სურათს წარმოადგენს ერასტი ჯაფარიძის სახლი სეტში (მესტია).

დაცვითი ფუნქციის თავისებურებათა თვალსაზრისით ეს მურყვამ-გალავნიანი სახლი ცალკე არის აღსანიშნავი. ყველაზე მრავლად და ჩამოკვეთილი სახით იგი მულახში არის წარმოდგენილი. ამ რიგის საცხოვრებელი კომპლექსები მულახის ყველა სოფელში დასტურდება, მაგრამ განსაკუთრებით ლახირისათვის და ჟამუშისათვის არის დამახასიათებელი. ამ სოფელთა შორის პირველში იოსელიანების მურყვამ-გალავნიან სახლების გვერდით გვიდანისა და მარგიანის ამავე რიგის სახლებია განლაგებული, ხოლო მეორეში — ნავერიანის სახლების გვერდით — ქალდანისა.

ცალკე აღებული მურყვამებიც მათი „სიძლიერის“ თვალსაზრისით განსხვავებულ სურათს წარმოადგენს. უმეტესობას მათ შორის სამი ან ოთხი შდურ-ი აქვს. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს უშკული, სადაც ფიქსირებულია როგორც ორშდურიანი, ისევე ექვსშდურიანი კოშკები. ეს გარემოება, პირველყოვლისა, კოშკის მეპატრონეთა მატერიალური შეძლების მაჩვენებელი უნდა იყოს, თუმცა სხვა შემთხვევაში იგი სოციალურ უთანასწორობაზედაც მიუთითებს.

უფრო მკვეთრად ეს განსხვავება მოჩანს ლატალელი ჩარკვიანების სახლების მაგალითზე, რომლებიც ჩვენს ყურადღებას იპყრობს არა მარტო გაბარიტებით, არამედ მათი განლაგებითაც ლატალის დანარჩენი მოსახლეობის მიმართ. ჩარკვიანების ნასახლარებიდან ლატალში ცნობილია შემდეგი ადგი-

---

[1] Г. Лежава и М. Джандиери. Архитектура Сванетии, ტაბულები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები: იენაშის მახლობლად, გზის გადაღმა ფერდობზე გაშლილი პლატო, რომელიც მთელ ლატალს თითქოს ზევიდან დასცქერის და იენაშიდან ტერიტორიულად განკერძოებულია. ამ ადგილს ეწოდება გიგბაშ. ს. იენაშის გარდა ლატალელი ჩარკვიანები სახლობდნენ აგრეთვე ს. ზაგრარში. ჩარკვიანების ნასახლარი ნანგრევების სახით ფიქსირებულია აგრეთვე ს. ს. კვანჭიანარსა და მაცხვარიშს შორის. ამ ადგილს გილიანი ეწოდება. მეოთხე პუნქტი ჩარკვიანების ძველი დასახლებისა ლატალში ჩარილდაში არის. ეს პუნქტი იმყოფება ს. კვანჭიანარის ქვევით მდ. ენგურის მიმართულებით. ჩარკვიანებს კიდევ ერთი სახლი ედგათ ლახუშდში, ასევე სოფლის კიდეში, ენგურის პირზე.

ამრიგად, ლატალში არის ჩარკვიანების ხუთი ნასახლარი: გიგბაშ, ზაგრარ, გილიან, ჩარილდაში და ლახუშდ. ყველა ეს ნასახლარი სოფლისაგან განკერძოებით არის განლაგებული და სოფლის დანარჩენი მოსახლეობისაგან ტერიტორიულად გამოირჩევა.

ჩარკვიანების ამ ძველი სახლებიდან ყველაზე უკეთ შემონახულია გიგბაშის სახლები. ეს სახლები შემომტკიცებულია მაღალი და სქელი გალავნით. მათ შორის ერთი სახლის გალავანს სანცხვირი აქვს გაკეთებული. მეორე სახლის მურყვამს სვანირი აქვს მიშენებული. საცხოვრებელი სახლები ორსართულიანია და ქვიტკირით ნაშენი. სათავსოთა განლაგების პრინციპით (მაჩუბი, დარბაზი) ეს სახლები ტიპიური სვანური სახლებისაგან არ განსხვავდებოდა, მაგრამ ზომებით მნიშვნელოვნად გამოირჩეოდა მათგან.

მიუხედავად იმისა, რომ ბალსზემო სვანეთის საკარმიდამო კომპლექსში შეინიშნება გარკვეული სხვადასხვაობა, როგორც ამ კომპლექსის გაბარიტებში, ასევე თავდაცვითი ნაგებობის ფორმებში, ეს გარემოება არსებითად არ ცვლის დასახლების ტიპს. ბალსზემო სვანეთის ფარგლებში ეს ცვლილება შეინიშნება მხოლოდ ლატალში, სადაც ჩარკვიანები განკერძოებულად დასახლებისაკენ იჩენენ ტენდენციას.

სვანური სახლი სპეციალური კვლევის საგანია; სვანურ სახლს ჩვენ აქ ვეხებით მხოლოდ სვანთა საზოგადოებრივი ყოფის გაშუქებასთან დაკავშირებით. სვანური სახლი, ისევე როგორც მრავალი სიძველე სვანეთისა, გარდაქმნის გზას დაადგა. სვანური სახლის განვითარება დასავლურ ქართული ოდისაკენ მიიმართება[1]. ეს პროცესი კარგა ხანია რაც დაიწყო. გ. ლეჟავას და მ. ჯანდიერის დაკვირვებით ზემო სვანეთის 1800 კარმიდამოდან 1934 წლის 1 იანვრი-

---

[1] А. Робакидзе и др. Современное грузинское крестьянское жилище. მსე, X, 1959, 33.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სათვის 300 კარმიდამოში უკვე „მეგრულ-იმერული" სახლი იდგა[1]. ქვემო სვანეთში ეს პროცესი უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა. მაგრამ სვანურ სახლთა დიდი ნაწილი ჟამთა სიავეს გადაურჩა. ნაგებობის ციკლოპური ხასიათისა და მაღალხარისხოვანი დუღაბის გამო, ზოგმა მათგანმა მრავალსაუკუნოვან ხსაკს მიაღწია და დღესაც ყოფის ცოცხალ ელემენტს წარმოადგენს. ასეთი საცხოვრებელი კომპლექსები საიმედო და მდიდარი წყაროა არა მარტო მატერიალური კულტურის, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი ყოფის ისტორიის შესწავლისათვის.

მაგრამ მატერიალური კულტურის ამ ძეგლების უმთავრესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ზოგი მათგანი დათარიღებულ ობიექტებს უკავშირდება და გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცევა. ამ წესით შესაძლებელი გახდა ქვემო სვანეთში ძუღარეშ-ქალაქოლის ცალკეული კომპლექსების დათარიღება მათთან დაკავშირებული ეკლესიის საშუალებით XIV ს-ით[2]. ამავე წესით თარიღდება რ. შმერლინგის მიერ მულახში ჟამუშის ეკლესიასთან დაკავშირებული ერთ-ერთი უძველესი სვანური საცხოვრებელი კომპლექსი XI ს-ით.

სვანური სახლის ერთ-ერთი ადრინდელი სურათი დ. ბაქრაძემ დაგვიტოვა[3], მაგრამ მისი ყველაზე სრული აღწერილობა ბ. ნიჟარაძის კალამს ეკუთვნის[4].

XIX ს-ის მიწურულში სვანური სახლის აღწერა ე. კალვეიტმა სცადა. სხვათა შორის, მან აღნიშნა, რომ სვანეთის სხვადასხვა კუთხეში სახლი სხვადასხვაგვარად ფასობს, მაგრამ ყველგან თითქმის ერთნაირია[5]. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. საკითხზე არსებული ფაქტიური მასალა საწინააღმდეგო ჩვენებას შეიცავს. ამავე დროს მეორე ავტორი, ი. აკინფიევი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სვანური მურყვამი ოსური კოშკის სრული ანალოგი არის[6].

ვფიქრობთ, რომ აქ გაუგებრობას აქვს ადგილი. ტიპიური სვანური მურყვამი ისევე განსხვავდება ოსური კოშკებისაგან, როგორც თუშური ან საქარ-

---

[1] Г. Лежава и М. Джандиери. Архитектура Сванетии, 4.

[2] ალ. რობაქიძე. სვანური „ქალაქოლ"-ის საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე", 1962, № 3, 218.

[3] Д. Бакрадзе. Сванетия, 26.

[4] თავისუფალი სვანი. უშგულის აღწერა (სვანთა ყოფაცხოვრებიდამ), „ივერია", 1888, № 27.

[5] Э. Кальвейт. Очерк сельского хозяйства верхней Сванетии, 24—26.

[6] И. Акинфиев. Поездка в Осетию на Ардоне и в Сванетию, ЗКОРГО, XVI, Т., 1894, 104—105.

თველოს დანარჩენი კუთხეების კოშკებისაგან. დასავლეთ საქართველოში სვანური კოშკი რაჭაშიაც არის ცნობილი, ხოლო აღმოსავლეთში მსგავსი კოშკი ს. მაკალათიას აქვს დამოწმებული კავთურას ხეობაში (მაღალაანთკოშკი); ავტორის სიტყვით: „მაღალაძის ამ კოშკის კონსტრუქციაში ყურადღებას იქცევს მისი მეოთხე სართული, რომელსაც საბრძოლო დანიშნულება ჰქონდა. მას გარშემო აქვს ლამაზად დაკბილული თაღიანი სათოფურები, რაც ახასიათებს დასავლეთ საქართველოს ციხე-კოშკებს, განსაკუთრებით სვანურსა და რაჭულ თავდაცვით ნაგებობებს"[1]. ჩრდილოეთ კავკასიაში სვანური კოშკის სრული ანალოგი ჩვენ მხოლოდ ყარაჩა-ბალყარეთში გვხვდება, სადაც ეს კოშკები სვანების მიერ აშენებულად არის მიჩნეული[2].

დებულება სვანური კოშკისა და ხევსურული კოშკის მიმსგავსების შესახებ, რომელსაც საფუძვლად უდევს გადახურვის სისტემა და მაშიკულების ფორმა, უშკულის ე. წ. თუშურ კოშკებს გულისხმობს[3]. სვანურ კოშკად მიჩნეული მურყვამი გადახურვით და მაშიკულებით განსხვავდება როგორც ხევსურული, ისევე თუშური კოშკისაგან. აზრი იმის შესახებ, რომ სვანური მურყვამი ხევსურული კოშკის განვითარებულ სახეობას წარმოადგენს[4], საფუძველს არ არის მოკლებული.

უფრო მეტ მსგავსებას ხევსურული და სვანური ციხე-სახლები წარმოაჩენენ, რომელთა რიგს პარალელის სახით შეიძლება დაემატოს თუშური და მოხევური ციხე-სახლი. საამისოდ საკმარისია უშკულის ერთ-ერთი ციხე-სახლის გეგმა-ჭრილი შევადაროთ მ. ჯანდიერისა და გ. ლეჟავას მიერ მოყვანილი შატილელი ნანუა ჭინჭარაულის სახლის ჩანახატს[5]. შედარებითი ტაბულა თუშური, ხევსურული, მთარაჭული და სვანური ციხე-სახლებისა, რომელიც დასახელებულ ავტორებს მოჰყავთ, ამავე გარემოებას მიუთითებს[6].

ჩვენი დროის ეთნოგრაფთა შორის სვანური სახლის შესწავლას მ. ჩართოლანი აწარმოებს. ამ საკითხისადმი მიძღვნილ მის ნაშრომში შესწავლილია

---

[1] ს. მაკალათია. კავთურას ხეობა, თბ., 1960, 21—23.

[2] А. Робакидзе и Р. Харадзе. К вопросу о сванско-балкарских этно-культурных взаимоотношениях, «О происхождении балкарцев и карачаевцев», Нальчик, 1960, 135—152.

[3] ვ. ცინცაძე. დასახელებული ნაშრომი, 235.

[4] იქვე.

[5] М. Джандиери и Г. Лежава. Архитектура горных районов Грузии, სურ. №№ 4 და 5.

[6] იქვე, ტაბ. № 143 А (თუშური), Б (ხევსურული), В (მთარაჭული) და Г (სვანური).

სვანური სახლის კერა[1]. დასახელებულ ნაშრომში ნათლადაა წარმოდგენილი სახლის ამ ცენტრალური ნაწილის თავისებურება და მისი როლი სვანური სახლის საზოგადოებრივი მნიშვნელობის ამოხსნის საქმეში.

სვანური სახლის არქიტექტურის შესწავლაში გ. ლეჟავას და მ. ჯანდიერს მიუძღვით მნიშვნელოვანი ღვაწლი. მათ მიერ შესრულებული განაზომები სვანური სახლისა მისი შესწავლის ერთ-ერთი საიმედო წყაროა.

სვანური სახლის შესწავლისას ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა სვანთა სამეურნეო ყოფის თავისებურებას. ადამიანისა და საქონლის ერთ ფართობზე ყოფნა და საყოფაცხოვრებო ფართის დაუნაწევრებლობა საკარმიდამო კომპლექსის განუვითარებლობის ნიშნად იყო აღიარებული. შესაბამისად ამისა, სვანურ ნაგებობებს „გვაროვნული წყობილების არქიტექტურას“ უწოდებენ და სვანურ მურყვამს მეზობლებისაგან ნასესხებად ვარაუდობენ[2]. დებულებას სვანური სახლის უკიდურესი არქაულობისა და გვაროვნულ წყობილებასთან მისი კავშირის შესახებ ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. თავის დროზე ი. ივანიუკოვი და მ. კოვალევსკი ხაზს უსვამდნენ სვანური სოფლის გვაროვნულ ხასიათს[3], რაც კავკასიის შესახებ მ. კოვალევსკის საერთო შეხედულების კერძო გამოვლინებას წარმოადგენდა. მ. კოვალევსკის გავლენით ა. დოლგუშინიც XX ს-ის დასაწყისში წერდა, თითქოს სვანეთის მოსახლეობა განლაგებული იყო გვარებად, რომლებსაც შემდეგში ცალკეული ჯგუფები გამოეყო[4]. რამდენადმე მოგვიანებით ბ. კოვალევსკი ცდილობდა დაესაბუთებინა, თითქოს სვანური დასახლება უპასუხებს გვაროვნულ წყობილებას, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მისული ტომობრივ გაერთიანებამდე[5]. ბ. დეგენ-კოვალევსკის აზრით, სვანური დასახლება თითქოს უჩვენებს დაშლის პროცესში მყოფი გვარის სტრუქტურას, რომელშიაც ჯერ კიდევ არ ჩანს ტერიტორიული გაერთიანების ნიშნები[6].

---

[1] М. Чартолани. Очаг сванского дома, автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 1953. მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961.

[2] Г. Лежава и М. Джандиери. Архитектура Сванетии, 6, 20.

[3] В Сванетии. Из путешествия И. Иванюкова и М. Ковалевского, В. Е., т. V, кн. 8, 593.

[4] А. Долгушин. Через Сванетию к Эльбрусу, СМОМПК, XXVIII, Т., 1900, 152.

[5] Б. Ковалевский. В стране снегов и башен, 31.

[6] Б. Деген-Ковалевский. Сванское поселение как исторический источник, 35.

სვანური სახლისა და დასახლების ერთეულის საზოგადოებრივი ხასიათის — ასეთი განსაზღვრა, რა თქმა უნდა, სწორი არ არის.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, სვანეთის მოსახლეობა გვარობრივი შერევის შორსწასული პროცესის სურათს წარმოაჩენს. ეს გარემოება თვალნათლივ თუნდაც მესტიის მაგალითზე მოჩანს. სეტის 52 მეკომურიდან 21 მეკომური ჯაფარიძეებს ეკუთვნის, 4 — ჭედლიანებს, 9 — ნაკანებს, 6 — მუშკუდიანებს, 8 — ნიგურიანებს, თითო-თითო სახლი — ბარლიანს, ფალიანს, ნიჟარაძეს და ფარჯიანს. გვარობრივი შერევის ასეთსავე სურათს გვაძლევს ლანჩვალი, რომელშიც 54 კომლიდან 17 ხერგიანია, 10 ფალიანი, 10 რატიანი, 5 მარგიანი, 4 გოშთელიანი, 3 ნიგურიანი, 2 კახბერიძე, 1 ჩართოლანი, 2 ნაკანი. ლეხთაგის 18 მოსახლიდან 8 ჩართოლანია, 8 ხერგიანი და ორი ჯაფარიძე.

ამგვარად, მესტია მთლიანად, როგორც სვანეთის ყველა დანარჩენი ხევი, გვარობრივი შერევის სრულიად გარკვეულ სურათს წარმოაჩენს. მაგრამ ეს შერევა გვარის შიგნით, ლამხუბების მიხედვითაც იჩენს თავს. ამ მხრივ გარკვეულ მონაცემებს ცალკეული გვარების გენეალოგიები შეიცავენ. მაგალითისათვის ხერგიანთა გვარის გენეალოგიას მოვიყვანთ.

ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით (მესტია, ლანჩვალი, მამურზა ბაის-ძე ნიგურიანი და გიერგ ბადის-ძე მარგიანი) ხერგიანები მოსულან მდ. მდ. ტებერდისა და კუბანის სათავეებიდან, ე. ი. თანამედროვე ყარაჩას ტერიტორიიდან, რომელსაც თქმულება „უსურმან"-ს უწოდებს. მთხრობელთათვის უცნობი მიზეზის გამო წამოვიდა და სვანეთს შეეფარა ოთხი ძმა: ხ ე რ გ ი ა ნ, ჩ ხ ვ ი მ ი ა ნ, მ ა რ გ ვ ე ლ ი ა ნ (მეოთხე ძმის სახელი დავიწყებულია). იმ მარშრუტის აღწერისას, რომლითაც ძმები სვანეთში წამოსულან, თქმულება იხსენიებს ყ ა რ ა ჩ ა ს, ბ ა ქ ს ა ნ ს, ჩ ე გ ე მ ს ა და ქ ა შ ა გ ს. მთხრობელთა სიტყვით, ბაქსანისა და ჩეგემის მოსახლეობას „ოსები" შეადგენდნენ, ხოლო ყარაჩას მოსახლეობას—„თათრები". ეს სავსებით შეესატყვისება იმ ეთნიკურ ნომენკლატურას, რომელიც ახლაც იხმარება სვანეთში ყარაჩაელების („თათრები") და ბალყარელების („სვჲარ"-ოსები) მიმართ. ქაშაგების სახელწოდებით სვანეთში ახლაც ჩერქეზები არიან ცნობილნი.

რადგან ამ რიგის მიმოქცევა ცენტრალური კავკასიონის მოსახლეობისა სხვა ფაქტებითაც მოწმდება[1], ზემოთ მოყვანილი გადმოცემის ეს ნაწილი ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

---

[1] А. Робакидзе и Р. Харадзе. К вопросу о сванско-балкарских этно-культурных взаимоотношениях, 144—146.

ძმები ჩუბეხევში მოსულან და დასახლებულან. აქ ჩხვიმიანს თავისი თავი ძმების ბატონად გამოუცხადებია, რის გამო მას ძმები გაქცევიან. ჩხვიმიანი დარჩენილა ჩუბეხევში, ხერგიანი მესტიაში ასულა, ხოლო მარგველანი კალაში დასახლებულა.

ამ სამი ძმისაგან წარმოსდგა ნათესაური ჯგუფები ჩხვიმლიან-მარგველან-ხერგიანებისა. წარმოდგენა საერთო წარმოშობის შესახებ ახლაც განაპირობებს მათ შორის კეთილ განწყობილებას, რაც სტუმარ-მასპინძლობაში და ურთიერთდახმარებაში ვლინდება, თუმცა ეს ურთიერთობა რაიმე ვალდებულებას ქორწინებისა თუ სისხლმესისხლეობის სფეროში არ ვარაუდობს.

ხერგიანთა საგვარეულოს გამრავლება-განვითარების პროცესში იგი სამ ძირ-სამხუბად დაიყო: ბ ე ქ ა ი შ ე რ ა, შ ა ი თ უ შ ე რ ა და გ ე გ ი ა რ[1]. პირველი სამხუბის ეპონიმი (ბექა) ლეხთაგშივე დასახლდა, ხოლო მეორე სამხუბის ეპონიმი (შაითუ) ლანჩვალში დაბინავდა. ასე გაჩნდა ლანჩვალში ხერგიანთა გვარის შაითუშერას სამხუბის ოჯახები, რომლის ეპონიმი ლეხთაგიდან არის წამოსული. მაგრამ ლეხთაგიდან ლანჩვალსა, სეტსა და ლალამში ხერგიანის გვარის სხვა სამხუბებიდანაც მოდიოდნენ.

ხერგიანთა გვარი ვითარდებოდა; ძირ-სამხუბი წამ-სამხუბებად იყოფოდა, ხდებოდა ოჯახების სეგმენტაცია და მათი განსახლება, მაგრამ, როგორც ზემომოყვანილი მასალიდან ჩანს, განსახლება არ იყო პირობადებული ერთგვაროვნობით. და, თუმცა აშკარად შეიმჩნევა, რომ პირველნაყარი ოჯახები ბუდე ოჯახის მახლობლად დასახლების ტენდენციას მიყვებიან, მაგრამ ეს არის გვიანი პატრონიმიული დასახლება, რომელიც დაკავშირებულია საოჯახო თემის სეგმენტაციასთან და არა გვაროვნულ განსახლებასთან.

ეს და სხვა ამავე რიგის მასალა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ განსახლების გვაროვნული პრინციპი დიდი ხანია რაც აღარ წარმოადგენს დასახლების პროცესში მაორგანიზებელ ძალას. ხევი, როგორც დასახლების ერთეული სვანეთში, პოლიგენური აგებულებისა იყო.

ზემოთ მოყვანილი გადმოცემები საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ ამ რიგის დასახლების ჩამოყალიბების დროისა და პირობების შესახებ. გადმოცემებში დაცულ საამისო ცნობებს მხარს უჭერენ მატერიალური კულტურის ისეთი ძეგლები, როგორიცაა სვანური საკარმიდამო კომპლექსები, რომელთა ასაკი მრავალი საუკუნით განისაზღვრება.

---

[1] რ. ხ ა რ ა ძ ე. დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1937, გენეალოგიური ცხრილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვანთა პოლიგენურ განსახლებასთან უშუალო კავშირში იმყოფება სახმ-ურნეო ნაკვეთების ფაქტიური განლაგება. ხერგიანების გენეალოგიასთან დაკავშირებულ გადმოცემაში აღნიშნულია, რომ ლეხთაგში ჩამოსახლებისთანავე ხერგიანებმა ლეხთაგიდან მოყოლებული ვიდრე ლანჩვალამდე ტყე გაკაფეს და სახნავ-სათეს ნაკვეთად აქციეს. ეს ის ნაკვეთია, რომელიც დღეს დაბდერის სახელით არის ცნობილი. ოჯახების სეგმენტაციის პარალელურად სახმარი მიწის ეს მთლიანი ფართობიც ნაწილდებოდა. სვანური ადათური სამართლის მიხედვით საოჯახო მფლობელობაში მყოფი ყველა ნაკვეთი მოწილეთა შორის თანაბრად უნდა გაყოფილიყო. მონოგენური განსახლების პირობებში ჩვენ უნდა მიგვეღო ისეთი ვითარება, როდესაც მიწის მთლიანი მასივი სამხუბების მიხედვით არის დანაწილებული, ხოლო სამხუბის შიგნით — ოჯახების კვალობაზე დაყოფილი. სინამდვილეში სვანეთში სხვა ვითარება შეინიშნება. ირკვევა, რომ მიწის ერთსა და იმავე მასივზე სხვადასხვა ნაკვეთი სხვადასხვა გვარის ოჯახებს ეკუთვნოდა. ეს კი იმას მოასწავებს, რომ ნაკვეთების განლაგებაც მონოგენურ პრინციპებს არ მიყვებოდა და გვარობრივი კუთვნილების თვალსაზრისით ისევე შერეული იყო, როგორც დასახლება.

ეს გარემოება რადიკალურად ეწინააღმდეგება გვაროვნული წყობილების ბუნებას.

განსახლების მონოგენური პრინციპის დარღვევა სვანეთისათვის ახალი არ არის. XIII ს-ის მეორე ნახევრის ერთი „მატიანე“-დან ჩანს, რომ მარტო სეტში ამ დროისათვის სულ ცოტა ოთხი სხვადასხვა გვარი მოსახლეობდა (ჯაფარიძე, სეტიელი, მშკიდიანი და ხერგიანი); ბალსქვემო სვანეთის ხევებში გვართა შერევა უფრო ღრმად იყო წასული[1]. XIV ს-ის ბოლოს ერთ დოკუმენტში, რომელიც სეტს ეხება, ვკითხულობთ: „...მას ჟამსა, ოდეს ჩვენსა წინად ალმა დაესახლე, იმას ზედა დაუმდურდით. მერმე გვაუბნეს ჩვენსა შუვა მართალთა ფიცებულთა სასწოროთა მოურაუთა, რომელთა შე(ვ)ჯერდით“[2]. ამ „დაწერილს“ აძლევენ ვარდან, ცოტნე და ქურდიანალ ქურდიანები, მათი დედა მარიამი, ბაბუა გიორგი და „მისთა შვილთა ყველათა“ მიქაელ ფალიანს და მის „შვილთა და მომავალთა ყველათა“.

ეს დოკუმენტი მრავალმხრივ არის საინტერესო. გარდა იმისა, რომ იგი XIV საუკუნისათვის სვანეთში მოსახლეობის გვართა შერევით განსახლებას ადასტურებს, მასში ნაჩვენებია აგრეთვე მიწაზე საოჯახო-სათემო მფლობელობის არსებობა, ქურდიანსა და ფალიანს შორის წოდებრივი სხვაობის უქონლობა,

---

[1] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა. სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბ., 1941, 117—156.
[2] იქვე, 95.

მორვალთა ინსტიტუტისა და ადათის მნიშვნელოვანი ადგილი სამართლის სფეროში.

ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში მცდარი შეხედულება საქართველოში გვაროვნული წყობილების გახანგრძლივების შესახებ, ჯერ კიდევ XIX ს-ის ოთხმოციან წლებში იყო დაძლეული. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქართული ეთნოგრაფიული აზროვნების ისტორიაში დაკავშირებულია ნ. ხიზანაშვილის სახელთან, რომელმაც სრულიად კატეგორიულად აღნიშნა, რომ „... ქართლში როგორც ვახტანგის დროს, ისე ადრეც, კერძო ოჯახს თავისი განცალკევებული საკუთრებით კავშირი აღარა ჰქონდა გვართან, გვარმა ადგილი დაუთმო პირს, საზოგადომ კერძოობას, ასე ვსთქვათ, იურიდიულმა „მე“-მ სძლია იურიდიული „ჩვენ“[1]. მართალია, ნ. ხიზანაშვილის ეს დებულება ქართლს შეეხება და იგი არ უარყოფს, რომ „ძეგლის დების“ შედგენის დროისათვის მთაში „კერძო ოჯახის წევრნი არა სწყვეტდნენ კავშირს გვართან“, რომ „ეს უკანასკნელი ხშირად მათი მფარველი იყო“, რომ „ეს კავშირი ოჯახისა და გვარის შორის ეხლაც კი მტკიცედ არსებობს მთაში“[2]., მაგრამ ნ. ხიზანაშვილისათვის ეს წარმოადგენდა არა გვაროვნულ წყობილებას, არამედ მის გადმონაშთებს ფეოდალურ საზოგადოებაში: „თუმცა მთაში ფეოდალიზმი, — ნ. ხიზანაშვილისავე სიტყვით — ისრე არაოდეს არ ყოფილა აღორძინებული, როგორც ვაკე ქართლში“[3].

იგივე უნდა აღინიშნოს საცხოვრებელი კომპლექსის შესახებ. სვანთა განვითარებულსა და მრავალპროფილიან ეკონომიურ ცხოვრებაში მესაქონლეობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ძველად, სვანეთის მთამაღალში, ისევე როგორც ევროპის ალპებში, მესაქონლეობა მეურნეობის წამყვანი დარგი იყო. ალპიური მეურნეობის მნიშვნელობამ სვანთა ყოფაში, საოჯახო თემის გადმონაშთური ფორმის ხანგრძლივმა შემონახულობამ ფეოდალური ურთიერთობის განვითარების პირობებში და თავდაცვის ინტერესებმა მოცემულ გეოგრაფიულ გარემოში ხელი შეუწყვეს მაღალგანვითარებული საცხოვრებელი კომპლექსის ჩამოყალიბებას. ეს მონუმენტური კომპლექსები წარმოადგენენ ქართული ხალხური სამშენებლო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშს; ისინი თვალნათლივ ასახავენ ხალხური შემოქმედების მაღალ დონეს და ამავე დროს, როგორც ქვევით დავინახავთ, საზოგადოებრივი განვითარების აღმავალი საფეხურების მოწმენი არიან.

---

[1] ნ. ხიზანაშვილი. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბილისი, 1940, 167.

[2] იქვე, 166.

[3] იქვე, 162.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე ეთნოგრაფიულმა გამოკვლევებმა უდავოდ გახადეს, რომ სვანური სახლი შეესატყვისება არა გვაროვნულ საზოგადოებას არამედ საოჯახო თემის გადმონაშთურ ფორმას, რომელიც საქართველოს მთიანეთს გვიანფეოდალურ ხანამდე შემორჩა[1].

რაც შეეხება ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის ინტერესების შეხამებას, რომლითაც ხასიათდება სვანური სახლი და სვანური დასახლება, არც ამ მხრივ შეიძლება დარჩეს ეჭვი, რომ იგი განვითარებული საზოგადოების ინტერესებს უპასუხებს და არა გვარის ინტერესებს[2]. საერთო სახევო და ცალკე სასოფლო თავდაცვითი ნაგებობების უქონლობის პირობებში ისეთი საკარმიდამო ერთეულის გაჩენა, როგორიცაა სვანურ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსი, სპეციალურ ლიტერატურაში ტერიტორიულ თემთან არის დაკავშირებული[3]. ამ დებულებას მხარს უჭერს სვანური სახლის უძველეს ფორმათა არაერთგზის ხაზგასმული თავისებურება, კერძოდ რაიმე ისეთი არსებითი ნიშნების უქონლობა, რომელიც წოდებრივ უთანასწორობაზე მიუთითებდეს[4]. იგივე აზრია გატარებული ი. აკინფიევის ზემოთ მოყვანილ სიტყვებში. სვანური დასახლების ის თავისებურება, რომელიც გამოიხატება სასოფლო და საოჯახო თავდაცვის შეხამებაში, უვაროვამ მაგალითად, ვერ შენიშნა. მისი სიტყვით სვანეთის საცხოვრებელი ნაგებობანი მიმობნეულია და არ შეადგენს ერთ მთლიანობას[5]. ამ საკითხის სწორად გაგებასთან უფრო ახლო ვ. ტეპცოვი მივიდა. უშკულის აღწერას იგი ამთავრებს წინადადებით: „მთელი სოფელი, ამგვარად, ციხესიმაგრეს წარმოადგენს[6]. ასევე კარგად არის შენიშნული თავდაცვის ამ ორი სხვადასხვა ფუნქციის შეთანხმება სვანურ დასახლებაში ა. დოლგუშინის მიერ. მისი სიტყვითაც „მთელი სოფელი და მისი ცალკეული სახლი წარმოადგენს სიმაგრეს“[7]. უძველესი სვანური სახლის საცხოვრებელი ფართის დაუნაწევრებლობა, რომელიც საოჯახო თემის გადმონაშთური ფორმისათვის არის დამახასიათებელი, ასევე მიუთითებს იმაზე, რომ სვანური სახლის უძველესი ფორმა სასოფლო თემის ინტერესებს უპასუხებს.

---

[1] რ. ხ ა რ ა ძ ე. დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1937. მისივე, Грузинская семейная община I, 1960, II, 1961 და სხვ.

[2] А. Р о б а к и д з е. К вопросу о форме поселения в Сванети, 59.

[3] Б. Г р е к о в. Крестьяне на Руси, М., 1946, 70.

[4] Б. К о в а л е в с к и й. В стране снегов и башен, 79.

[5] Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию гр. Уваровой, 4.

[6] В. Т е п ц о в. Сванетия, географический очерк, СМОМПК, 10, Т., 1890, 6.

[7] А. Д о л г у ш и н. Через Сванетию к Эльбрусу, 152.

საზოგადოებრივი განვითარების დონის დადგენისათვის მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თავდაცვით ნაგებობათა განლაგების სისტემას. სვანეთში ამ მხრივაც გარკვეული კანონზომიერება შეინიშნება. რამდენადაც ჩვენს მიერ შეკრებილი მასალით ჩანს, მთელს ბალსზემო სვანეთში — გარდა უშკულისა — საერთო სახევო ან საერთო სასოფლო თავდაცვითი ნაგებობა არ მოიპოვება. სახევო თავდაცვის ფუნქციას ასრულებდა ბუნებრივი რელიეფი და გადასასვლელებზე მოწყობილი საყარაულოები. მ. ჯანდიერი და გ. ლეჟავა მართალია მიუთითებენ საერთო სათვალთვალო კოშკების არსებობაზე[1], მაგრამ როგორც ეტყობა, საერთო-სასოფლო და საერთო-სახევო დაცვის ნაგებობანი პირველ რიგში ქვემო სვანეთს ახასიათებენ.

საერთო-სასოფლო და საერთო-სახევო თავდაცვით ნაგებობათა უქონლობა და ინდივიდუალური თავდაცვით ნაგებობათა გამოყენება კოლექტიური დაცვის დროს, დამატებითი საბუთია იმისა, რომ სვანეთის ამ ნაწილის საზოგადოებრივი განვითარების დონე, მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლების მიხედვით, სასოფლო თემის ნიშნებით ხასიათდება.

დაცვითი ნაგებობების მნიშვნელობას დასახლების სვანური ფორმის ჩამოყალიბების პროცესში ბ. დეგენ-კოვალევსკიც შეეხო. მისი აზრით სვანეთის დაცვითი ნაგებობების ზემოაღნიშნული თავისებურება განსაზღვრულია ბუნებრივი პირობებით, საკუთრივ გადასასვლელების გამაგრების შესაძლებლობით. გადასასვლელების გამაგრება უფრო შორეული მისადგომების დაცვას წარმოადგენდა და მთლიანად ვერ შეცვლიდა უშუალოდ სოფლის ან ხევის დაცვას. ამის მაგალითია თუნდაც უშკული, სადაც მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, საერთო სახევო თავდაცვითი ნაგებობა, მაგრამ არა სვანური ტიპისა, მაინც იყო აშენებული. ამასთან კავშირში ყურადღებას იპყრობს ბ. ნიჟარაძის მიერ უშკულში ჩაწერილი მასალა ტოპინიმ „თუშრე ნამზიგვ"-ის შესახებ, რომელიც შეიცავს ცნობას ძველად აქ თუშების მოსახლეობაზე. ანგარიშგასაწევია აგრეთვე თქმულება, რომელიც „თამარის ციხეს" შეეხება. უშკულის მდებარეობა საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე, სადაც თავს იყრიდა მრავალი გადასავალი, სრულიად ბუნებრივად ხდის მოსაზრებას, რომ როგორც „თამარის ციხე", ისე არასვანური ტიპის კოშკები აშენებულია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ, რომელმაც შესაძლებელია მართლაც საჭიროდ მიიჩნია ამ ციხეში თუშური გარნიზონის ჩაყენება.

---

[1] М. Джандиери и Г. Лежава. Архитектура Сванетии, 6.

ბალსზემო სვანეთის დასახლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ლ ა ბ ა ვ. ლაბავი არის საოჯახო მფლობელობაში მყოფი დამხმარე სამეურნეო ბაზა, რომელიც გულისხმობს ქვის ან ხის ნაგებობას, საქონლის სადგომს, სახნავ-სათიბს და ზოგჯერ ბოსტანსაც. ბალსზემო სვანეთში შეკრებილი მასალის მიხედვით ლაბავი თავდაპირველად მესაქონლეობის ინტერესებს ემსახურებოდა, ხოლო სახნავ-სათიბი მას შემდეგ გაუჩნდა.

ლაბავიც სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში თავისებური გზებით ვითარდებოდა, მაგრამ თავისი დანიშნულებით და ტიპით არსებითად ერთი იყო. იმ შემთხვევაში, როდესაც ლაბავი იმართებოდა სოფლიდან შედარებით დაცილებულ ადგილას, საქონლის სადგომისა და საცხოვრებელი ნაგებობის გვერდზე სათიბ-სახნავიც ეწყობოდა. ძირითადი სახლიდან დაცილებულ ლაბავში პარალელური სამეურნეო ბაზის გაჩენა საშუალებას აძლევდა მეურნეს გაეფართოვებინა საოჯახო მფლობელობაში მყოფი სათიბი და ახლო ყოფილიყო საძოვრებთან. მაგრამ ეს ლაბავები, როგორც წესი, ისეთი ზონის ფარგლებში იყო მოქცეული, სადაც სიმინდი და ხორბალი არ მოდიოდა. ამიტომ აქ ლაბავის გაჩენის შემთხვევაში ქერისა და კარტოფილის მოყვანით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ. რიგ შემთხვევაში ლაბავი სოფლის ახლო მდებარე სანახებში ეწყობოდა და მეურნეს საშუალება ეძლეოდა სიმინდი და ხორბალი მოეყვანა. ასეთი შესაძლებლობის პირობებში მეურნე საგრძნობლად ზრდიდა სახნავ-სათესი მიწის ფართობს და უზრუნველყოფდა წლის გარკვეული დროის მანძილზე ლაბავში მყოფი ოჯახის წევრებს და საქონელს აქვე მოწეული მოსავლით. ასეთი ლაბავები ურწყავ ადგილებში იმართებოდა. მიწის გასანოყიერებლად აქ დაბინავებული საქონლის ნაკელს იყენებდნენ.

შესაბამისად იმისა, თუ რა მანძილით იყო ლაბავი დაცილებული საძოვარს, იცვლებოდა საქონლის მწყემსობის წესიც. ასე მაგალითად, მესტიელებს ზარგაშისა და ლავლადაშის ლაბავებიდან საქონელი გარკვეული დროის მანძილზე მთაში ყავდათ, ხოლო ლალუნვარილის, იროულდისა და მეფთქლაშის ლაბავების საქონელი მხოლოდ დღისით იყო მთაში — ღამით იგი ლაბავში იმყოფებოდა.

მაგრამ ლაბავის მნიშვნელობა და მისი ადგილი სვანთა ყოფაში ამით არ ამოიწურება. ლაბავი წარმოადგენდა ოჯახის სეგმენტაციის ეკონომიურ პირობას და ახალი დასახლების გაჩენის ერთ-ერთ გზას, რადგან ეს პარალელური სამეურნეო ბაზა ხშირად ედებოდა საფუძვლად გაყოფის შედეგად გაჩენილი ახალნაყარი ოჯახების დამოუკიდებელ არსებობას.

ლაზავი არ წარმოადგენს მხოლოდ სვანეთისათვის სპეციფიკურ მოვლენას. სხვადასხვა სახელწოდებით იგი საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვხვდება.

გურიაში იგი ა გ ვ ა რ თ ა-ს სახელით არის ცნობილი. ლანჩხუთის რაიონში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალით აგვართა ტყიან ჭალებში იმართებოდა და მიზნად ისახავდა საქონლის გამოკვებას ზამთრის მანძილზე, ე. ი. აგვართა მესაქონლეობის ინტერესებში ეწყობოდა, თუმცა აქვე სიმინდის ყანასაც იმართავდნენ და სათიბსაც. ხელსაყრელ პირობებში აქ დაზამთრებულნი მისდევენ ნადირობას, მეთევზეობას და მეფუტკრეობას[1].

ამ რიგის დამხმარე სამეურნეო ბაზა ს ა ყ ა ნ ე-ს სახელწოდებით იმერეთშიც იყო ცნობილი. ს. რომანეთში ჩაწერილი მასალით (სამსონ ხურციძე) ამ სოფლიდან 7 კილომეტრის დაცილებით მდებარეობდა ადგილი ს ი ლ ო-რ ი, რომელიც ს. რომანეთის გლეხებს გამოყენებული ჰქონდათ სახნავ-სათესად. მოსახლეთა ნაწილს საყანეში ძ ი რ უ ლ ი, ე. ი. ძირს დადგმული სახლი ჰქონდა, რომელიც ხშირად ჭ ე რ ე ბ ი ს ა გ ა ნ იყო ნაგები (ჭერი — გათლილი თხმელა, წაბლი და სხვ.), საყანე მიწათმოქმედების ინტერესებში ეწყობოდა, მაგრამ ბევრს ეს სახლი საქონლის დასაყენებლადაც ჰქონდა გამოყენებული — საქონელს ზამთარში აქ ინახავდნენ.

სამეგრელოს მთიანეთის იმ რაიონებს, სადაც მეჯოგეობას მისდევდნენ და მესაქონლეობა მეურნეობის საფუძველს შეადგენდა, ასევე ახასიათებდა დამხმარე სამეურნეო ბაზის არსებობა. ამ მხრივ აღსანიშნავია საზაფხულო და საზამთრო სადგომები. საკუთრივ ზამთარში მეგრელ მეჯოგეებს საქონელი ჭალადიდში ჩამოჰყავდათ, სადაც ყოველ ოჯახს ან შეამხანაგებული ოჯახების ჯგუფს კარე ჰქონდა დადგმული. აქვე კარავთან ახლოს წნელით შემორაგული ადგილი იმყოფებოდა, სადაც ღამით ძროხებს აყენებდნენ. ამ ადგილს ს. ჯგალში ჩაწერილი მასალით (ძაკა ვაღურის ძე კვარაცხელია) ა გ ვ ა რ ა ეწოდება.

ჭალადიდელ მეკარვეთა ერთი ნაწილი, რომელიც მიწის სივიწროვეს განიცდიდა, მიწას ამუშავებდა; მას იმდენი სიმინდი მოჰყავდა, რომ საზამთროდ სახლიდან სიმინდის წამოღება არ დაჭირებოდა.

მეგრელი „მეკარე"-ც გურული „მეაგვარე"-ს მსგავსად, პირობების და მიხედვით მეთევზეობა-მონადირეობას მისდევდა.

მეურნეობის ამ დამხმარე ბაზის მნიშვნელობაზე მიუთითებს აგრეთვე ტოპონიმიკური მასალა, რომელშიც მრავლად გვხვდება ქ ვ ა რ ც ხ ა ს კ ა რ ე,

---

[1] ა ლ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე. მეფუტკრეობა გურიაში. მსე, V, თბ., 1951 წ., 14 და შმდ.; მისივე. მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბ., 1960, 96 და შმდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიქავკარე, მათეშკარე, ბასასკარე, ტუფისკარე, ბა[illegible]ასკარე და სხვ.

ბზიფის აფხაზეთში აგვართა ტერმინის შესატყვისობას აგვარა წარმოადგენს. ს. აჩანდარაში ჩაწერილი მასალით იგი უმეტეს შემთხვევაში კომპოზიტის შემადგენელი ნაწილის სახით გვევლინება და სამეურნეო მიზნებით შემორაგულ ადგილს ნიშნავს. ასეთია: აშჷგუარა — საფუტკრე, აყჷგუარა, აუასაგუარა და აჴმაგუარა — ძროხისა, ცხვრისა და თხისათვის საზაფხულო საძოვრებში წნელით ან ყორით შემორაგული ადგილი.

იგივე მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვა ტერმინში ახახგუარა, რომელიც აღნიშნავს სალოცავში ქვის (ახა) ყორით შემორაგულ ადგილს. აქ კლავდნენ შესაწირავ ცხოველს, აცხობდნენ რიტუალურ პურებს და სხვა. ამავე დროს არსებობს ტერმინი აგვარწრთა, რაც საძოვრების განლაგების რაიონს ეწოდება განსხვავებით აჰჷგრთა-საგან, რომელიც საკუთრივ საძოვარს ნიშნავს. აქვე დამოწმდა ტერმინის აგვარფ ხმარება; ეს სიტყვა ნიშნავს საკარმიდამოს ფარგლებში შემორაგულ შიდა ეზოს, ძირითად საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ტერიტორიას, რომელიც ბაღ-ბოსტნისა და ვენახებისაგან ღობით არის გამოყოფილი.

საქონლის სადგომის აღსანიშნავად, აქ ისევე, როგორც ბზიფის აფხაზეთის სხვა სოფლებში, იხმარება მეორე ტერმინი, საკუთრივ აბორა, მაგრამ ამ სიტყვიდან ნაწარმოები საქონლის სადგომის აღმნიშვნელი ტერმინები გულისხმობდნენ დახურულ შენობას, რომელიც საკარმიდამო ტერიტორიაზე ან საზამთრო საძოვრებში იყო მოწყობილი და არა მხოლოდ წნელით თუ ქვის ყორით შემორაგულ ადგილს.

ს. დურიფში და ათხარაში ჩაწერილი მასალით მძიმე ზამთრის პირობებში საქონელი გარეთ არ გაჰყავდათ; საამისოდ აგებული ჰქონდათ აბორა, რომელიც წარმოადგენდა თხილის ტოტებისაგან მოწნულ გრძელსა და ოთხკუთხა შენობას, გადახურულს გვიმრით (ათგრა) ან ისლით (კარმაშ), რომელსაც შიგნით საჩალე (აჩუხჩარ) ჰქონდა გაკეთებული.

აქა-იქ ტერმინ აგვარა-სთან პარალელურად, მაგრამ უფრო ვიწრო მნიშვნელობით აგვართა-ც გვხვდება. ს. ს. აჩანდარაში და ათხარაში ჩაწერილი მასალით აგვართა ეწოდება საქონლისათვის მხოლოდ საძოვრებში ქვით ან წნელით შემორაგულ ადგილს.

აქვე დავსძენთ, რომ თურქულენოვანი ბალყარლები საქონლის სადგომს აღნიშნავენ ტერმინით ბაუ, ხოლო ყაბარდოულში ცხენის სადგომი — თავლა აღინიშნება ტერმინით ბო.

ამრიგად, სვანური ლაბავის ანალოგიურია: გურული ა გ ვ ა რ თ ა, აფხაზური ა გ ვ ა რ ა და ა ბ ო რ ა, მ ე გ რ უ ლ ი ს ა კ ა რ ე || ს ა კ ა რ ა, იმერული ს ა ყ ა ნ ე. ჩრდილოეთ-კავკასიურ თურქულენოვან ტომთა ყოფიდან პარალელურ მასალად შეიძლება დავასახელოდ ბალყარული ბ ა უ, რომელიც სვანურის (ლაბავ-ბაუ) სრულ შესატყვისობას წარმოადგენს.

ტერმინოლოგიურად, როგორც ჩანს, სვანური ლაბავ ნაწარმოებია ბ ა უ-დან, რომელიც ბალყარულ ბაუ-სთან არის დაკავშირებული, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ორივე ეს ტერმინი გარკვეულ ურთიერთობაშია ყაბარდოულ ბო-სთან და აფხაზურ ა-ბო-რა-სთან.

რაც შეეხება აგვართა-ს, იგი სხვა წარმომავლობის ტერმინი ჩანს. ქართა, ზოგ წყაროში აღნიშნავს საქონლის დასადგომად შემოღობილ ადგილს[1]. ოსურში ჩვენ გვაქვს кæрт[2] ეზოს მნიშვნელობითაც. ეს სიტყვა ვგონებთ დაკავშირებულია აფხაზურ აპəგრთა-სთან რომელიც საძოვარს ნიშნავს. სვანური ლგქგრთა[3], ადვილი შესაძლებელია, ოსური ქგრთა-ს, მეგრული და აფხაზური ა-გვართა-ს პარალელურ ფორმას წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, თუ რა დასკვნები იქნება მიღებული ზემოხსენებული ტერმინების ურთიერთობის შესწავლის შედეგად, ამ ტერმინების ქვეშ ცნობილი ინსტიტუტის დიდი მნიშვნელობა ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში უდავო არის. ასეთია, ძირითად ხაზებში, ბალსზემო სვანეთის დასახლება, რომელიც გარკვეული ნიშნებით ხასიათდება, კერძოთ, მეურნეობრივი საქმიანობისათვის საჭირო მიწის ფართობი წარმოდგენილია მთლიანი და კომპაქტური გეოგრაფიული ერთეულის სახით, რომელიც მეზობელი ხევის ტერიტორიისაგან მტკიცედ ლოკალიზებული ბუნებრივი საზღვრებით არის გამიჯნული, რასაც თავდაცვის თვალსაზრისითაც სრულიად გარკვეული მნიშვნელობა აქვს. დასახლება დაფერდებულია; ზოგჯერ იგი ტერასისებურ დასახლებას უახლოვდება. მას ახასიათებს შეჯგუფულობა. იგი სამოსახლოების მიხედვით არის ჩამოყალიბებული. სახმარი მიწის ნაკვეთები დასახლებულ პუნქტს უშუალოდ ემიჯნება და გარკვეული რიგით არის განლაგებული — ჯერ სახნავი, შემდეგ სათიბი და ბოლოს ტყე და საზაფხულო საძოვარი. ამასთანავე ეს ნაკვეთები ხევში შემავალი სოფლების მიხედვით არის მიმხრობილი. დასახლების ძირი-

[1] Документы по истории Грузии (1862—1917), т. I, ч. I, под ред. Ш. Ч х е т и а, Тб., 1954, 447.

[2] В. А б а е в. Историко-этимологический словарь осетинского языка, М.—Л., 1957, кæрт. შდრ. ინგუშური ქგრთ ღობის მნიშვნელობით.

[3] ეცერის ერთ-ერთი სათიბის სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თადი უჯრედი — კარმიდამო — საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსის სახით არის წარმოდგენილი, რომლის შემადგენელი ელემენტები ძირითადად ვერტიკალურადაა განლაგებული. მისთვის დამახასიათებელია საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ფუნქციების ერთობლიობა, რომელიც ერთნაირად უპასუხებს, როგორც საოჯახო, ასევე საერთო სასოფლო (თუ სახევო) დაცვის ინტერესებს. ლაბავი, როგორც დამხმარე სამეურნეო ბაზა, დასახლების კომპლექსის ორგანული ნაწილია და ამასთანავე დასახლების მოცემული ფორმის ჩამოყალიბების პროცესის ერთ-ერთი აქტიური ინგრედიენტი.

ბალსზემო სვანეთის საცხოვრებელი კომპლექსები დაცვითი ფუნქციის თვალსაზრისით რიგ სახესხვაობას წარმოაჩენს. მათ შორის უმთავრესია ციხე-სახლი, მურყვამიანი სახლი და მურყვამ-გალავნიანი სახლი. ეს უკანასკნელი განვითარებულია სვანური მურყვამიანი სახლის საფუძველზე და ლატალელი ჩარკვიანების სახლებთან ერთად დადეშქელიანის სასახლის, ე. ი. სვანური ადრეფეოდალური ციხე-სიმაგრის ერთ-ერთ წინა საფეხურს წარმოადგენს.

მთელ სვანეთში ყველაზე რთული და ისტორიულ-ეთნოგრაფიულად ყველაზე ნაკლებად შესწავლილი უშკულია. მიუხედავად ამისა, ჩვენს ხელთ არსებული მასალა შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დასახლების ძირითადი ნიშნებით იგი ბალსზემო სვანეთს განეკუთვნება. უშკულიც ოთხი სოფლისაგან შედგება (ჟიბიანი, ჩვაბიანი, ჩაჟაში და მურყმელი), რომლებიც მდინარის გასწვრივ მდებარე ტაფობშია განლაგებული. დასახლების სიმჭიდროვე აქ შედარებით მაღალია. ტერასებურობა აშკარად არის გამოვლენილი. დასახლებული პუნქტები და მათი მიმხრობი ძირითადი სახმარი მიწები გეოგრაფიულად ერთს კომპაქტურს, ბუნებრივ მთლიანობას ქმნიან, ერთობლივსა და ქედებით შემოზღუდულს.

უშკული გვაძლევს ციხე-სახლის სვანეთისათვის ყველაზე დასრულებულსა და ტიპიურ ფორმას. უშკულის ციხე-სახლის სამსართულიანობა, ციკლოპური წყობა, მისი გაბარიტები და საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ფუნქციების სრული შერწყმულობა მთური სახლის განვითარებულ ფორმას წარმოადგენს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა მარტო სვანეთის, არამედ საერთოდ მთური სახლების ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაში უშკულის ციხე-სახლს ძირითადი რგოლის ადგილი უნდა მიენიჭოს.

ასევე საყურადღებო ჩვენებას შეიცავენ უშკულის კოშკები. უშკულში ფიქსირებულია ორი სხვადასხვა ტიპის კოშკი. ერთი სვანური მურყვამის ძირითადი ნიშნებით ხასიათდება. მეორე ტიპის კოშკი განსხვავდება პირველისა-

გან როგორც წყობით, ასევე სიმაღლით, მოყვანილობით და, განსაკუთრებით, გადახურვის სისტემით და მაშიკულების ფორმით. მეორე რიგის კოშკები ამ უკანასკნელი ნიშანთვისებით აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთში, განსაკუთრებით თუშეთში, ხევსურეთში, ინგუშეთში ცნობილ კოშკებს უახლოვდება.

სვანური ტიპის მურყვამებს შორისაც საყურადღებო განსხვავება შეინიშნება. ამ განსხვავებას ქმნის როგორც ნაგებობის გაბარიტები, ასევე მაშიკულების რაოდენობა. ჩვაბიანში ფიქსირებული დუბლირებული მურყვამი ცალკე არის აღსანიშნავი.

უშკულის დასახლების სოციალური ბუნების გასაგებად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ 1. უშკულის ყველა ძველ სახლს (ციხე-სახლების გარდა) როგორც წესი თავისი კოშკი გააჩნდა. 2. უშკულს გააჩნდა საერთო სათავდაცვო ნაგებობა, რომელიც ბალსზემო სვანეთის არც ერთ სხვა ხევს არ ჰქონდა — ამ ნაგებობას ეწოდება ა ბ უ ა ს დ მ უ რ ყ ვ ა მ; 3. უშკულის სახლთა უმრავლესობას მურყვამში გამოყოფილი ჰქონდა ადგილი — დ ი ლ ე გ, — რომელიც ბალსზემო სვანეთის დანარჩენ კუთხეებში ზოგჯერ სახლის ქვედა სართულის ქვეშ იყო მოთავსებული.

მიუხედავად ზემოაღნიშნული განსხვავებისა, რომელსაც უშკულის შესახები ეთნოგრაფიული მასალა წარმოაჩენს, მისი დასახლების ძირითადი ნიშნების მიხედვით იგი ბალსზემოური დასახლების ფორმას განეკუთვნება.

## 2. ბალსქვემო სვანეთი

ბალსქვემო სვანეთის დასახლების შესწავლის მიზნით უფრო ვრცლად ეცერზე შევჩერდებით, რადგან ეცერი წარმოადგენდა დადეშქელიანების ძირითად რეზიდენციას და ამით გამოწვეული თავისებურება, მოსალოდნელია, აქ უფრო იჩენს თავს.

ტერიტორიას, რომელზედაც ეცერში შემავალი ძირითადი სოფლებია მოთავსებული, ჩრდილოეთით საზღვრავს ქედი ბაჸ[1] ორი მწვერვალით: წგრნიარ და ნენსგაშ ლაჸვ. ამ ტერიტორიის დასავლეთის საზღვარს წარმოადგენს ამავე ქედის განტოტება ფარიშ ლაჸვ, რომლის ზედა ნაწილი ფარს ეკუთვნის, ხოლო ქვედა ნაწილი — ეცერს. ეს ქედი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიემართება და თითქმის მდ. ენგურის ხეობამდე ჩადის. აღმოსავლეთიდან ეცერს საზღვრავს იმავე ბაჸის განტოტება — ველარ, რომელიც ასევე ჩრდილოეთიდან

---

[1] ბაჸ სვანურში ორწვერიან მთას ნიშნავს.

სამხრეთისაკენ არის მიმართული, მაგრამ მდინარეს არ აღწევს და ჩუმათის სახელწოდებით ცნობილ პატარა პლატოს უერთდება. ეს ქედი და მისი ორი განტოტება საზღვრავს ფართო, დავაკებულ და მდინარისაკენ დაქანებულ ტერასას, რომელიც სამკუთხედის სახეს ატარებს, წვერით ებჯინება ბაჯს, ხოლო ფუძით მდ. ენგურის საკმაოდ მაღალ ნაპირს.

ეცერი მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. მდინარის მარცხენა ნაპირას და მის მიმართ პარალელურად მაღალი ქედი ჩამოდის, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ასევე ბაჯს უწოდებს.

საკუთრივ ეცერის ტერიტორიაზე ორი მდინარეა, რომლებიც ზედა ბაჯის ქედის ძირიდან გამოდიან. მათ შორის ერთი (დახშარ) ფარის მთას მოჰყვება ძირ-ძირ, ხოლო მეორე (კედგრლა) — ველარს.

ეცერის წისქვილები და მარცვლის სარეცხი ღებები ამ მდინარეთა გასწვრივ არის განლაგებული.

ეცერს თავისი მინერალური წყლებიც გააჩნია სოფ. ჰელირის თავში.

ამგვარად, ეცერის ტერიტორია წარმოადგენს საკმაოდ მოზრდილ დაქანებულ ვაკობს, რომელიც სავსებით უზრუნველყოფილია წყლით, შემოზღუდულია სამი მხრიდან მთებით, ხოლო სამხრეთიდან მდინარის ხეობით, რაც მის კლიმატურ პირობათა შედარებით თანაბრიანობას უზრუნველყოფს და თავდაცვას აადვილებს. რადგან ამ ვაკობის შექმნაში მდინარეები მონაწილეობდნენ, მისი ნიადაგი მაღალი სამეურნეო თვისებებით ხასიათდება. ზემოხსენებულ ბუნებრივ პირობათა გამო მთელს ზემო სვანეთში ეცერი ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო სამოსახლო ადგილად.

დასახელებულ ტერიტორიაზე განლაგებულია ეცერში შემავალი 16 დასახლებული პუნქტი.

ეცერს, მის ქვედა ნაწილში, მთავარი საგზაო მაგისტრალი გადაჰკვეთს, ამ მთავარ მაგისტრალს სამარხილე გზებით უკავშირდება ქვევიდან ლადრერი, ლაშხრერი და ლანტელი, ხოლო ზევიდან — ფხოტრერი და უღვალი. ეცერის ზედა ნაწილის ვაკობში განლაგებული სოფლები — ჰელირი, სვიფი, ბარში და ისკარი მთავარ გზას სასოფლო გზებით უკავშირდებიან. გარდა ამისა, ამ სოფლებს ერთმანეთთან სამარხილე გზები და საცალფეხო ბილიკები აკავშირებს.

ამგვარად, ეცერში შემავალი სოფლების ძირითადი ბირთვი ბუნებრივი საზღვრებით მტკიცედ შემოზღუდულ ტერიტორიაზე არის მოქცეული და კომლთა რაოდენობის მხრივ მცირერიცხოვანია (მიხ. 3, მაქ. 33). მართალია, ეს სოფლები ისეთი ტერიტორიული სიახლოვით არ ხასიათდებიან, როგორც ეს მესტიის და მით უმეტეს უშკულის სოფლების მიმართ შეინიშნება, მაგრამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არც ისე არიან ერთმანეთს დაცილებულნი, როგორც მაგ., ლატალში. ლეშრერ-ჭელირის გზა, რომელზედაც 7 სოფელია განლაგებული, 4 კილომეტრს არ აღემატება, ხოლო ეცერის აღმოსავლეთით და დასავლეთით მდებარე უკიდურესი სოფლები (უღვალი და ფხოტრერი) ერთმანეთისაგან ორიოდე კილომეტრით არიან დაცილებულნი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ისეთ შედარებით მრავალკომლიან სოფლებში, როგორიცაა ისკარი და ბარში, უბნები არ არის გამოყოფილი. ყოველი ცალკეული სოფელი სამოსახლოებისაგან შედგება და მჭიდროდ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენს, რომელთა შორის ფერდობებზე განლაგებული სოფლები (ქურაში, უღვალი) ტერასებურს უახლოვდება.

აქაც, ისევე როგორც მესტიაში, ეცერს გააჩნდა საერთო სვიფი, რომელიც ს. ბარშში მდებარეობდა. გარდა ამისა, ეცერის ყველა სოფელს თავისი სასოფლო სვიფი ჰქონდა.

მაგრამ, ამასთან ერთად, ეცერის დასახლების ტოპოგრაფიის ზოგი ნიშანი მესტიისაგან, უშკულისაგან და ბალსზემო სვანეთის სხვა კუთხეებისაგან განსხვავებულ სურათს წარმოადგენს. ამ მხრივ პირველყოვლისა აღსანიშნავია დარღვევა ტერიტორიული ერთობლიობისა, რომელიც დამახასიათებელია მესტიისა და უშკულისათვის. დასახლების ტერიტორიის ამ ბუნებრივი მთლიანობის რღვევის მაგალითებია ძველად ბეჩოში შემავალი ჰებუთისა და ცხუმარში შემავალი კალაშის შემოერთება, ეცერის ბუნებრივი საზღვრების გარეთ მისი ისეთი ახალი დასახლებული პუნქტების გაჩენა, როგორიცაა გვალდერი და სხვა. სათიბებისა და საძოვრების მოწყობა ქვედა ბაჯის სამხრეთ კალთებზე კიდევ ერთი ფაქტია, რომელიც დასახლების ტერიტორიის ბუნებრივი მთლიანობის რღვევაზე მიუთითებს. სოფლების ასეთი გადანაცვლება ბალსქვემო სვანეთში, მათი გადასვლა ერთი ხევიდან მეორე ხევის ფარგლებში, შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ ჩუბე ხევი დადეშქელიანების სხვადასხვა შტოთა შორის დანაწილდა, თუმცა ეს დანაწილება მყარი არ აღმოჩნდა. ბეჩოს, ცხუმარის, ეცერის და ფარის დადეშქელიანთა შორის გაუთავებელი „დინასტიური“ დავის გამო ზოგიერთი სოფელი ხშირად იცვლიდა მეპატრონეს.

მესტიის მსგავსად ეცერშიაც სახნავ-სათესი და სათიბ-საძოვრების ძირითადი ფონდი ერთი მთლიანი კომპაქტური მასივის სახით არის წარმოდგენილი და ეცერის ზემოაღნიშნულ ბუნებრივ საზღვრებს შორის მოქცეული. ამასთან ერთად, ეცერის შიგნით ეს ნაკვეთები განლაგებული იყო ცალკეული სოფლების მიმხრობით. ამ სახმარი მიწებიდან სახნავ-სათიბის მნიშვნელოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი უშუალოდ ემეზობლებოდა იმ სოფლებს, სადაც ამ ნაკვეთების მფლობელები ცხოვრობდნენ. ასევე იყო საძოვარიც, მაგრამ რადგან ეს უკანასკნელი სასოფლო მფლობელობაში იმყოფებოდა, იგი სოფელთა ჯგუფების მიხედვით იყო განაწილებული.

მაგრამ სახნავ-სათიბი მიწების განლაგების მხრივ, ეცერის ეთნოგრაფიულ მასალაში რიგი ახალი მომენტი იჩენს თავს, რომლებიც გარკვეული კანონზომიერების დადგენის შესაძლებლობას გვაძლევს. ეს მასალა პირველყოვლისა სახნავ-სათიბი მიწის ნაკვეთების მფლობელობის მხრივ განლაგების საკმაოდ შორს წასულ აღრევაზე მიუთითებს. ნაკვეთებით შერეული წესით სარგებლობის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს ჩუმათი წარმოადგენს, რომელიც ს. ლანტელის ტერიტორიას ეკუთვნის, მაგრამ რომელშიაც თავ-თავისი ნაკვეთი ჰქონდა ეცერის თითქმის ყველა სოფლის წარმომადგენელს.

მაშასადამე, ეცერის სამეურნეო ნაკვეთების ტოპოგრაფიაში შეინიშნება სახნავ-სათიბი მიწების სოფლების მიხედვით განლაგების პრინციპის დარღვევის ხშირი ფაქტები.

ბალსქვემო სვანეთის დასახლების ფორმის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეცერში დამოწმებულ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსის თავისებურებებს.

ჩვენს მიერ ფიქსირებული მასალით ეცერში საკარმიდამო კომპლექსის ოთხი სახესხვაობის არსებობა ვლინდება. ეს სახესხვაობანი ყველაზე უფრო მკვეთრად საცხოვრებელ ნაგებობაში იჩენს თავს. ამ ოთხ სახესხვაობათა შორის ერთია მ უ რ ყ ვ ა მ ი ა ნ ი ს ა ხ ლ ი, როგორც ეტყობა, ბალსზემოსვანური სახლის რიგისა, რომლის ნაკვალევია დარჩენილი ისიც მხოლოდ კოშკების ნანგრევების სახით. ზემოთ დასახელებული კოშკები დღეს იმდენად დანგრეულია და გამოთიშული საკარმიდამო კომპლექსიდან, რომ მისი ძველი სურათის აღდგენა ვეღარ ხერხდება. მაგრამ ამ სახითაც ისინი დამაჯერებლად მეტყველებენ იმის სასარგებლოდ, რომ ბალსზემო სვანეთისათვის დამახასიათებელი კარმიდამო მურყვამიანი სახლის სახით ეცერშიაც დასახლების ძირითადი უჯრედის გაბატონებული ფორმა უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებით ეს ითქმის ქვედა ეცერის შესახებ, რომელიც ს. ბარშს, საკუთრივ დადეშქელიანების რეზიდენციას ყველაზე უფრო დაცილებული იყო, რიჩიგიანების სამოსახლოს წარმოადგენდა და რომელმაც, შესაძლებელია, სწორედ ამის გამო ყველაზე უფრო დიდ ხანს შემოინახა მურყვამი.

ეცერში აღწერილი საკარმიდამო კომპლექსის მეორე სახეობას ს ვ ა ნ ი რ ი ა ნ ი ს ა ხ ლ ი წარმოადგენს. ყველაზე უკეთ შემონახული სახით ამ ტიპის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლი დამოწმებულია ს. ბარში; იგი ეკუთვნის ამჯხა გაგუას ძე გურჩიანს, სამხუბით დეტუარეს. სახლი შედგება ორი ნაწილისაგან ქ ო რ და ს ვ ა ნ ი რ. ქორ ტიპიური სვანური ორსართულიანი ქვის ნაგებობაა ს გ ი რ ი თ და დ ა რ ბ ა ზ ი თ. ამ რიგის სახლს ბალსზემო სვანეთისათვის და განსაკუთრებით უშკულისათვის დამახასიათებელი ნაწილები გ ვ ე მ და დ ი ლ ე გ არ გააჩნია; საკუთრივ გვემ, ასეთს სახლში, მურყვამშია გადატანილი.

სვანირ — სამსართულიანი კოშკია, მაგრამ სვანურ მურყვამთან შედარებით ბევრად დაბალი. ერთის შეხედვით იგი თითქოს მიდგმულია სახლზე, მაგრამ სინამდვილეში მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. ამ სვანირის ქვედა სართული (გვემ) გამოყენებულია სურსათ-სანოვაგის შესანახად; მეორე სართულში საცხოვრებელი ოთახი იყო გაწყობილი; მესამე სართული დაცვის ინტერესებს ემსახურებოდა — აქ ინახებოდა იარაღი, თოფისწამალი, ლოდები და სხვა.

დასახელებული სვანირიანი სახლიდან ასიოდე მეტრის დაცილებით მეორე ამავე რიგის სახლი იდგა, რომელიც, მართალია, დანგრეულია, მაგრამ მაინც იძლევა სვანირიანი სახლის შესახებ კონკრეტული წარმოდგენის შექმნის შესაძლებლობას.

შედარებით კარგად არის დაცული ასეთივე სვანირიანი სახლი ს. ჭელირში; ეს სახლი ეკუთვნის ვალო პაკელიანს სამხუბით ნაველერს. გვგონია ამავე რიგისა უნდ ყოფილიყო ს. სვიფში ჩვენს მიერ აღწერილი სახლი, რომელიც აღწერისას ბათურ აფრასიძეს ეკუთვნოდა; მას გადაკეთების აშკარა ბეჭედი აზის. ამავე რიგის სახლები ს. ისკარშიაც არსებობდა.

ეცერში გამოვლინდა საცხოვრებელი სახლების კიდევ ერთი სახე, რომელსაც ს ა ნ ც ხ ვ ი რ ი ა ნ ი ს ა ხ ლ ი ეწოდება. იგი უკოშკო არის; თავდაცვით ფუნქციას ასრულებს სახლის ერთ კუთხეზე მიშენებული ქვის ბუდე, რომელსაც სათოფურები აქვს დატანებული. ზოგჯერ სანცხვირი ასეთ სახლს უკეთდებოდა სახლის კუთხის ორივე სართულის გასწვრივ, როგორც ეს ს. ლანტელშია დამოწმებული, ხოლო ზოგჯერ — კუთხის ნაწილს, ზედა სართულის გასწვრივ, როგორც ეს ს. ჭელირის ერთ მაგალითზე მოჩანს.

ეცერში გავრცელებულ სახლთა შორის ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ისეთი საცხოვრებელი ნაგებობანი, რომელთაც დაცვითი ფუნქციის მქონე ნაწილები არ გააჩნიათ. ასეთია მაგ. ს. ისკარში აღწერილი კოსტა ბეგსოლთანის ძე გერლიანის სახლი, რომელსაც ყალბი სათოფურები მოყოლებული აქვს ლავგარდანის მსგავსად კედლის ზედა ნაპირზე და ამდენად მხოლოდ დეკორატიული დანიშნულებისაა. ეს დეკორატიული მოტივი ახალი სახლების მშენებ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლობისას ეხლაც ხშირად გამოიყენება. ძველად სახლის ეს ელემენტი, როგორც ჩანს, მხოლოდ დეკორს არ წარმოადგენდა.

ამგვარად, ეცერში დამოწმებული საცხოვრებელი სახლები დაცვითი ფუნქციის მქონე ელემენტების ფორმა-მდებარეობის თვალსაზრისით ოთხი ძირითადი ჯგუფისაგან შედგება: მურყვამიანი, სვანირიანი, სანცხვირიანი და შდუროიანი სახლები.

სვანური სახლის დაცვითი ფუნქციის მქონე ელემენტების ზემოთ აღნიშნული სახესხვაობანი, ვფიქრობთ, განვითარების თანმიმდევარ საფეხურებს ასახავენ. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ საქმე გვაქვს სახლის ამ ფუნქციის მნიშვნელობის თანდათანობითი დაკნინების პროცესთან. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ბალსზემო სვანეთში, რომელიც არქაული ტრადიციების უფრო მტკიცე შემონახულობით ხასიათდება[1], სვანირიანი სახლი არ წარმოადგენს ტიპიურ მოვლენას. მეორეს მხრივ, ბალსქვემო სვანეთში და განსაკუთრებით დადეშქელიანების სარეზიდენციო ეცერში, სადაც თავდაცვა შედარებით ცენტრალიზებული იყო, დადეშქელიანების სასახლის ირგვლივ უხვად მოიპოვება ის ახალი ნიშნები, რომლებიც სახლის ინდივიდუალური დაცვის ფუნქციის დაკნინებაზე მიუთითებენ.

ეს გარემოება მით უფრო დამაჯერებელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ ამა თუ იმ სახის დაცვის მქონე სახლების განლაგების სქემას, რომლის თავისებურება ყველაზე უფრო თვალნათლივ ს. ს. ბარშისა და ისკარის მასალაში მოჩანს. ს. ბარშის ტოპოგრაფიულ გეგმაზე კარგად შეინიშნება, რომ სამხრეთ მისადგომებიდან მას ჩამოყოლებული აქვს ჯერ სანცხვირიანი სახლები, მეორე ზოლად ამ სახლებს მოყვება სვანირიანი სახლები, ხოლო ამათ ზურგს უკან დადეშქელიანების გალავნიანი ციხე-კოშკი იმყოფება. უფრო მკრთალად, მაგრამ სრულიად უეჭვოდ ეს გარემოება თავს იჩენს ს. ისკარის დასახლებაში; ეს სოფელი თავის მხრივ ეცერის გულს — ს. ბარშს იცავდა. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ ბალსზემო სვანეთის ტიპიური დასახლების ტოპოგრაფიას, მესტია იქნება ეს თუ მულახი (მაგრამ უშკულის გარდა), სადაც მთელი სოფლის გამაგრება შედარებით მსგავსი სახლების დაჯგუფების სახით არის წარმოდგენილი, ხოლო ამავე დროს ყოველი ცალკეული სახლის დაცვის ფუნქციის თვალსაზრისით დამოუკიდებელია და სხვასთან თანატოლფარდოვანი, არსებითი განსხვავების დადგენა ბალსზემო და ბალსქვემო სვანეთის დასახლების ტოპოგრაფიულ ნიშნებში ძნელი არ იქნება. ამ განსხვავების გამოვლინებას და მისი სოციალური მნიშვნელობის სწორად გაგებას ხელს

[1] Ш. Амиранашвили. История грузинского искусства, М., 1963, 342.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწყობს აგრეთვე ლატალის შესახებ ზემოთ მოტანილი მასალა, რომელიც ჩარკვიანების დასახლებას ასახავს და მის თავისებურებას წარმოაჩენს.

ამჟამად დადეშქელიანების სასახლე საკმაოდ დანგრეულია და მსჯელობა მხოლოდ მისი ზოგადი კონტურების შესახებ შეიძლება, მაგრამ XIX ს-ის ოთხმოციან წლებში იგი ჯერ კიდევ ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ იმდროინდელი აღწერილობის მიხედვით შეიძლება მის შესახებ კონკრეტული წარმოდგენის შექმნა. ამ მხრივ საყურადღებოა ი. ივანიუკოვისა და მ. კოვალევსკის აღწერილობა[1]. ათიოდე წლით ადრე ა. სტოიანოვს საშუალება ჰქონდა შეედარებინა გარდაფხაძეებისა და დადეშქელიანების საცხოვრებელი სახლის შიდამოწყობილობა. როგორც ამ აღწერილობიდან ირკვევა[2], იგი ეხება დადეშქელიანების სასახლის გვერდით მიშენებულ მეგრულ ოდას, რომელშიაც ამ დროს დადეშქელიანები ცხოვრობდნენ. ახალი საცხოვრებელი სახლის აშენების შემდეგ ძველი სასახლე დამხმარე ნაგებობად იქნა გამოყენებული. აქ იდგა საქონელი, ინახებოდა მარაგი, ცხოვრობდა მოსამსახურე პერსონალი. უვაროვას უფრო გვიანდელი და რამდენადმე უფრო სრული აღწერილობით დადეშქელიანების ძველი სასახლის მახლობლად აშენებული იყო ორი მეგრული ოდა[3]. უვაროვასაც შეუმჩნევია მთელი რიგი ნიშანი, რომელიც დადეშქელიანის სასახლეს რიგითი გლეხის საკარმიდამო კომპლექსთან აახლოვებს, თუმცა ავტორი იქვე დასძენს, რომ დადეშქელიანების საცხოვრებელი სასახლის ნიშნებსაც ატარებს. ეს თავისებურება რაღაც სახით ფარელი დადეშქელიანების სასახლესაც ეტყობოდა. ბესარიონ ნიჟარაძის სიტყვით: „სასახლე ფარელ დადეშქელიანებს შიგ სოფელში ჰქონდათ. იგი, გარდა სიდიდისა, არაფრით განირჩევა სვანურის სახლებისაგან“[4].

მაშასადამე, გარდა იმ განსხვავებისა, რომელიც შეინიშნება რიგითი მოსახლეობის საცხოვრებელ სახლებში და რომელიც საკარმიდამო კომპლექსის დაცვითი ფუნქციის თანდათანობით დაკნინებაზე მიუთითებს, გარკვეული სხვაობა ვლინდება აგრეთვე დადეშქელიანებისა და რიგითი მოსახლეების სამოსახლო კომპლექსებს შორის. ის გარემოება, რომ ეცერელი დადეშქელიანების სამოსახლო კომპლექსი „სასახლის ნიშნებს“ ატარებს, სწორედ ამ განსხვავებაზე უნდა მიუთითებდეს. მაგრამ წოდებრივი სხვაობა დასახლების

---

[1] В Сванетии. Из путешествия И. Иванюкова и М. Ковалевского, Вестник Европы, 1886, т. V, кн. 8, 569.

[2] А. Стоянов. Путешествие по Сванетии, ЗКОРГО, кн. X, в. II, Тб., 1876, 302.

[3] Поездка в Пшавию, Хевсуретию и. Сванетию Уваровой, 44.

[4] თავისუფალი სვანი. იალბუზის გარშემო, „ივერია“, 1889, № 100.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფორმაშიც მჟღავნდება. სვანირიანი, სანცხვირიანი და შდუროიანი სახლების განლაგების ის სისტემა, რომელიც ს. ბარშში დადგინდა და, რომლის მთავარ ამოცანას შეადგენდა დადეშქელიანის სასახლის დაცვა, ასევე თვალნათლივ მიუთითებს წოდებრივ კუთვნილებაზე, როგორც გარკვეულ ფაქტორზე ეცერის განვითარების პროცესში. როგორი მდგომარეობა იყო ამ მხრივ დადეშქელიანებამდე, მაშინ როდესაც ეცერში რიჩიგიანები მძლავრობდნენ, ჩვენ არ ვიცით. სვანური ხალხური სიმღერის ერთი ნაწყვეტის მიხედვით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ რიჩიგიანების საცხოვრისი ს. ლადრერი იყო, სადაც მათ ცალკე უბანი სახელად გოკერ ჰქონდათ დასახლებული[1], ისე როგორც ეს ლატალელი ჩარკვიანების მიმართ იყო შენიშნული. ამ სიმღერის მიხედვით რიჩიგიანები ლადრერიდან ბარშელ დადეშქელიანებს ებრძოდნენ.

ისევე, როგორც ბალსზემო სვანეთში, ბალსქვემოშიაც დასახლების პუნქტების ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ლაბავს. ეცერში შემავალ სოფელთა შორის იყო ს. გვალდერი. ძველად ამ ადგილს სოფლად არ მოიხსენიებდნენ — მას გ ვ ა ლ დ ე რ ი შ ლ ა ბ ა ვ ეწოდებოდა. მესაქონლეობის დამხმარე ბაზად გაშენებულ ლაბავებში თანდათან სახნავსათესი მიწები გაჩნდა და ბოლოს ლაბავი მუდმივი დასახლების ადგილად იქცა.

ლაბავების ბაზაზე მკვიდრი დასახლებული პუნქტის ჩამოყალიბების ტიპიური მაგალითია ჭუბერი, რომელიც ჩუბეხევის ნაწილს შეადგენს და ბალსქვემო სვანეთის განაპირა ხეობას ეკუთვნის. ჭუბერი ჭუბრულას ხეობაშია გაშენებული; იგი გაშლილია და ცალკეულ სოფელთა ჯგუფებისაგან შედგება. ყოველი სოფელი საკარმიდამო სქემის მიხედვით არის განლაგებული და ამით იგი საგრძნობლად განსხვავდება ბალსზემო სვანეთის სხვა სოფელთა დასახლებისაგან. დასახლების ეს თავისებურება გამოწვეულია პირველყოვლისა იმით, რომ იგი გვიან არის შექმნილი და ამდენად ბალსქვემო სვანეთის ტიპიური დასახლების ტრადიციებისაგან მოწყვეტილია. ამავე მიზეზით იგი სიახლოვეს ამჟღავნებს ქვემო სვანეთის ისეთ დასახლებულ პუნქტებთან, როგორიცაა ბავარი და საერთოდ ხელედულას ხეობის ზედა ნაწილი. ამ მსგავსებას ქმნის ჭუბერისა და ბავარის დასახლების დროისა და პირობების თანხვედრილობა. ჭუბერი წარმოადგენდა იმ ტერიტორიას, რომელიც ჩუბეხევის მოსახლეობის მიერ გამოყენებული იყო დამხმარე პარალელური სამეურნეო ბაზის — ლაბავის — შესაქმნელად. მართლაც, ჭუბერში შემავალ სოფელთა სახელწოდების უმრავლესობა მოცემული გარემოს მეურნეობრივ მნიშვნე-

---

[1] А. Стоянов. Путешествие по Сванетии, 460.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობასთან არის დაკავშირებული. ასეთია ლეწფერი (წიფნარი), ლახამ (სალორე), ლარილარ (სათიბი), ლაკვლმახ (სათევზაო) და სხვა.

მაგრამ აქ ლაბავების გაჩენა პირველყოვლისა მეთხეობის ინტერესებით იყო გამოწვეული. ჩუბეხევს ლაბავები ჰქონდა ნაკრასა და ჰუბერში, რომლებიც შემდეგში ჩუბეხევში შემავალ სოფლებად იქცა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჰუბერის თანამედროვე მოსახლეობა ამ ტერიტორიის პირველი მოსახლეობა არ არის. მრავალრიცხოვანი ნასახლარები მოწმობენ, რომ ოდესღაც ეს კუთხე მჭიდროდ დასახლებული იყო[1].

## 3. ქვემო სვანეთი

ქვემო სვანეთში დასახლების ტოპოგრაფია უფრო მკვეთრ ცვლილებას განიცდის. ეს ცვლილება სხვადასხვა ფორმით, მაგრამ ერთნაირი დამარწმუნებლობით შეეხება როგორც დასახლების წესს, ასევე სამეურნეო ნაკვეთების განლაგებას და თვითონ კარმიდამოს.

პირველი და უმთავრესი განსხვავება, რომელიც შეინიშნება დასახლების ფორმაში ზემო და ქვემო სვანეთს შორის, ეს არის ტერიტორიის სიდიდე. როგორც ზემომოყვანილი მასალიდან ჩანს ბალსზემო და ბალსქვემო სვანეთს შორის ამ მხრივ არსებითი ხასიათის განსხვავების დადგენა ვერ ხერხდება. ხევის ძირითად ტოპოგრაფიულ ნიშანს წარმოადგენს საცხოვრებელ და სამეურნეო პირობათა ბუნებრივი მთლიანობა. თუ ბალსქვემო სვანეთის ეცერი ამ მხრივ საგრძნობლად აღემატება ბალსზემო სვანეთის მესტიას, ასევე აღემატება ბალსზემო სვანეთის მულახი ან ლატალი ბალსქვემო სვანეთის ლახამულას ან ფარს.

ქვემო სვანეთის ყველა სამი ძირითადი დანაყოფი — ლაშხეთი, ჩოლური და ლენტეხი — როგორც ტერიტორიით, ასევე მოსახლეობის რიცხობრიობით — ბევრად აღემატება ზემო სვანეთის ყოველ ცალკე აღებულ ხევს. მაგრამ ამ დანაყოფში შემავალი დასახლებული პუნქტების რაოდენობისა და სოფლის კომლთა რიცხობრიობის მხრივ ქვემო სვანეთი ზემოსაგან დიდად არ განსხვავდება. თუ ზემო სვანეთის ამა თუ იმ ხევში შემავალ სოფელთა რაოდენობა ზოგჯერ 16 აღწევს (ეცერი), დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა ქვემო სვანეთშიაც დასტურდება, სადაც ლაშხეთი 17 დასახლებულ პუნქტს მოიცავს, ჩოლური — 12, ხოლო ლენტეხი (წიფლაკაკიას ქვემოთ მდებარე სოფლების გამოკლებით) — 13.

[1] ს. ყაუხჩიშვილი, მენანდრე პროტიქტორი, გეორგიკა, ტ. III, ტფ. 1936, 208.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სხვა მდგომარეობა შეინიშნება სოფლების სიდიდის მიმართ. ქვემო სვანეთში, ისევე როგორც ზემო სვანეთში, მრავალკომლიანი სოფლები არ დასტურდება, მაგრამ სოფლის ტერიტორია საგრძნობლად მატულობს. ჩვენს ხელთ არსებული მასალა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს გარემოება მოსახლეობის სიმჭიდროვის თანდათანობით შემცირებით არის გამოწვეული, რასაც დასახლების ტოპოგრაფიაში ცვლილება უნდა შეეტანა. პირველი და უმთავრესი მიზეზი ამისა არის საკარმიდამო კომპლექსის ხასიათის შეცვლა. თუ ზემო სვანეთში ტიპიურს და საყოველთაო დასახლებას სამოსახლო დასახლება წარმოადგენს, ქვემო სვანეთში ეს დასახლება საკარმიდამო ხასიათს იღებს. ეს კი გულისხმობს სამოსახლოს ფართობის მნიშვნელოვან ზრდას.

სამეურნეო ნაგებობის გარეთ გამოტანა, ეზოს ზრდა, ბოსტნის გაჩენა და ზოგჯერ ვენახის გაშენება არსებითად სცვლიდა დასახლების ძირითადი უჯრედის ხასიათს და დასავლეთ საქართველოს ბარის დასახლებას უახლოვებდა. ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე ქვემო სვანური საკარმიდამო კომპლექსში კ ი რ ა ვ-ისა და ბ ე ღ ე ლ-ის გაჩენა.

სვანური დასახლების ეს ნიშან-თვისება კარგად აქვს შენიშნული მ. კოვალევსკის. მისი სიტყვით საკომლო დასახლების სისტემა ხშირად ხუტორულ ხასიათს იღებს სვანეთში[1]. ამ სიტყვებმა ბ. დეგენ-კოვალევსკის წყრომა გამოიწვია — დაკვირვებულსა და დინჯ მკვლევარს ეს სიტყვები რამ ათქმევინაო[2]. მაგრამ თუ მ. კოვალევსკი ქვემო სვანეთს ეხება და მისი დასახლების თავისებურების მკვლევას ცდილობს, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ იგი ჭეშმარიტებისაგან არც ისე შორს არის.

საამისო მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ლაშხეთი, საკუთრივ მისი ყველაზე მსხვილი დასახლების ერთეული სასაში. ეს სოფელი 4 უბნისაგან შედგება: ფარ (9 კ.), ლობრა (16 კ.), გოშჩერალ (19 კ.) და ლგგილჯი (27 კ.). ამ უბანთა შორის უძველესია გოშჩერალი; იგი ხასიათდება ქვემო სვანეთისათვის უძველესი ტიპის სახლების სიმრავლით და დასახლების სიმჭიდროვით. როგორც გადმოცემით ირკვევა დანარჩენი უბნები გვიან არის გაშენებული, და მართლაც, როგორც ახალი სახლების რაოდენობით ისევე გაშლილი განსახლებით, ზემოხსენებული სამი უბანი მკვეთრად განსხვავდება გოშჩერალისაგან. განსაკუთრებით ეს შეეხება ლგგილჯის, რომელიც მთლია-

---

[1] М. Ковалевский. Закон и обычай на Кавказе, I, М., 1890, 61

[2] Б. Деген-Ковалевский. დასახელებული ნაშრომი, 28, შენ. 2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნად უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე დასახლებული წყალდიდობით შეწუხებული გოშჩერალის ოჯახების მიერ.

სასაში, მთლიანად, გამლილი დასახლების სურათს იძლევა; ეს არის დასახლების ის ძირითადი ნიშანი, რომლითაც სასაში მკვეთრად განსხვავდება ბალსზემო და ბალსქვემო სვანეთის დასახლებისაგან. აქაც, ისევე, როგორც ზემო სვანეთში, სასაშის ტერიტორია გარკვეული გეოგრაფიული საზღვრებით არის შემოზღუდული. სამხრეთიდან მას მუაშის მთა აკრავს, ჩრდილოეთიდან ცხენის წყალი, ხოლო დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მუაშის მთის განტოტებანი. მაგრამ ერთის მხრივ ეს ტერიტორია ბევრად აღემატება ზემო სვანეთის ხევების ტერიტორიას, ხოლო მეორე მხრით, და რაც მთავარია, სასაშის კუთვნილი სახმარი მიწების ფართობები ამ გეოგრაფიულ ჩარჩოებში ვეღარ ეტევა და საგრძნობლად სცილდება მას. ეს არის დასახლების მეორე ძირითადი ნიშანი, რომლითაც სასაში განსხვავდება ზემო სვანეთის დასახლებისაგან.

აქვე ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარემოებას. ხევის ტერიტორიის ის გეოგრაფიული ერთობლიობა, რომელიც ხევის საცხოვრებელ და სამეურნეო პირობათა მთლიანობის ბუნებრივ საფუძველს წარმოადგენს და ბალსზემო სვანეთისათვის არის დამახასიათებელი, ხოლო ბალსქვემო სვანეთში ჯერ მხოლოდ რღვევის ნიშნებს წარმოაჩენს, ქვემო სვანეთში საბოლოოდ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას ხევის მიმართ და ინარჩუნებს მას მხოლოდ ხევში შემავალი ცალკეული სოფლების მიმართ. ლაშხეთს აღარ გააჩნია სახევო ტერიტორიის ისეთი მტკიცე გეოგრაფიული განსაზღვრულობა, როგორიც შეინიშნება ბეჩოს ან ცხუმარის, მესტიის ან უშკულის მიმართ. აქ ეს გეოგრაფიული განსაზღვრულობა დამახასიათებელი ნიშანია ლაშხეთის ხევში შემავალი სასაშისა და შგედისათვის, ჩოლურში შემავალი ტვიბისათვის, ლენტეხში შემავალი ხელედისათვის და სხვ. ე. ი. ხევში შემავალი ცალკეული სოფლისათვის და არა მთლიანად ხევისათვის.

ეს წარმოადგენს დასახლების კიდევ ერთ ნიშანს, რომლითაც ქვემო სვანეთი ზემოსაგან არის განსხვავებული.

სასაშის სახნავ-სათიბი მიწების ძირითადი მასივები წყალგამოლმა მდებარეობს და ერთ ბუნებრივ მთლიანობას ქმნის. ამასთან ერთად სასაშს გააჩნდა ისეთი სახნავ-სათიბები, რომლებიც ზემოთ დასახელებული ბუნებრივი საზღვრების გაღმა მდებარეობდა და ბალსზემო სვანეთის დასახლებისათვის დამახასიათებელ ბუნებრივ მთლიანობას არღვევდა. ასეთი იყო ლექვა ლჷჯი, ბოგალარ, კალოდარ, აშხანაშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ძირითადი ნიშნების მიხედვით ანალოგიურ დასახლებას ლაშხეთში შგედი წარმოადგენს. შგედშიაც, ისევე, როგორც სასაში, გამოირჩევა ამ სოფლის უძველესი უბანი — ნესგა შგედ, რომელსაც დასახლების შედარებით დიდი სიმჭიდროვე ახასიათებს, ვიდრე ამავე სოფლის სხვა, უფრო გვიან გაჩენილ უბნებს. იგივე ითქმის ს. ხელედის შესახებ, რომლის ხუთი უბნიდან (ლაშგმეშ, ძულარეშ, ქიბე და ჩუბე ხელედ და გიოშა) უძველესი უბანი — ქიბე და ჩუბე ხელედი — მაღალი სიმჭიდროვის ნიშნებით და ძველი ნასახლარებით გამოირჩევა.

ქვემო სვანეთის დასახლების იმ ნიშნებიდან, რომლითაც იგი ზემო სვანეთის დასახლებისაგან განსხვავდება, აღსანიშნავია სოფლის უბნებად დაყოფის მეტი სიმკვეთრე და თვითონ უბნების მეტი ჩამოკვეთილობა. ლენტეხიდან დასახლების თავისებურებათა მაგალითის სახით ხელედულას ხეობის ერთ უძველეს სოფელს — წანაშს დავასახელებთ. წანაში სამი უბნისაგან შედგება — ქიბე წანაშ (17 კ.), იფხალდ (10 კ.), ბენდაშ (16 კ.). სოფელი განფენილად არის განსახლებული. იგი საკარმიდამო დასახლების ტიპიურ ნიშნებს ატარებს, რაც ხელედულის ხეობისათვის საერთოდ არის დამახასიათებელი. მისი გეოგრაფიული საზღვრები მკვეთრად არ გამოირჩევა. სახმარი მიწების ფართობებიც გაფანტულია და იმ ბუნებრივ მთლიანობას მოკლებული, რომელიც ბალსზემო სვანეთისათვის არის დამახასიათებელი. ჭალის სათიბები სოფელს არ გააჩნდა. მისი სათიბები — ლობური — შორს იყო მთაში და ლამხუბების მფლობელობაში იმყოფებოდა. ამის გამო ყოველწლიურად მისი გადანაწილება ხდებოდა. რამდენადმე უფრო შემჭიდროებული დასახლების სურათს ხელედი წარმოადგენს, თუმცა საკარმიდამო დასახლება და სახმარი მიწების გაფანტულობა ამ დასახლებასაც ქვემო სვანეთის დასახლების ტიპიურ ნიშნებს ანიჭებს.

ზემომოყვანილი მაგალითები ცხადჰყოფენ, რომ ქვემო სვანეთში ჩვენ გვაქვს დასახლების ისეთი ფორმა, რომელიც ძირითადი ნიშნებით მკვეთრად განსხვავდება ზემო სვანეთისათვის დამახასიათებელი დასახლების ფორმათაგან.

ქვემო სვანეთის ეთნოგრაფიულ მასალაში, რომელიც საკარმიდამო კომპლექსის თავისებურებას ასახავს (თანამედროვე სახლებს გარდა) საკმაოდ თვალნათლივ შეინიშნება ორი მკვეთრად განსხვავებული ფენა. აქ მოიძებნება არა ერთი და ორი ძველებური ტიპის კარმიდამო (ორსართულიანი ქორ მურყვამითა და გალავნით), შეჯგუფებული დასახლება დაახლოებით ისეთი სახისა, რომელიც ზემო სვანეთში არის დამოწმებული როგორც ამჟამადაც

ცოცხალი ყოფის გაბატონებული ელემენტი. ქვემო სვანეთში ამ რიგის საკარმიდამო კომპლექსი არც რაოდენობით და არც თანამედროვე ყოფაში მისი რეალური მნიშვნელობით წამყვანი არ არის. მრავალრიცხოვანი ნანგრევები და ზოგჯერ აქა-იქ დღესაც მოქმედი ეს ელემენტები განვლილი საფეხურის რელიქტების სახით არიან წარმოდგენილი. უკვე რევოლუციამდელი პერიოდისათვის ქვემო სვანეთში საკარმიდამო კომპლექსის ფორმას უმურყვამო სახლი და გაშლილი დასახლება წარმოადგენდა.

წოდებრივი დაპირისპირება ქვემო სვანეთისათვის დამახასიათებელ საკარმიდამო კომპლექსში ჩამოკვეთილი სახითაა მოცემული. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია გელოვანების სასახლე შგედში (ლაშხეთი) და გარდაფხაძეებისა თეკალში (ჩოლური). ეს სასახლეები, როგორც გაბარიტებით, ასევე გაძლიერებული დაცვითი ნაგებობებით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან რიგითი გლეხის საკარმიდამო კომპლექსისაგან. ეს გარემოება შენიშნული იყო ჯერ კიდევ მ. შოსტაკის მიერ, რომლის სიტყვით ლაშხეთის ნაგებობებში კარგად გამოირჩევა ადგილობრივი თავადის საცხოვრებელი მურყვამი შედარებით დიდი ზომებით[1].

სასაშის ძველი სახლებიდან ჩვენს მიერ აღწერილი იყო გოჩმერალის ერთი სახლი, რომელიც ორი სართულისაგან შედგება, უმურყვამოა და აქვს ეზო-ბოსტანი; ეზოში დამხმარე ნაგებობებია განლაგებული.

აღწერილობის მიხედვით აღდგენილია სტეფანე მაზას-ძე ონიანის სახლი, რომელსაც ძველად ოთხსართულიანი მურყვამი ჰქონია. პირველი სართული, როგორც გადმოგვცეს, ამოვსებული იყო ყორით; II სართული, რომელიც დარბაზის დონეზე იდგა, მარანის ფუნქციას ასრულებდა და ამავე სახელწოდებას ატარებდა; III სართული დარბაზად იწოდებოდა, ხოლო IV — თოფისწამლისა და იარაღის საცავი იყო. ამ მურყვამის III სართულში (დარბაზში) მიშენებული იყო ქვის ტ ო გ ო ნ, რომელზედაც საკმეველს აკმევდნენ და, რომლის წინაც ლოცულობდნენ. სახლს მოდგმული ჰქონდა ა გ ა მ — ქვის შენობა, სადაც ერთ მხარეზე ცხენები ება, მეორე მხარეზე საქონელი იდგა, ხოლო მესამე კედელში შესასვლელი კარი იყო დატოვებული.

მაგრამ, როგორც აღინიშნა, სახლის ეს ფორმა სასაშისათვის რელიქტურია. სასაშის საკარმიდამო კომპლექსი, მისი ტიპიური ფორმით, ჰორიზონტალურად არის გაშლილი და დანაწევრებულია. საქონლის სადგომის გარდა ყველა დანარჩენი სამეურნეო ნაგებობა ცალკე ერთეულებად არის გამოყო-

---

[1] М. Шостак. По Раче и Сванетии, ИКОРГО, XVI, 1903, 37

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილი. თავდაცვითი ნაწილის უქონლობა ქვემო სვანეთის გვიანდელი საკარმიდამო კომპლექსის დამახასიათებელი თვისებაა.

ამასთან ერთად, ქვემო სვანეთში ჩვენ გვხვდება საკარმიდამო კომპლექსის კიდევ ერთი ფორმა, რომელიც სვანური საკარმიდამო ერთეულის განვითარების პროცესის თვალსაზრისით ინტერესს არ არის მოკლებული. ამ ტიპის სახლი და კარმიდამო ქვემო სვანეთის ფარგლებში ჩვენ პირველად ს. ტვიბში (ჩოლური) შევხვდა, იგი ეკუთვნის ივანე გიორგის-ძე ზურებიანს. ეს სახლი ს. ტვიბის ერთ-ერთი უძველესი ნაგებობაა, და, როგორც გადმოგვცემს, ძველად აქ სწორედ ასეთი სახლები ჰქონდა უმრავლესობას. ტვიბის ეს სახლები, ჩვენის აზრით, იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ისინი გარდამავალ საფეხურს ასახავენ ზემოსვანური სახლიდან ლენტეხური სახლისაკენ.

დასახელებული საცხოვრებელი სახლი ორსართულიანია და დიდი. პირველ სართულს აქაც მაჩუბ ეწოდება, ხოლო მეორე სართულს — დარბაზ. კა-კერა ასეთ სახლში მაჩუბსაც აქვს და დარბაზსაც. ამის გამო ნაჭა ზამთარში მაჩუბში იყო, ხოლო ზაფხულში — დარბაზში. მაჩუბის ერთ მხარეზე (ხოლო ვისაც ბევრი საქონელი ჰყავდა — ორივე მხარეზე) გამართული იყო ტიხარი — გვალ, რომელსაც დატანებული ჰქონდა საქონლის თავის გამოსაყოფი — ლანთვეი. მაჩუბის ერთი კედელი კა-კერას თავში თავისუფალია გვალისაგან. მასში დატანებულია სხვადასხვა ზომა-მოყვანილობის ნიში, საკუთრივ:

1. კედლის შუაში ამოყვანილია მომრგვალებულ თაღიანი, კედელში შეჭრილი დიდი ნიში — ბგჯერ, რომელშიაც ინახებოდა ვარცლი — ჯარ, გობი — გვებ, საცერი — ძუვერა და პურის საცხობი სხვა ინვენტარი;

2. ბგჯრის ორივე მხრიდან ორი ვიწრო და მოგრძო ნიში იყო გაკეთებული, რომელსაც ლაშად ეწოდება. ლაშადში, ჩვეულებრივ, ჯამ-ჭურჭელი ინახებოდა;

3. ბგჯერსა და ლაშადს შორის მოწყობილი იყო პატარა ოთხკუთხი ნიში — სენაი, რომელშიაც ინახებოდა როდინი — გურნა და სამზარეულოსთან დაკავშირებული სხვა წვრილი ინვენტარი[1];

[1] სენე საქართველოს სხვა კუთხეებში სახლის იმ ნაწილს ეწოდება, რომელშიაც რძის გადამუშავება ხდება და რძის პროდუქტები ინახება (გ. ჩიტაია. ხევსურული სახლის „სენე", ანალები, I, თბ., 1946, 151—162; Р. Харадзе. Грузинская семейная община, I, 131 და სხვა). სვანურ სახლში ამ სახელწოდების დეტალის არსებობა კიდევ ერთხელ მიუთითებს სვანური სახლის ორგანულ კავშირს მესაქონლეობასთან.

4. ამავე კედელში ამოკვეთილი იყო კიდევ ერთი სამკუთხა ნიში — კ ვ ა ლ ჩ ა ფ, სადაც ჭრაქი, ნემს — სადგისი, სანთლის ნაჭერი და სხვა ა. მ. ინახებოდა. სახლის ამ კუთხეს მთლიანად ლ ა რ ბ ი ე ლ ეწოდებოდა.

ზუსტად ასე იყო გაწყობილი დარბაზის შესატყვისი კედელი, რომელიც ამ სახლში შესასვლელი კარიდან მხარმარჯვნივ იმყოფებოდა.

მარანი, რომელიც ზემოსვანურ სახლში შინაშია მოქცეული, აქ გარეთ არის გამოტანილი. იგი წარმოადგენს ქორზე მიდგმულ-მიშენებულ ორსართულიან ნაგებობას, რომლის ქვედა სართულში (საკუთრივ მარანში) შესასვლელი წინკარიდან აქვს დატოვებული, ხოლო მეორე სართულში (დარბაზოლ) — დარბაზიდან. სახლის ეს ნაწილი, ჩვეულებრივ, ხილისა და სხვა სანოვაგის შესანახად იყო გათვალისწინებული.

ამ რიგის სახლებს, როგორც წესი, წინ აივანი აქვთ გაწყობილი.

კ ა რ პ ა ნ ი, დასახელებულ სახლს ზედ აქვს მოდგმული, მაგრამ არა ისე, როგორც ზემო სვანეთში — სახლის გასწვრივ, — არამედ კუთხურად. ზაფხულში აქ ინახებოდა გასალეწი პურის თავთავი, ხოლო ზამთარში შეშის წლიური მარაგი. ძირითადად იგი გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო იარაღის შესანახად. კარპანი ეწყობოდა როგორც ერთ სართულად ასევე ორ სართულად, მაგრამ ორივე შემთხვევაში მას მხოლოდ სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა. ეზოში იდგა კ ი რ ა ვ — საბძელი, უმეტეს შემთხვევაში ჯარგვალის ტიპის და ზოგჯერ ოვალური მოყვანილობისა. შესანიშნავად დამუშავებული მომრგვალებული ჯარგვალი ქვემო სვანეთში ბევრ ადგილას არის ფიქსირებული.

ქვემო სვანეთის საკარმიდამო კომპლექსის გვიანდელ ელემენტს წარმოადგენს თორნე.

ასეთია ქვემო სვანეთისათვის დამახასიათებელი საკარმიდამო კომპლექსების მესამე ფორმა, რომლის შემდგომი განვითარების საფეხურს ხელედულას საკარმიდამო კომპლექსი წარმოადგენს.

უძველესი სახლების აღდგენა ხელედში ვერ ხერხდება — მათი ნანგრევებიც კი არ არის დარჩენილი. გადმოცემით კი ჩანს თითქოს ორსართულიანი ქორ ზედ მიდგმული მურყვამით აქაც უნდა ყოფილიყო გავრცელებული. მაგრამ ნაკოშკარები ახლაც კარგად შეიმჩნევა. ნამურყვამთა შორის ფიქსირებულია: ერთი — გიეშერში (ბენდელიანებისა) სამი — ჩუბე ხელედში (ერთი ქარდავასი და ორი ჩარკვიანებისა) და ერთიც ჟიბე ხელედში (გვიჭიანისა). იმის გამო, რომ ახალი სახლები სოფლის ძველ უბნებში ძველი სახლების ადგილზე შენდებოდა, ხელედის უძველეს უბანს აქამდე

შერჩა დასახლების სიმჭიდროვე. შედარებით გვიან გაშენებულ უბნებს ეს სიმჭიდროვე აღარ ახასიათებს, რადგან მათი საკარმიდამო ტერიტორია საგრძნობლად არის გაზრდილი.

მაშასადამე, აქაც ისევე როგორც თითქმის მთელ ქვემო სვანეთში, კოშკმიდგმული ორსართულიანი სახლი — განვლილი საფეხურია. ცოცხალ ეთნოგრაფიულ ყოფაში გაბატონებული ადგილი ეჭირა ტვიბში აღწერილი სახლის განვითარებულ ფორმას.

საამისო მაგალითებად მოვიყვანთ ალექსანდრე ბენდელიანის კარმიდამოს (ლ ა ზ გ ა), ს. ხელედში (გიეშერი) და ტიფო ლიპარტელიანის კარმიდამოს ს. წანაშში (იფხალდი).

ალექსანდრე ბენდელიანის სახლი ორსართულიანია; მას მოდგმული აქვს ასევე ორსართულიანი კარაპანი. კარაპანის პირველ სართულში ალაგებენ სასოფლო-სამეურნეო იარაღს, ინახავენ შეშას და ა. შ., ხოლო მეორე სართული აივანს წარმოადგენს, რომელიც სახლის აივნის გაგრძელებას შეადგენს. სახლს აქვს ორი ეზო და ორი ჭიშკარი. მთავარ ჭიშკართან, მარჯვენა მხარეს დადგმულია ხის დამხმარე ნაგებობა — ქ ო რ უ ლ დ ი, ზედ ჭიშკარზე მოთავსებულია ნ ა ლ ი ა, ხოლო ჭიშკრის მარცხნივ საღორეა — ლ ა ჰ ა მ და საბძელი — კ ი რ ა ვ. წინა ეზო სამი ნაწილისაგან შედგება: მხარმარჯვნივ — ლ ა ლ ქ ა ნ, შუაში კ ა ლ და მხარმარცხნივ ლ ა რ ტ ა მ. ბოსტნის ერთი ნაწილი უკანა ეზოში არის მოთავსებული. ამ რიგის საკარმიდამო კომპლექსში საქონელი კვლავ მაჩუბში იმყოფება, მაგრამ ყველა დანარჩენი სამეურნეო ფუნქციის მქონე ნაგებობა სახლის გარეთ არის გამოტანილი და საკარმიდამო კომპლექსის დამოუკიდებელი ელემენტის სახეს ატარებს. სათანადო ცვლილებანი კარაპანმაც განიცადა. მის პირველ სართულს, მართალია, სამეურნეო ფუნქცია შემორჩა, მაგრამ მეორე სართული აივნად იქცა და ამდენად სახლის საცხოვრებელ ნაწილს დაუახლოვდა.

ამ რიგის ცვლილებანი უფრო ნიშანდობლივად მეორე მაგალითზე ჩანს. ტიფო ლიპარტელიანის ორსართულიან სახლს ასევე ორსართულიანი კარაპანი ასევე კუთხურად აქვს მოშენებული. კარაპანის პირველი სართული კვლავ სამეურნეო მიზნებს ემსახურება, მაგრამ მეორე სართული უკვე ორად არის დაყოფილი — მისი ერთი ნაწილი კვლავ აივანს წარმოადგენს, მაგრამ მეორე ნაწილზე საცხოვრებელი ოთახი არის აშენებული. ნალია ცალკე დადგმული ორსართულიანი ნაგებობაა, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება — ლ ა ჰ ა მ და ლ ა ქ ა თ ა ლ. კ ი რ ა ვ და ბ ე ღ ე ლ ეზოს მეო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რე მხარეზეა ჩამორიგებული. ამ საკარმიდამო კომპლექსს წინა მხრიდან ბალბოსტნიანი ეზო აკრავს, რომელშიაც თორნე არის ჩადგმული. ამ რიგის კარმიდამო გაშლილ დასახლებას შეესატყვისება.

ასეთია ის ძირითადი ნიშნები, რომლითაც ხასიათდებოდა დასახლების ფორმა ქვემო სვანეთში.

მაგრამ ქვემო სვანეთის დასახლების სურათი სრული არ იქნება თუ არ გავითვალისწინებდით იმ მასალას, რომელიც შეეხება ლაზავს, როგორც პარალელურ დამხმარე სამეურნეო ბაზას, და მის ადგილს დასახლების ფორმათა ჩამოყალიბების პროცესში. ლაზავს, როგორც აღინიშნა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სვანეთის სამეურნეო ყოფაში. საკუთრივ ქვემო სვანეთის ეთნოგრაფიულ მასალაშიაც ეს მისი მნიშვნელობა კარგად მოჩანს. გ. რადდე მაგ., იმასაც კი წერდა, რომ ცხენისწყლის ზედა დინების მიდამოებში სახნავი მიწის დიდი ნაწილი ახოს გატეხვის წესით არის მიღებულიო[1]. მაგრამ ყველაზე უკეთ ეს გარემოება ბავარის მასალაზე ვლინდება და ამიტომ მასზე საგანგებოდ შევჩერდებით. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შემონახული გადმოცემით ხელედულას ზედა ნაწილი (ს. ხელედს ზევით) ძველადაც ყოფილა დასახლებული. ჯერ-ჯერობით ჩვენ მხოლოდ ზეპირი ცნობა მოგვეპოვება აქ ძველი ნასახლარების არსებობის შესახებ. ასე მაგ., ადგილობრივი მოსახლეობა მიუთითებს კოშკის ნანგრევების არსებობას ჯგდარაში, ზედა ბავარში, ცხგემალდში, ხაეკლესიარს ბავარის თავში (მაცხვარიშ), ნაციხარს ბავარშივე (მეიფარიანი) და სხვა. მაგრამ ეს მოსახლეობა „თათრებს" ამოუწყვეტია დიდი ხნის წინ და იმ ადგილებში ხშირი ტყე ამოსულა. ხელედულას უძველესი სოფლების მოსახლეობა (ს. ს. წანაში, ფაყი და ხელედი) მართალია მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ მიწის დიდ სიმცირეს განიცდიდა. უმიწობით ყველაზე უფრო შევიწროვებული ს. ფაყი იყო. ამავე დროს მონადირეებს ჩამოჰქონდათ ამბავი ხელედულას ზედა წელში თავისუფალი ადგილების არსებობის შესახებ. ამ მიწების ათვისება ლაზავების სახით ფაყმა დაიწყო. ასეთი ნაკვეთების მეურნეობრივი ათვისება დიდ დროსა და ჯაფას მოითხოვდა. გასაჩეხად შერჩეულ საახოვე ტყეს დაჯვარავდნენ — საამისო ნიშნად ჯვარი და წერტილი იხმარებოდა, ე. ი. დაისაკუთრებდნენ.

ხელედულას ხეობაში ახალი ნაკვეთების ათვისება პირველყოვლისა მიწათმოქმედების ინტერესებს ემსახურებოდა. ამიტომ პირველ რიგში ახოს გატეხვა იყო საჭირო. შერჩეულ ტყის ნაკვეთს ოჯახი ნელ-ნელა ჩეხავდა და თანდათანობით აფართოვებდა. სრულფასოვანი ნაკვეთის მიღებას 20 — 30

1 Путешествия и изыскания Радде на Кавказе в 1864 г., «Кавказ», 1866, № 1—18

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წელი სჭირდებოდა. ყველაზე დიდ დროს ნიადაგის საბოლოოდ გასუფთავება მოითხოვდა. ნიადაგის საბოლოოდ მომზადების შემდეგაც პირველი ორი, სამი წლის მანძილზე ახოში ე. წ. შ ა ვ ი ჭ ა დ ი ითესებოდა — სიმინდი პირველ ხანებში არ იძლეოდა მოსავალს. ამის შემდეგაც ახლად ნათესი სიმინდი დაბალი და მოკლეტაროიანი იზრდებოდა. იქამდე ვიდრე ნიადაგი მომზადდებოდა ისე, რომ შესაძლებელი იქნებოდა მისგან ნორმალური მოსავლის აღება, ეს ნაკვეთი წარმოადგენდა ტიპიურ ახოს — მ ო ლ; აქ მხოლოდ მიწის დასამუშავებლად, სიმინდის გასათოხნად, მის სადარაჯოდ და მოსავლის ასაღებად მოდიოდნენ. ამრიგად პირველი ნაგებობა, რომელიც ახოში იდგმებოდა იყო დროებითი კარავი, სადაც მთესველი თუ მთოხნელი თავს აფარებდა. პირველი მოსავლის მოწევისთანავე მეორე ნაგებობის დადგმა იყო საჭირო. ეს იყო ორსართულიანი ნალია, რომლის ზედა ნაწილს ლასტის ძარო შეადგენდა, ხოლო იატაკს — მეჩხერად დალაგებული ფიცარი ან იგივე ლასტი. რადგან სიმინდის შრობა ხანმოკლე შემოდგომის გამო ვერ ესწრებოდა, ნედლ ტაროებს ძარში ალაგებდნენ და ქვევიდან ნელ ცეცხლს უნთებდნენ. ასეთი ნალიები სოფლად ახლაც ბევრს გააჩნია. მოსავალი გზის ერთ ნაწილში — კაცის, ხოლო მეორე ნაწილში — ცხენის ტვირთით ჩამოჰქონდათ სოფლად. ამ წესით გამოყენებულ ახოს, როგორც აღინიშნა, მ ო ლ ეწოდება.

ახოს თანდათანობითი გაფართოების, მისი ათვისების და მოსავლის ზრდის შედეგად ეს ნაკვეთი საოჯახო მეურნეობაში დიდ ადგილს იჭერდა; მას პარალელური სამეურნეო ბაზის მნიშვნელობა ენიჭებოდა. შესაბამისად ამისა, იგი უფრო ინტენსიური ექსპლუატაციის საგანი ხდებოდა და მეტ ყურადღებას მოითხოვდა. მასთან ახლო მდებარე საძოვრებს მესაქონლეობის ინტერესების დაკმაყოფილებაც შეეძლო. ამან, თავის მხრივ, ახოში სათიბების გაჩენას შეუწყო ხელი. სახნავი მიწების ასე კომპაქტურად განლაგებამ ახოს სისტემატური ექსპლუატაცია განაპირობა. იგი ახლა როგორც მიწათმოქმედების, ასევე მესაქონლეობის ინტერესებს აკმაყოფილებდა. წლის მანძილზე ახოში რამდენჯერმე ასვლა უკვე საკმარისი აღარ იყო. საჭირო გახდა მთელი წლიური ციკლის მანძილზე აქ მუშახელის ყოფნა. ახოს მოვლა-პატრონობის მიზნით ოჯახის წევრთა ერთი ნაწილი, ჩვეულებრივად, ერთ-ერთი ვაჟი თავის ცოლ-შვილით, მორიგეობითი მთელ წელიწადს აქ ატარებდა, მიწის მოსავალს ადგილზევე ხმარობდა, საოჯახო საქონლის ნაწილს აქვე ინახავდა. ამან გამოიწვია ხის პატარა სახლის — ქორულდის დადგმა და წისქვილის მოწყობა. ამ რიგის პარალელურ სამეურნეო ბაზას ხელედულას ხეობაში ლ ა ბ ა ვ ეწოდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზემოხსენებული პროცესი, რა თქმა უნდა, სტიქიურად არ მიმდინარეობდა. იგი დაკავშირებული იყო ოჯახის ზრდასთან და მისი მომავალი სეგმენტაციისათვის საჭირო ნიადაგის მომზადებას გულისხმობდა — საოჯახო თემის ტრადიცია ავალდებულებდა მთელ ოჯახს, რომ ყოველი მისი განაყოფისათვის თავიდანვე უზრუნველეყო დამოუკიდებელი არსებობისათვის საჭირო მტკიცე მეურნეობრივი საფუძველი. მართლაც, მთელი ოჯახის შეერთებული ძალებით მოწყობილი ლაბავი ხშირ შემთხვევაში ახლად ნაყარი ოჯახების მუდმივ სამოსახლოდ იქცეოდა: ამას წინ უსწრებდა მკვიდრი სახლის დადგმა, საკარმიდამო კომპლექსის ყველა ძირითადი ელემენტის გაწყობა და სხვა, რის შემდეგ გამოყოფილი ოჯახი იქ სამუდამოდ მკვიდრდებოდა. ასეთ სამოსახლოს უკვე ლ ა ზ გ ა ეწოდებოდა.

ასე გაჩნდა ხელედულას ხეობაში ს. ხელედს ზევით შვიდი დასახლებული პუნქტი: ტვიბლეთი (4 კ.), ხაჩეში (12 კ.), ლაჭრებალი (4 კ.), ჯგდარა (5 კ.), შკედილდაში (3 კ.), ბავარი (18 კ.) და ცხუმალდი (8 კ.). მათ შორის მხოლოდ ბავარმა შემოინახა თავის სახელწოდებაში მისი ჩამოყალიბების ერთ-ერთი საფეხურის კვალი (ბავ-არ; ლა-ბავ).

დასახლების ფორმათა ძირითადი ნიშნების შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ბალსზემოური, ბალსქვემოური და ქვემოსვანური მასალის დაპირისპირება რიგი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს.

მასალის შედარებისას ყურადღებას იპყრობს ბალსზემო და ბალსქვემო სვანეთს შორის მსგავსების ელემენტები, საკუთრივ დასახლების სამოსახლო ფორმა, დასახლების შეჯგუფულობა, ცალკეულ სოფელთა მცირერიცხოვნება და სხვა. მაგრამ ამასთან ერთად შეინიშნება მნიშვნელოვანი განსხვავებაც. პირველი და უმთავრესი ნიშანი, რომელიც ბალსზემო და ბალსქვემო სვანეთს შორის განმასხვავებელ ჩვენებას შეიცავს ეს არის ხევის ტერიტორიის ბუნებრივი მთლიანობის რღვევა. ეს იმას ნიშნავს, რომ ხევის გეოგრაფიული და პოლიტიკური საზღვრების ის თანახვედრილობა, რომელიც ბალსზემოური დასახლების ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა, ბალსქვემო სვანეთში აღარ შეადგენს ტიპიურ მოვლენას. სვანური ხევისათვის დამახასიათებელი ამ ნიშნის წაშლა ყველაზე უკეთ ჩანს ეცერის მაგალითზე, რომელიც დადეშქელიანების უძველეს რეზიდენციას წარმოადგენდა და ამდენად უფრო ნათლად ასახავდა ახალ ვითარებას. ეთნოგრაფიული მასალისათვის ხელმისაწვდომი დროისათვის ეცერი ფაქტიურად სოფელთა სამ ჯგუფად იყო დაყოფილი.

სახმარი მიწის ნაკვეთების განლაგება კუთვნილების მიხედვით უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორს წასული შერეულობის სურათს წარმოაჩენს, ამ მხრივ ბალსქვემო სვანეთში ძველი დასახლებებიდან გამოირჩევა ჩუმათი, რომელშიაც ეცერის სხვადასხვა სოფლისა და სხვადასხვა გვარის მრავალი ნაკვეთი იყო მიჯრით ჩაყოლებული.

თუმცა საკარმიდამო კომპლექსები აქაც სამოსახლოების მიხედვითაა განლაგებული, ამ კომპლექსის ძირითადი ნაგებობა — სახლი მრავალი სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი. თუ მთელს ბალსზემო სვანეთში (უშკულის გამოკლებით) საცხოვრებელი ნაგებობის გაბატონებულ ფორმას მურყვამიანი სახლი წარმოადგენს, ეცერში, საკუთრივ ბარში ოთხი სხვადასხვა ფორმის სახლია. სახლების ეს მრავალფორმიანობა დაცვითი ფუნქციის თანდათანობითი დაკნინებით არის გამოწვეული, ეს კი თავის მხრივ ფეოდალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებასთან და ფეოდალური ხელისუფლების გაძლიერებასთან არის დაკავშირებული. საერთო დაცვას აქ ფეოდალი კისრულობდა და ამ დაცვის საფუძველს წარმოადგენდა მისი ციხე-კოშკი, რომელიც დაცვის ფუნქციით არსებითად განსხვავდებოდა რიგითი მოსახლის საცხოვრებლისაგან, მაშინ, როდესაც ბალსზემო სვანეთში დაცვა საერთო-სასოფლო სახეს ატარებდა, რამდენადაც დაცვაში ყოველი მოსახლის კარმიდამო თითქმის თანაბრად მონაწილეობდა. ბალსზემო სვანეთის მასალაში განსხვავებულ ჩვენებას მხოლოდ უშკული გვაძლევს, რაც მისი განაპირა მდებარეობით და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ინტერესებით არის ახსნილი.

წოდებრიობამ, ბუნებრივია, დასახლების ფორმაშიაც იჩინა თავი. ს. ბარში დადეშქელიანების სასახლე გამოირჩევა არა მარტო გაბარიტებით და სხვა საყოფაცხოვრებო ნიშნებით, არამედ თავისი მდებარეობითაც — იგი იმყოფება გამაგრების რამდენიმე ხაზის ზურგში; იგი თუ შეიძლება ითქვას „ქვეის შუაშია დამკვიდრებული". ამითაც ეცერის დასახლების ფორმა განსხვავდება ბალსზემო სვანეთის დასახლებისაგან, სადაც წოდებრივი სხვაობა არ შეინიშნებოდა. ამ ორი სახის დასახლებათა შორის ლახირელი იოსელიანებისა და მარგიანების, ლატალელი ჩარკვიანებისა და ლადრერელი რიჩიგიანების დასახლება ჩვენ გარდამავალ საფეხურად მიგვაჩნია.

ქვემო სვანეთის დასახლების ფორმებში სოციალური დიფერენციაცია სავსებით ჩამოკვეთილ სახეს იღებს. გარდაფხაძეებისა და გელოვანების სასახლეები გლეხის სამოსახლოსაგან გამოირჩეოდა არა მარტო გაბარიტებით, არამედ მდებარეობითაც. სამეურნეო ნაკვეთების შერეულობა ტიპიური ფეოდალური სოფლის სახეს იღებს. მაგრამ დასახლების უმთავრეს ნიშანს ქვემო სვანეთში წარმოადგენს ის გარემოება, რომ ხევმა სავსებით დაკარგა გეოგრაფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული და პოლიტიკური საზღვრების ერთობლიობა და დაიშალა ცალკეულ დასახლებულ ერთეულებად — სოფლებად.

დასახლების ძირითად ერთეულს ქვემო სვანეთში წარმოადგენს უკვე ჩამოყალიბებული სოფელი და არა ხევი თუ მისი გადმონაშთური სახეობა. გამონაკლისს ამ მხრივ მხოლოდ ხელედულას ხეობა წარმოადგენს, რომელიც რიგი ისტორიულ-გეოგრაფიული პირობის გამო (მისი შედარებით მოწყვეტილობა სამეგრელოს სამთავროსაგან და დადიანის მიმართ ვალდებულებათა თავისებურება) დასახლებული პუნქტის ძველი ფენის სტრუქტურით ზემო სვანეთს უფრო წააგავს ვიდრე ქვემოს, თუმცა საცხოვრებელი კომპლექსის გვიანდელი სახეობებით ლეჩხუმთან იჩენს მსგავსებას.

სვანური დასახლების მორფოლოგიური ნიშნების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ ამ მხრივაც სვანეთის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა მდგომარეობა იყო. ბალსზემო სვანეთში განსახლების მონოგენურმა პრინციპმა დიდი ხნის წინ დაკარგა დასახლების მაორგანიზებელი ფაქტორის მნიშვნელობა. წერილობითი წყაროები უთითებენ, რომ აქ გვარობრივი დასახლების დაშლა XIII ს-მდე გაცილებით ადრე დამთავრდა. ეთნოგრაფიულ მასალაში ერთგვარობრივი დასახლება თავს ინარჩუნებს პატრონიმიული უბნების სახით, რომლებიც შემდეგ ხანდახან პატარა მონოგენური სოფლის სახეს იღებენ. ამდენად, თითქმის ყველა ამ შემთხვევაში, როდესაც ჩნდება ერთგვარიანი სოფელი, იგი მეორადი პატრონიმიული წარმოშობისაა.

გვართა შერევის ზემოთ დასახელებულ პროცესს, ბუნებრივია, თან სდევდა სამეურნეო ნაკვეთების შერევა, რაც ბალსზემო სვანეთის დასახლების პოლიგენურ ბუნებას დასრულებულ სახეს ანიჭებდა.

ბალსქვემო სვანეთსა და განსაკუთრებით, ქვემო სვანეთში დასახლებული ერთეულის ერთგვარობრიობა უფრო მკვეთრად შეინიშნება; პატრონიმიული დასახლება ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს; ხშირია შემთხვევა პატრონიმიული დასახლების ნიადაგზე ერთგვარობრივი სოფლის ჩამოყალიბებისა. ერთგვარობრივი სოფლის ჩამოყალიბების პროცესში გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა ფიქტიური მონოგენობის მექანიზმს, რომლის არსებობა თემური ყოფის ტრადიციებით იყო შეპირობებული[1].

პატრონიმიული დასახლების შემონახულობას სვანეთის ამ კუთხეში და მის ნიადაგზე ერთგვარობრივი სოფლის შექმნის პრაქტიკას ასაზრდოვებდა აგრეთვე ფეოდალური ურთიერთობის თავისებურება, რის გამო მიწაზე გლეხის მიმაგრება სამხუბებად განსახლების პირობებში ხდებოდა.

[1] ფიქტიური მონოგენურობის შესახებ იხ. ალ. რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, 18.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანალიზი სვანეთის მოსახლეობის რიცხობრივი შემადგენლობისა მის სამივე კუთხეში ცალკეული ოჯახების მიხედვით არავითარ ეჭვს არ სტოვებს, რომ მოსახლეობის საერთო რიცხვი XIX ს-ის მთელს მანძილზე შეუნელებელ ზრდას განიცდის; იზრდება აგრეთვე ოჯახების რაოდენობაც, მაგრამ ოჯახის წევრთა რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი ამ პერიოდში თანდათან კლებულობს. ზემოთ დასახელებულ მაჩვენებელთა დინამიკა არ შეიცავს რაიმე საბუთს იმის მტკიცებისათვის, თითქოს საქართველოს მთიანეთის ამ ნაწილში ადგილი ჰქონდა მოსახლეობის რიცხობრიობის სტაბილიზაციას — მოსახლეობის ზრდის ტემპები სვანეთში ამ დროსაც სრულიად კანონზომიერი იყო. მართალია, მოსახლეობის მცირე ნაწილი გადიოდა სვანეთს გარეთ, მაგრამ ძირითადად მოსახლეობის ზრდა მიმდინარეობდა ახოების გატეხვა-ათვისების გზით, რაც სვანეთის მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებლის თანდათანობითი ზრდითაც დასტურდება.

მეორეს მხრივ, ოჯახთა რაოდენობის ინტენსიური ზრდა მოსახლეობის საერთო რიცხობრიობის ზრდასთან შედარებით და, ამასთან ერთად, ოჯახის წევრთა საშუალო მაჩვენებლის ინტენსიური შემცირება, ერთ-ერთი ობიექტური ნიშანია იმ რღვევისა, რომელსაც განიცდიდა საოჯახო თემის გადმონაშთური ფორმა სწორედ ამ პერიოდში.

ახოს გატეხვის სისტემა და მუდმივი დასახლების ერთეულად მისი გადაქცევის პრაქტიკა თავის მხრივ ხელს უწყობდა გვართა შერევას. ახოს გატეხვა სოფლიდან დაცილებულ ადგილებში შესაძლებელი იყო მხოლოდ დიდი ოჯახების არსებობის პირობებში და დიდი ოჯახების გაყრის შემდეგ განაყარი ოჯახების ცალ-ცალკე დასახლებას გულისხმობდა ე. ი. პატრონიმიული განსახლების პრინციპს ვეღარ უპასუხებდა.

ამგვარად, სვანეთის დასახლების ის ფენა, რომლის დადგენა მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლების მეშვეობით ხერხდება, ძირითადად შეესატყვისება სოფლის თემს. სვანური ხევის ეს ხასიათი ყველაზე ნათლად ბალსზემო სვანეთის მასალაზე ჩანს. მაგრამ XIV ს-ის წერილობითი წყაროების ზოგი მონაცემი მიუთითებს, რომ ამ დროისთვისაც სოფლის თემს რიგი ნიშანი დაკარგული აქვს. ეს წყაროები მეთემის გაგლეხების ფაქტებსაც წარმოაჩენენ.

ბალსქვემო სვანეთის დასახლება ადრეფეოდალური ტიპისაა. ჩანს იგი XV ს-ში ჩამოყალიბდა, მაგრამ გარდამავალ სახეს დიდხანს ატარებდა და ხევის ადრინდელი მთლიანობის ბევრ ნიშანს XIX ს-მდე ინახავდა.

ქვემო სვანეთში დასახლების ფორმა არსებითად იცვლება; მის საფუძველს გვიან შუა საუკუნეების მთელს მანძილზე ფეოდალური სოფელი წარმოადგენდა, თუმცა სასოფლო-თემური ყოფის გადმონაშთები ამ დროის მანძილზე საბოლოოდ ვერც მან დასძლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# II. საზოგადოებრივი ურთიერთობის ზოგიერთი მხარე სვანეთში

## 1. სოფლის თემის ზოგიერთი გადმონაშთი სვანეთში

დასახლების ერთეულის სვანეთში დამოწმებულ სახელწოდებათა შორის უმთავრესია: აბუსად || ჭეუ და სოფელ.

ტერმინი აბუსდ || ბუსტ, ნ. მარის დაკვირვებით, სვანურში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება, მათ შორის: „1.“ Господин „(ср., ფუსტ)... 2. У мир, мирской сход, весь Ушкул...(ср. ниже აბასტვ) мир, აბუსტ у этот мир“[1].

ს. ჯანაშიამ მიაქცია ყურადღება ტერმინ აბუსდის სოციალურ მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთ ხალხთა ენაში ამ ტერმინის ესა თუ ის სახესხვაობა „თავად“-ს, „აზნაურ“-ს აღნიშნავს[2]. ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი დაკვირვება კ. მარქსის მიერ შენიშნული იმ ურთიერთობის თვალსაზრისით, რომელიც არსებობს თემსა და მის განმასახიერებელ ერთობლიობას შორის.[3]

დასახელებული ტერმინის მეორე მნიშვნელობა, რომელიც უშკულშია დამოწმებული, სავსებით შეესატყვისება ჭეუ || ხევ-ის მნიშვნელობას. აბუსდ (აბუსტ) ტერმინის ამავე მნიშვნელობაზე უფრო ადრე მიუთითებდა ბესარიონ ნიჟარაძე, — წარმოშობით უშკულელი. მისი ცნობით აბუსდ ეწოდება რამდენიმე სოფლის კავშირს ერთს საზოგადოებაში[4].

---

[1] Н. Марр. Извлечение из сванско-русского словаря, Материалы по яфетическому языкознанию, X, Птгр., 1922, 30

[2] ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორიის უძველესი ქრონოლოგიიდან ენობრივი მასალების მიხედვით, „შრომები“, ტ. III, თბილისი, 1959, 130—135.

[3] К. Маркс. Формы предшествующие капиталистическому производству, «Пролетарская революция», 1939, № 3, 152

[4] სვანი, ჩვეულებრივი უფლება სვანეთში საზოგადოდ და საკუთრივ თავისუფალ სვანეთში, „დროება“, 1885, №198 (ამ შემთხვევაში ბ. ნიჟარაძე აიგივებს „საზოგადოება“-ს და „სოფლობა“-ს „აბუსად“-თან, რამდენადაც „სოფლობა“-ს ქვეშ სოფელთა გაერთიანება არის ნაგულისხმევი).

რ. ერისთავი, რომელიც სვანურ ეთნოგრაფიულ მასალას ბ. ნიჟარაძის წყალობით კარგად ფლობდა, თავის ცნობილ „შენიშვნებს“ სვანეთის შესახებ ასე იწყებს: „Связь нескольких селений между собой составляла в Сванетии общину, или волость „абуасд“[1].

დასახელებული ტერმინის ეს მეორე მნიშვნელობა სვანურმა თითქმის სრულიად დაკარგა. იგი შემონახულია სახელწოდებაში „აბუასდ მურყვამ“, რაც სახევო კოშკს ნიშნავს. ამით განასხვავებს უშკულელი სვანი საერთო სახევო სათავდაცვო ნაგებობას ცალკეული სახლის კოშკისაგან. რ. ნიჟარაძის ცნობით ტერმინი აბუასდ დღეს „სოფლის ძლიერების“ მნიშვნელობითაც იხმარება. ამ გაგების შესაბამისად სვანური გამოთქმა „უშგვლაში აბუასდ“ არის „უშგულის ძლიერება“, ხოლო „უშგვლა აბუასდ ანზორან“ — „უშგულის ძლიერება შეიკრიბა“. ზემოთ დასახელებული ტერმინის ასეთი გაგება კარგად ასახავს იმ მნიშვნელობას, რომელიც სვანის წარმოდგენით, გააჩნდა ხევის ერთობლიობას მისი ძლიერებისათვის.

დასახლების ერთეულის აღსანიშნავად უფრო გავრცელებულია ტერმინი „ჴეუ“[2]. ეს ტერმინიც სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. ზოგჯერ იგი აღნიშნავს ბალსზემო თუ ბალსქვემო სვანეთს, ზოგჯერ ზემო სვანეთის ამ ნაწილებში შემავალ ცალკეულ ხევს, ხოლო ზოგჯერ სოფელსაც კი. მაგრამ თითქმის ყველა შემთხვევაში მას სათანადო მსაზღვრელი ახლავს. XV—XVI ს. ერთი ხელნაწერის მინაწერში იკითხება: „დაუწერეთ საგმობი ესე ერთობილმან სვანეთისა კეუმან ატკვერს და ბელას შვამა ყოველმან...“[3]. აქ ჴეუ ბალსზემო სვანეთს ნიშნავს. „ჯაფარიძეთა სიგელში“ (პ. ინგოროყვას დათარიღებით 1490—1503 წ.წ.) ამავე შინაარსით იხმარება გამოთქმა „სრულიად სუანეთის ქვეყანა“[4], ან სხვა შემთხვევაში „სრულიად ეცერს აქეთ რაც სუანეთი არის“[5]. შესაბამი-

---

[1] Р. Эристов. Заметки о Сванетии, Т., 1898, I

[2] ამ ტერმინის მნიშვნელობისათვის ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში იხ. И. Джавахов. Государственный строй древней Грузии и древней Армении, I, ТРАГФ, VIII, Спб., 1905, 35; ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. I. ტფ. 1928, 143. მისივე. ქართველი ერის ისტორია, წ. II, ტფ. 1913.

ყველა ზემოხსენებულ ნაშრომში პირველყოვლისა აღმოსავლეთ საქართველო არის ნაგულისხმევი. დასავლეთ საქართველოს შესახებ ივ. ჯავახიშვილი ამბობს: „რაკი დასავლეთ საქართველოში“ ჴევი“ (ჯერ მაინც) არა სჩანს...“ (ქართული სამართლის ისტორია, წ. II, წ. I, ტფ. 1928, 10).

[3] პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბილისი 1941. 37.

[4] პ. ინგოროყვას დასახელებული ნაშრომი, 31:

[5] იქვე, 32.

სად ამისა იმავე ძეგლში ხშირად იხმარება „სრულიად სუანნი“, კერძოდ: „... სრულიად სუანთა ეცერს აქათ ყუელამან თქუენი ბაჟი დავიდევით“[1], ან „სრულიად სუანთ ჩენილები“[2].

ამგვარად, ტერიტორიალურ პრინციპზე დამყარებული საზოგადოებრივი გაერთიანების გამომხატველი ტერმინი ჭევ-ი სვანეთში ვიწრო და ფართო მნიშვნელობითაა დადასტურებული. პირველი ერთ ხევში მდებარე სოფელთა გაერთიანებას გულისხმობს, ხოლო მეორე მთელი სვანეთის გაერთიანების გამომხატველია. იგი ერთობილ სვანეთის ჭევ-ისა თუ ბედნიერ სვანეთის ჭევ-ის სახელითაა ცნობილი[3].

ეთნოგრაფიული მასალების და წერილობითი დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ დადეშქელიანების გაბატონებამდე ბედნიერი ჭევ-ი, ანუ როგორც მას კიდევ უწოდებდნენ მირგვალ ჭევ-ი (შეად. მირგვალ ხევსურეთი), როგორც ბალსზემო ისე ბალსქვემო სვანეთს აერთიანებდა. ხევის საზღვრები მთხრობელთა გადმოცემით შემდეგნაირად შემოიხაზებოდა: „უშგულაშ ი თოთან ნესგა“— უშგულსა და თოთანს შუა (ცხგმარი, ივანე მილდანი), „უშგულიდან ლახმულის ბოლომდე, ყოფილა ჭევ“ (მულახი, ძემზა გუჯეჯიანი), ან კიდევ „უშგულაშ ი ლალვერი ნესგა“ (მესტია, ალექსანდრე ჯაფარიძე). ზემო სვანეთის ამ სახით განსაზღვრა არ არის უცხო არც სხვა ხასიათის სვანური ეთნოგრაფიული მასალებისათვის. ცნობილია, რომ მესისხლეთა შერიგების დროს დადებულ ერთგულების ფიცში, რომელსაც სვანურად „ლიგირცამი ნაერთგულაჟინ“ ეწოდება, ნათქვამია: „დიდაბი ლეჭედ, ახმურჯი, უშგვლაშ ი ლალვერი ნესგა მაჲ ლაჴვამ, ჩუ სგვეჯდედს“, რაც ქართულად ასე იქნება: — დიდების შესაწირო, მოიმარჯვე უშგულსა და ლალვერს შუა, რაც სალოცავი ბრძანდებოდეს, — ამით მთქმელი განსაზღვრავს მთელი ზემო სვანეთის სალოცავებს. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ჭევ-ბედნიერ-ის საზღვარი კიდევ უფრო გაფართოებულია და ზემო სვანეთთან ერთად ქვემო სვანეთსაც გულისხმობს. ასე მაგალითად, იფარელი სოზარ გულბანის თქმით: „ჭევ-ბედნიერს ეძახდნენ თოთანიდან უშგულამდე, მერე გადაღმა კიდევ ცენიდან მურის ხიდამდე“.

მოიპოვება ისეთი ცნობაც, როდესაც „ჭევ-ბედნიერ-ის“ საზღვრები გაფართოებული იყო ზემო სვანეთის ფარგლებშიც. ლატალელი მოხუცი შავხან ფარჯიანი ასეთ ცნობას გვაწვდის: „ძველი საზღვარი სვანეთისა სხვა იყო: უშგუ-

---

[1] პ. ინგოროყვა. დასახელებული ნაშრომი, 33.

[2] იქვე, 33.

[3] რ. ხარაძე. სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბ., 1953.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიდან ჯვარამდე და ბახსანის ჩათვლით, ეს იყო ჴევ-ბედნიერი". ხოლო შემდეგი დროისათვის, როდესაც მომხდარი საზოგადოებრივი ცვლილებების გამო ქვემო სვანეთი, ისევე როგორც ბალს ქვემო ჴევი, ე. წ. ბალღნჩუ, უნდა მოშორებოდა ერთობილ სვანეთის ჴევს, ეს უკანასკნელი თავის არსებობას მხოლოდ ბალს ზემო ჴევ-ის სახით განაგრძობდა. ამის შესახებ ადგილზე ასე შენიშნავენ: „ბალს ქვემოთ ჴევ-ი არ ჩადიოდა, რადგანაც ქვემოთ დადეშქელიანები იყვნენ და ისინი ჴევ-ის გაერთიანებას ხელს უშლიდნენ" (მულახი, ჟემზა გუჯეჯიანი).

„სვანეთის საისტორიო ძეგლებში" ჴევ-ბედნიერი უშგულსა და ლალვერს შუა მდებარე სრულიად სვანეთის ჴევით განისაზღვრება. აღნიშნული ტექსტების მიხედვით, ერთობილი ჴევ-ი ლალვერსა და უშკულს შუა მდებარე, გაიყოფება ზემო და ქვემო ჴევად. ასე მაგალითად, ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც გამომცემლის მიერ დათარიღებულია XIV საუკუნით, ნათქვამია: „... 'ჩვენ ჴეუ'მან ერთობილ'მან უშგუ'ლსა და ლალაუვერსა შუვა, ყუველამან ყოველთ ნდომითა (და) დამოწმებითა. ამა პირსა ზედა გაუამაგრეთ ჴეობა: თუ ზემო ჴეუმან გაგიტეხოთ ჴეობა, იმერ ამე [ . . . . . ] და ზემო ჴევისა ნანძლევი ქუემო ჴეუსა დაგრჩომოდე; და თუ ქუემო ჴეუმან გაუტეხოთ, ზემო ჴეუსა დაგრჩომოდეს" და სხვა[1]. ამავე დროის სხვა დოკუმენტების მიხედვით, ზემო ჴევ-ი ატკვერსა და ბელას შუა არის ლოკალიზებული. ატკვერი უშგულის ზემოთ მდებარეობს და, ამრიგად, ზემო ჴევ-ის აღმოსავლეთ ნაწილს ისევე განსაზღვრავს, როგორც მთლიანად ერთობილ სვანეთის ჴევ-ის ამ ნაწილს. ასეთია, მაგალითად, „ბელას ზემო სვანეთის ჴევ-ის დაწერილი საგმობი დანაშაულთა", სადაც ნათქვამია: „დაუწერეთ საგმობი ესე ერთობილმან სვანეთისა ჴეუმან ატკვერს და ბელას შვამა ყოველმან, ერთმან ერთისა ნდომითა, ამა პირსა ზედა, რომე[2]"... და სხვა.

საყურადღებო ცნობა მოგვეპოვება ამ მხრივ ბ. ნიჟარაძის მასალებშიც, რომლის საშუალებით შეიძლება იმის გარკვევაც, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ბედნიერი ჴევ-ისათვის უშკულსა და ლალვერს ერთობილ სვანეთის საზღვრების დაზუსტებისას. ჴევ-ბედნიერ-ის ყრილობას, თავის მუდმივ შესაკრებ ადგილად მიჩნეული ჰქონდა აღმოსავლეთით უშკული, ხოლო დასავლეთით ლალვერი, რომელიც ბ. ნიჟარაძის განმარტებით მდებარეობდა ლახამულას და ფარის თემებს შუა[3].

---

[1] პ. ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, 9.

[2] იქვე, 37—38.

[3] ბ. ნიჟარაძე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, 1962, 88—89.

ბალსქვემო და ბალსზემო სვანეთის აღსანიშნავად იხმარებოდა „ქუემო ჴევი“ და “ზემო ჴევი“, (რასაც შეესატყვისება დღევანდელი სვანური „ჩუბე ხეუ“ და „ჟაბე ხეუ“). XIV ს-ის ერთ მინაწერში ნათქვამია: „თუ ქუემო ჴეუს გა-[მოჩ] ნდეს ცაიშე [ლ] მან დაი [უ] როს [რ] ჯუელი, [ზე] მომან [ცა] გერელ [მა] ნ-ზემოთ დაიჭიროს“[1], ანდა: „... და ამოუწ [ყუი] დოთ ქუემოსა ჴ[ევსა ვინცა] [ი] მყოფებოდეს; [თ] უ ზემოსა ჴევისა იყოს ჩუენ ზემო ჴევ [მან] ვე დავწვათ და [ამო] უწყუიდოთ“...[2] ანალოგიური შინაარსით არის წარმოდგენილი ეს ტერმინი დაახლოებით იმავე პერიოდის მეორე დოკუმენტში, კერძოდ, „ამა პირსა ზედა გაუამაგრეთ ჴეობა: თუ ზემო ჴეუმან გაგიტეხოთ ჴეობა, იმერ ამე [....] და ზემო ჴევისა ნანძლევი ქუემო ჴეუსა დაგრჩომოდეს; და თუ ქუემო ჴეუმან გაუტეხეთ, ზემო ჴეუსა დაგრჩომოდეს“[3]. ამ უკანასკნელ ამონაწერში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დაპირისპირება ტერმინებისა ჴეუ და ჴეობა, რომელთა შორის პირველი თემს ნიშნავს, ხოლო მეორე — ამ თემის მთლიანობას, თემობას („... ჴეუმან გაგიტეხოთ ჴეობა...“).

მოყვანილი მასალა ცხადჰყოფს, რომ XIV—XV სს. ქართულ წერილობით წყაროებში, „ჯაფარიძეთა სიგელი“ იქნება ეს თუ სხვადასხვა მინაწერი, ტერმინი „ჴევი“ აღნიშნავდა ზემო სვანეთის მტკიცედ ლოკალიზებულ დასახლებას. ვიწროდ გაგებული „ჴეუ“-ისაგან განსხვავებულად ამ ტერმინს ემატებოდა მსაზღვრელი „ერთობილი“, „ბედნიერი“ ან „ზემო“ და „ქუემო“.

ამასთან პარალელურად ტერმინი „ჴეუ“ იხმარებოდა იმ საზოგადოებრივი გაერთიანების აღსანიშნავად, რომელიც XIX ს-ის რუსულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში „общество“-ს სახელით იყო ცნობილი და აქედან ქართულ ლიტერატურაშიაც „საზოგადოება“-ს სახით შემოვიდა. XV ს-ის ერთ მინაწერში ვკითხულობთ: „... იმისი მოსისხარი სეტისა ჴევი ყუელა იყოს“...[4] ანდა, იმავე პერიოდის მეორე მინაწერში: „... ცხმარისა ჴეუმან დაუწერეთ მთავარანგელოზსა ლაბსყელდაშისა საპატიჟო...“[5] და სხვა. ანალოგიური გაგებით იხმარებოდა ეს ტერმინი ქვემო სვანეთის მიმართაც. ექ. თაყაიშვილს მოაქვს XIV — XV ს-ის ჯვარის ორი ასომთავრული მინაწერი, რომლებშიაც მოხსენებულია „არშე ჴევი“ და „ჴევი ჩოლურისა“[6].

---

[1] პ. ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, 7.

[2] იქვე, 8.

[3] იქვე, 9.

[4] იქვე, 26.

[5] ექ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, 1910 წელს, პარიზი, 1937, 95—96.

[6] იქვე, 96.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა დიმიტრი ბაქრაძის ცნობით. ერთ-ერთი ხატის წარწერაში, რომელსაც ავტორი X—XI ს-ით ათარიღებს, მოხსენებულია „ჴევი ლატალისა“. ამ თარიღს დ. ბაქრაძე სავარაუდოდ მიიჩნევს და დასძენს, რომ თუ მისი ვარაუდი სამართლიანია, მაშინ სიტყვა „ჴევი ლატალისა“ უეჭველად მიუთითებს, რომ სვანეთის საზოგადოებანი არსებობდა ჯერ კიდევ უძველეს დროს იმავე სახელწოდებით, რომლითაც ისინი ჩვენს დროში არიან ცნობილი“[1]. ჩანს, სვანეთის ხევებად დაყოფა მართლაც ტრადიციული იყო.

რიგ შემთხვევაში ვიწრო გაგებით ხმარებული ეს ტერმინი „ერთობილი ჴეუ“-ის სახითაც არის წარმოდგენილი. XIV—XV ს-ით დათარიღებული ერთი ძეგლის მინაწერში ნათქვამია: „მოგაჴსენე თქუენ ერთობილსა სეტისა ჴეუსა“[2]... ან: „... დაუდევით დაწერილი ესე ჩვენ სეტისა ჴეუმან ერთობილმან...“[3]. ზოგჯერ ერთი ხევის აღსანიშნავად ამ ტერმინის მრავლობითი ფორმაა გამოყენებული: „... ჩუენ ერთობილთა ჴევთა ცხმარისათა...“[4] ან: „ლაი [ლისა] ჴევთა...“[5].

ამა თუ იმ კერძო საკითხთან დაკავშირებით ცალკეულ ხევთა რეგიონალური და პერიოდული გაერთიანების შემთხვევაშიაც იგივე ტერმინი იყო გამოყენებული. ამავე ეპოქის ერთი ძეგლის მინაწერში აღნიშნულია: „...დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ ჴეუმან ერთობილმან მულახისა და მუჟალვისამან (და) სეტისამან...“[6]. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთ შემთხვევაში ერთსა და იმავე ხევში შემავალი ორი სოფელი ასევე ხევად იწოდება, მაგალითად, „... პასუხისა გამცემი ჩუენ ლაღამელნი და სეტისა ჴევი ვართ“[7], ან: „... დაუდევით დაწერილი ესე ჩუენ ლაღამელთა და სეტიელთა ყუველმან, ჴევმან ერთობილმან“...[8] ორივე შემთხვევაში ეს უკანასკნელი გარემოება სეტისა და ლაღამის მიმართ შეინიშნება.

ბ. ნიჟარაძე მიუთითებდა სვანეთში სამი რიგის საზოგადოებრივი გაერთიანების არსებობას; მისი სიტყვით, „ხეობის და სოფლობის შემდეგ თემი შეადგენდა

---

[1] Д. Бакрадзе. Сванетия, 87.
[2] პ. ინგოროყვა. დასახელებული ნაშრომი, 49.
[3] იქვე, 44.
[4] იქვე, 28.
[5] იქვე, 17.
[6] იქვე, 49.
[7] იქვე, 46.
[8] იქვე, 46.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სვანეთში საზოგადოებრივ მსხვილს ერთეულს (общественное крупное тело)"[1]. მაშასადამე, პირველია ხეობა (ე. ი. ხევი), მეორე — მასში შემავალი სოფლები და ბოლოს, მესამე, სოფლებში მცხოვრები თემები (გვარები). სხვა ადგილას ბ. ნიჟარაძე შემდეგი აღმავლობით მოიხსენიებს საზოგადოებრივ ერთეულებს: ოჯახი, თემი (ე. ი. ლამხუბი და გვარი), სოფელი, საზოგადოება[2]. მაშასადამე, ამ რიგით დალაგების მიხედვითაც სოფელი საზოგადოებაში შემავალი ერთი დასახლებული პუნქტია. ხევის ამგვარი გაგება ფოლკლორულ მასალაშიაც იჩენს თავს. რაჭველები მღერიან, მაგ., „უშკულა ხევი დაიძრა"[3].

შესაბამისად ქეუ-ის ზემოთ მოყვანილი გაგებისა, ამა თუ იმ ხევის ფარგლებში მცხოვრებ ადამიანს „მეჴევე" ეწოდებოდა. ბ. ნიჟარაძეს ერთ-ერთ სახარების მხედრულის ხელით მინაწერში ამოუკითხავს: „...რაცა ერთსა მეჴევესა კაცსა მართებს..."[4]. ეს გამოთქმა ქართული „მეთემე"-ს სრულ შესატყვისობას წარმოადგენს; „თემი", როგორც ცნობილია, სვანურში, განსხვავებით ქართულისაგან, ნიშნავს „ერთ გვარეულობას, შთამომავლობას საერთო წინაპარისა"[5].

გამოთქმა „მეჴევე" სხვა წერილობით ძეგლებშიაც გვხვდება. მემატიანე, მოგვითხრობს რა თამარის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების ჩაქრობის შესახებ, ამბობს: „ვინაცა გარდამოვიდეს სუანნი დიდებულნი და მეჴევენი..."[6]. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის განმარტებით, „მეჴევენი" „ხევის უფროსს" ნიშნავს[7]. მისივე დაკვირვებით, ხევის უფროსის აღსანიშნავად ქართულ წერილობით წყაროებში „ჴევისთავი" იხმარებოდა[8]. გიორგი რუსის „გარდმოტანებაში", როგორც ამავე ძეგლიდან ჩანს, მხოლოდ დიდებულნი და ჴევისთავნი კი არ მონაწილეობდნენ, არამედ მონაწილეობდა „ყოველი სუანეთი"[9], რაც გვაფიქრები-

---

1 ბ. ნიჟარაძე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები I, 106.

2 იქვე.

3 თავისუფალი სვანი. ოთხი დღე მდინარე ენგურის, ცხენისწყლის და რიონის სათავეებში, „ივერია", 1886, № 237—266.

4 ბესარიონ ნიჟარაძე. სვანეთის ხელთნაწერები. სახარებანი, „მოამბე", № IX, 104, შდრ. А. Хаханов. Сванетские рукописные евангелия, МАК, в. X. М., 1904, 28.

5 ბესარიონ ნიჟარაძე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, 1962, I, 106.

6 ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამ. II, 1959, 54.

7 იქვე, 575.

8 იქვე, 567.

9 იქვე, 49.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებს, რომ თამარის მიერ პატიებულ „მეჭევეებში“ სწორედ რიგითი ჯარი, ე. ი. მეთემეები იგულისხმება. ბესარიონ ნიჟარაძის ცნობით, ხევის შესაკრებ ადგილს ზოგჯერ „სახევ“ ეწოდებოდა. „აღრჩევა მახვშისა — ამბობს ბ. ნიჟარაძე — მოხდებოდა ყოველთვის ერთს აღნიშნულს ადგილს, რომელსაც სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვა სახელს უწოდებენ. ერთია „ლალხორ“, მეორე „სვიფ“ და მესამე „სახევ“ (სადადიანო სვანეთში)“[1].

ჰეუ ‖ ხევი სვანური სიტყვა არ არის. ქართულში მისი მნიშვნელობა („ჴეობა“ ფორმით) იშვიათი ლაკონურობით და სისრულით განმარტებული აქვს ს. ს. ორბელიანს. მისი სიტყვით, „ჴ ე ო ბ ა ერთწყალზე მრავალ მოსახლე“ არის[2]. ამ ტერმინის განსაზღვრა მოსახლეობის განლაგების მიხედვით ნათლად მიუთითებს, რომ ს. ს. ორბელიანი მას დასახლების გარკვეულ სახეობას უკავშირებს და არა მხოლოდ გეოგრაფიულ ერთეულს.

უახლესი სამეცნიერო ლიტერატურიდან ამასთან კავშირში მივუთითებდით ნ. ბერძენიშვილის სპეციალურ ნაშრომს, რომელშიაც ხევი განხილულია სწორედ როგორც დასახლების ფორმა, რომელსაც ქართველი ხალხის საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით: „ჩვენი მსჯელობა თუ მართალია იმის შესახებ, რომ ქართული სოფლების ხევისპირულობა არის შედეგი მათი მეურნეობრივი სახეობისა, რაც უმთავრესად მორწყვისაგან იყო დამოკიდებული, ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ ქართული სოფლები ხევისპირული გახდნენ მას შემდეგ, რაც მორწყვა მათთვის უმთავრესი მნიშვნელობის სამეურნეო საქმიანობა შეიქმნა[3]“.

„ხეობის“ სვანური შესატყვისია „ტვბ“. ბესარიონ ნიჟარაძე „სვანეთის ხეობა“-ს „შუანე ტვიბ“-ის საშუალებით გადმოსცემს[4]. „ტვბ“-ის ხმარება „ხეუ“-ის მნიშვნელობით თანამედროვე სვანურში არ არის დამოწმებული, თუმცა ეს ტერმინი გამოყენებულია როგორც გარკვეული დასახლებული პუნქ-

---

[1] ბ. ნიჟარაძე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, 90· შდრ. რ. ხარაძე. სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, მსე, VI, თბ., 1963,ხევის სოციალურ მნიშვნელობასთან. იხ. მისივე. ხევსურული ანდრეზი — ხალხური სამართლის წყარო, „მიმომხილველი“, ტ. II, თბ., 1951, 387—403; მისივე. თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, ტ. I, ნ. 2, თბ., 1959, 163—180 და სხვ.

[2] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1944, სიტყვასთან ჴეობა.

[3] ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, I, თბილისი, 1960, 181.

[4] ბესარიონ ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, 1962, I, 91.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტის სახელწოდება. ასეთია სოფელი ტკბ ჩოლურში (ქვემო სვანეთი). ეს ტოპონიმიკური ერთეული, საფიქრებელია, ისევეა გაჩენილი, როგორც „ხევი“ ყაზბეგის რაიონის ზოგადი სახელწოდების მნიშვნელობით და „ხევი“ ამავე რაიონის ერთ-ერთი სოფლის სახელწოდების მნიშვნელობით. როგორც ეტყობა, იგივე შეიძლება ითქვას აჭარის ს. „შუახევი“-სა, ხარაგაულის რაიონის ს. „ხევი“-სა, ჩოხატაურის რაიონის ს. „ხევი“-სა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მრავალი ს. ს. „ხევა“-სი, ზესტაფონის რაიონის ს. „ქვემო ხევი“-სა, თიანეთის ს. „ნადირაანთ ხევი“-სა და სხვათა შესახებ. ამ ტერმინმა ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობით სვანურ ტოპონიმიკაშიაც ჰპოვა ასახვა. „ჩუბე ხევი“-სა და „ჟაბე ხევი“-ს გარდა, რომლითაც სვანები ახლაც აღნიშნავენ სვანეთის ცალკეულ ნაწილებს, ლატალში ცნობილია — „ლეჭავ ცხეკ“[1] და „საჰევ“ ‖ „საჭევ“[2], რომელთა შორის პირველი სათემო ტყეს ნიშნავს, ხოლო მეორე — ერთ-ერთი მნიშვნელობით — თემის შესაკრებ ადგილს. უნდა ვიფიქროთ, რომ ხეუ ქართულიდან არის შესული სვანურში, და, როგორც ეს ზემოთ მოტანილი საბუთებიდან ჩანს, იგი შესულა სვანურში არა უგვიანეს X—XI სს. იმ მნიშვნელობით, რომელიც მას ქართულში ჰქონდა.

წერილობითი წყაროების საშუალებით თუ სხვა გზით შესულმა ამ ტერმინმა გამოდევნა სვანურიდან აბუსდ-ი, რომელიც შესაძლებელია არც არის სვანური სიტყვა. არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ იგი გარკვეულ კავშირშია აფხაზურ აафსტა-სთან, ასევე ხეობის ‖ ხევის მნიშვნელობით. მაგრამ საკითხი შეიძლება სხვაგვარადაც დაისვას. ცნობილია, რომ ანტიკური წყაროები აფხაზეთის ტერიტორიაზე მიუთითებენ ადგილს პუსტუსის სახელწოდებით, რომელიც სვანებისა და აფხაზების მოძმე ტომით იყო დასახლებული და აფხაზურში „აფუსტა“-ს სახელს ატარებს. ისმის კითხვა — ხომ არ არის სვანურის აბუსდ რაიმე კავშირში ანტიკური წყაროების პუსტუსის აფხაზურ ფორმასთან „აფუსტა“, რომელსაც ს. ყაუხჩიშვილი „აფსილიისა და მისიმიანის მხარეებში“ ათავსებს[3], ხოლო ზ. ანჩაბაძე საკუთრივ აფსილიას უკავშირებს[4]. იმის შემდეგ, რაც საბოლოოდ დგინდება, რომ ანტიკური წყაროების მისიმიელები სვანური მოდგმის ტომს

[1] ამ ტერმინის შინაარსის დაზუსტებისათვის მადლობას მოვახსენებ ლატალის სკოლის დირექტორს ამხ. ვენერა პაკელიანს.

[2] ამ ტერმინის შინაარსის დაზუსტებისათვის მადლობას მოვახსენებ ს. ჩიხარეშის სკოლის დირექტორს ამხ. ბორის ლობჟანიძეს.

[3] გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის გამ., IV, 54.

[4] З. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии (VI — XVII вв.), Сухуми, 1959, 64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეადგენს[1], აბუასდ — აფუსტას ეს ურთიერთობა მით უფრო ნიშანდობლივი ხდება.

დასახლებული პუნქტის ზოგადი სახელწოდების აღსანიშნავად ზემოთ დასახელებულ წერილობით წყაროებში ხშირად გვხვდება ტერმინი სოფელი[2]. წყაროების ერთი ნაწილი ამ ტერმინით აღნიშნავს სეტს. ასე მაგ., ერთს მინაწერში პ. ინგოროყვა კითხულობს: „... დაუწერეთ... ჩვენ სეტისა სოფელმან ყოველმან..."[3] მეორე შემთხვევაშიაც ასეა — „ესე დაწერილი დაუწერეთ სეტისა სოფელმან მტკიცე და უქცეველი"[4]. ასევე სოფლად მოიხსენება სეტი XV ს-ის ძეგლის ერთ-ერთ მინაწერში: „...მე ჯაფარიძემან პირნათელ... თქვენ სეტისა სოფელსა"...[5] მოყვანილი დოკუმენტების შინაარსიდანაც კარგად ჩანს, რომ ეს ტერმინი სხვას არაფერს აღნიშნავს, თუ არა ხევში შემავალ ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტს. სეტი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ერთ-ერთ იმ ოთხ დასახლებულ პუნქტთაგანს (ლეხთაგი, სეტი, ლანჩვალი, ლალამი), რომელსაც გვიანდელ საბუთებში და თანამედროვე მეტყველებაში მესტია ეწოდება. XIV—XV სს. იმ საბუთებში, რომლებიც პ. ინგოროყვამ გამოაქვეყნა, მესტია მხოლოდ ორიოდე შემთხვევაში მოიხსენიება და, ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ადრე ეს სახელწოდება აღნიშნავდა არა მარტო ერთ დასახლებულ პუნქტს, არამედ ოთხივე დასახლებული პუნქტის გაერთიანებას, ე. ი. ხევს. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე ის გარემოება, რომ პირნათელ ჯაფარიძის მიერ გაცემულ საბუთში პარალელურად გამოთქმისა „სეტისა სოფელი" ნახმარია გამოთქმა „ლალამისა და სეტის ერთობილი ჴევი", რომელიც მესტიის ხევში შემავალი ორი სოფლის გაერთიანებას გულისხმობს.

ზემოთ მოყვანილ საბუთებში ნახმარი ტერმინის — „სოფელი"-ს ასეთ გაგებას მხარს უჭერს სხვა მინაწერების ჩვენებაც და, პირველ ყოვლისა, იმ რიგის მინაწერების ჩვენება, რომლებიც ტერმინების „სოფელ"-ი და „ჴეუ"-ი დაპირისპირებას შეიცავენ. ასეთია XIV — XV ს-ის ერთი „სამაგრობელი"-ს შემდეგი ადგილი: „... რაი ლომი და მოლაშქრე მოვიდეს, რომელიცა ჴევი ანუ

---

[1] Г. Меликишвили. К истории древней Грузии, Т., 1959, 100.

[2] ამ ტერმინის მნიშვნელობისათვის ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. I, ტფ. 1928, გვ. 139—140; ს. ჯანაშია. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, „შრომები", I, თბ., 1949, გვ. გვ. 159, 282, 285—286.

[3] პ. ინგოროყვა. დასახელებული ნაშრომი, 43.

[4] იქვე, 46.

[5] იქვე, 25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი არ მოჰყვეს მისითა აბჯარითა, იმა ჯეუსა და სოფელსა მიუჴდეთ ჩვენ ერთობილი ჯევი“[1]. მეორე მინაწერში (XV ს-ის მეორე ნახევარი) ხევთა გაერთიანება უპირისპირდება სოფელს: „ესე წიგნი დავწერეთ...უშკული[სა], მესტი [ისა] და ლატალი [სა] ერთგულობასა ზედა... რომელ [მანცა] სოფელ [მან] ესე ფიცი შეგუიშალოს, კრულმცა არს“[2]. რომ „სოფელი“ ხეუ“-ისაგან განსხვავებულ მნიშვნელობას ატარებდა და ხევში შემავალი დასახლებული პუნქტის ზოგად სახელწოდებას წარმოადგენდა, ამაზე პირდაპირი ჩვენებაც არსებობს. ლობში (ლაშხეთის ხევის ერთ-ერთ სოფელში) ექ. თაყაიშვილს უნახავს XVIII ს-ის ხატი, რომლის წარწერაში მან ამოიკითხა: „წ-ო ღთის მშობელო შ-ე იწას ს-ფლი და შ-შ-თ ილოცვთ“[3]. ეს ადგილი ექ. თაყაიშვილის მიერ ასეა წაკითხული: „წმიდაო ღთის მშობელო, შეიწყალე იწას სოფელი და შიშით ილოცევით“. იწა, რომელმაც ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია, ლაშხეთის ხევში შედიოდა, როგორც მისი ერთ-ერთი დასახლებული პუნქტი. ანალოგიური მნიშვნელობით არის ნახმარი ეს ტერმინი XV—XVI ს-ის ერთი ხატის წარწერაში, რომელსაც ექ. თაყაიშვილი ასე კითხულობს: „ქ. წმიდაო მთავარანგელოზო, შეიწყალე მაშენებელი შენი სოფელი ესე ცენა...“[4]. „ჯაფარიძეთა სიგელში“ ვკითხულობთ: „და მოვაცემინეთ ლაშხეთს სოფელი და ციხე, ხერიას ცხრა კუამლი კაცი“[5]. ხერია დღესაც ლაშხეთის ხევის ერთი სოფელია.

ამავე გაგებით იხმარება ტერმინი „სოფელ“ სვანურ ფოლკლორშიაც[6]. პ. ინგოროყვას დასახელებული ნაშრომის მე-18 გვერდზე იკითხება: „... — ლაილისა სოფელი ერთობილი...“ ლაჰილი, როგორც ცნობილია, ერთი დასახლებული პუნქტია, რომელიც წარმოადგენს ხევის ნაწილს. ამ ხევს მთლიანად ლატალი ეწოდება. ამდენად „სოფელი ლაილი“ ამ შემთხვევაში სავსებით კანონზომიერი გამოთქმაა, რადგან იგი ხევის ნაწილს აღნიშნავს და არა მთლიანად ხევს. სწორედ ლაჰილში, სხვათა შორის, დ. ბაქრაძეს უნახავს მთავარ ანგელოზის ხატი, რომელსაც იგი ათარიღებს X—XI ს-ით და რომლის წარწერაში მას ამოუკითხავს: „...ერთობლნი სანნი და ხევი ლატალისა და აღაშენე მაშენებელი შენი სოფელი ლაჰილი“[7]. ლაჰილის ეკლესიის X ს-ის ერთ-ერთი ხელნაწერის

---

1 პ. ინგოროყვა. დასახელებული ნაშრომი, 5.

2 იქვე, 37.

3 ექ. თაყაიშვილი. დასახელებული ნაშრომი, 134.

4 ექ. თაყაიშვილი. 142.

5 პ. ინგოროყვა. დასახელებული ნაშრომი, 32.

6 И. Нижарадзе. Сванетские тексты, СМОМПК, XXXI, 24.

7 Д. Бакрадзе. Сванетия, 86.

ეროვნული

მინაწერებში, რომელთაც ექ. თაყაიშვილი XIV—XV ს-ებით ათარიღებს, მოხსენებულია ერთის მხრივ „ლატალის ჴევი“, მეორე მხრივ „ლაჰილის სოფელი“[1].

საყურადღებოა, რომ პ. ინგოროყვა, მის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში, ჩანს, საბუთების ზეგავლენით და უთუოდ კანონზომიერად სოფელთა ჯგუფს, როგორც წესი, „ხევ“-ს უწოდებს და არა „სოფელ“-ს. საკუთრივ — სეტის ხევი (საბ. საბ. 20, 21, 22, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 114, 115, 116); ცხმარის ხევი (საბ. საბ. 25, 26, 60); მულახის ხევი (საბ. საბ. 37, 38, 39, 60); ლატალის ხევი (საბ. საბ. 40, 55, 58, 60); კალის ხევი (საბ. საბ. 69, 70, 71, 72, 118); უშკულის ხევი (საბ. 72); ლახამულას ხევი (საბ. საბ. 73, 74).

სვანური „ხეუ“-ისა და „სოფელ“-ის მნიშვნელობის შესახებ განსხვავებული აზრიც არსებობს. ი. ივანიუკოვი და მ. კოვალევსკი, რომლებიც XIX ს-ის ოთხმოცდაათიან წლებში მოგზაურობდნენ სვანეთში, ფიქრობდნენ, რომ „სოფელ“ სვანეთში ეწოდება დასახლებული პუნქტების ჯგუფს. „сопель“-ს ზემოთ დასახელებული ავტორები ხშირად ხმარობენ, მაგ., მთლიანად მესტიის, ეცერის და სხვა ამავე რიგის დასახლების აღსანიშნავად[2]. ამასვე შემდეგში იმეორებდა ვინმე სვანი; მისი სიტყვით, სვანები „სცხოვრობენ პატარ-პატარა სოფლებში, თვითო სოფელი შესდგება 4—9 პატარა სოფლისაგან“[3]. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ავტორთა შორის ი. ბარტოლომეი, მაგ., ქვემო სვანეთის ლაშხეთსა და მასში შემავალ სასაშს, მართალია, ერთნაირად „селе-

---

[1] ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, 1910 წელს, 301.

[2] В Сванетии. Из путешествия И. Иванюкова и М. Ковалевского, «Вестник Европы», т. V, кн. 8, 567, 568, 611.

[3] ვინმე სვანი. სვანეთი. „ცნობის ფურცელი“, 1904, № 2648. შდრ. ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, მსე, XII—XIII, თბ., 1963, 144, შენ. 15, სადაც აღნიშნულია, რომ XIII—XV სს. საბუთები ტერმინით სოფელ მოიხსენიებენ რამდენიმე სოფლისაგან შემდგარ ეგრეთ წოდებულ „საზოგადოებას“. ანალოგიური აზრია გატარებული В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искуство грузинских племен, Т., 1957, 40. შენ. 15. იმავე ავტორის ადრინდელ ნაშრომებში საკმაოდ ხშირად იხმარება გამოთქმა „ლატალის თემი“, „სოფელი ლახუშდი“, ან „ლაშხეთის თემი, სოფელი სასაში“ (ვ. ბარდაველიძე. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, 12, 13 და სხვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ние"-ს უწოდებს[1], მაგრამ ზემო სვანეთისათვის ხევსა და სოფელს დიფერენცირებულად აღნიშნავს: „Селение Давбер Кальского общества", ანდა „пять селений Цхомарского общества" ან „13 селений Латали".[2] ზოგჯერ „селение"-ს ნაცვლად იგი ხმარობს „деревня"-ს, მაგრამ ამ უკანასკნელის სვანურ შესატყვისობად თავის ლექსიკონში მას ნაჩვენები აქვს„ „сопель"[3]. ნახევარი საუკუნის შემდეგ გამოქვეყნებულ წერილში მ. შოსტაკი ლატალს, ნებსით თუ უნებლიეთ, მაგრამ სავსებით სამართლიანად უწოდებს, „община Латали"[4].

ტერმინი „სოფელი"-ც, ჩანს, ადრე გაჩნდა სვანურში. შესაძლებელია მან ზოგიერთ შემთხვევაში შემოინახა ის ზოგადი მნიშვნელობა, რომელიც მას ძველ ქართულში ჰქონდა. მაგრამ ამასთან ერთად, როგორც დავინახეთ, არსებობს პირდაპირი ჩვენება იმაზე, რომ ძირითადად იგი იხმარებოდა, როგორც ხევში შემავალი ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის სახელწოდება. ამ დებულებას სხვა მასალაც უჭერს მხარს. ასე მაგ., თუ ხევის საერთო ყრილობის სახელწოდება „ხეობ", „ხეუ"-ისაგან არის ნაწარმოები, სოფლის ყრილობას სვანურში „ლისფალ" ეწოდება.

როგორც ცნობილია, ადრინდელ ფეოდალურ ურთიერთობათა გაჩენა-განვითარების კვლევისას ს. ჯანაშია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ტერმინ „სოფელ"-ის მნიშვნელობას. მან დაუკავშირა ქართული „სოფელი" სვანურ „სვიფ"-ს, რომელიც სვანურში სასოფლო შეკრების მოედანს ნიშნავს, და დაასკვნა: „თუ იგი (სვიფ, ავტ.) ქართ. სუფელის ნასესხობაა, მაინც მისი სემანტიკური ფუნქცია სვანურში ჩვენთვის ძალიან საყურადღებო ხდება: ცხადია, აქ დაცულია ის მომენტი, როცა სასოფლო თემს ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს თავისი ძირითადი ორგანო—სასოფლო ერის კრება; თვით კოლექტივთან ერთად „სუფელი" ამ ერის კრებასაც აღნიშნავს. შემდეგ ტერმინი უკავშირდება, როგორც ეს სვანურშია წარმოდგენილი, იმ ადგილს, სადაც ჩვეულებრივად თავს იყრის სოფელი"[5].

---

[1] Поездка в Вольную Сванетию полковника Бартоломея в 1853 г., ЗКОРГО, III, Т., 1855, 10, ი. ბარტოლომეის ეს ნაშრომი თარგმნილია გერმანულად და გამოქვეყნებულია ჟურნალში. Archiv für wissenschaftliche Kund von Russland, 1857, 4; 1858, 1.

[2] იქვე, შესაბამისად 15, 29 და 44.

[3] იქვე, 70.

[4] М. Шостак. По Раче и Сванетии, 40, შდრ. „В Лашхетском обществе, в сел. Дабиши" (Кавказ... Путевые заметки гр. Уваровой, ч. III, М., 1904, 262).

[5] ს. ჯანაშია. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, „შრომები", I, თბ., 1949, 286. ამასთან ყურადღებას იპყრობს ტერმინ „სასოფლო"-ს ხმარება საკუთრების ფორ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ სვანური ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ენობრივი მასალა გვიხატავს „სოფელ“-„სვიფ“-ის შემდგომი განვითარების სურათს. დგინდება მთელი რიგი შემთხვევა, როდესაც სვიფ, როგორც სასოფლო მოედნის ზოგადი სახელწოდება, კონკრეტული დასახლებული პუნქტის მნიშვნელობას იღებს. ასეთია ეცერში, ფარში და ცხუმარში შემავალი დასახლებული პუნქტების სახელწოდება „სვიფი“.

„ქევ“-ისა და „სოფელ“-ის ხმარების პრაქტიკა იმ ძველ ქართულ ხელნაწერებში, რომლებიც სვანეთშია შედგენილი და სვანეთს შეეხება, მოწმობს, რომ „ქევ“ სვანეთში იხმარებოდა დასახლებული პუნქტების ისეთი ჯგუფის აღსანიშნავად, რომელსაც ახასიათებდა ტერიტორიული, საზოგადოებრივ-ეკონომიური და გარკვეულ შემთხვევებში იდეოლოგიური ერთობლიობა. ამ მხრივ სვანური „ქევ“ ქართული „ხევ“-ის სრულ შესატყვისობას წარმოადგენდა. ტერმინით „სოფელ“ სვანურში აღინიშნება „ქევ“-ში შემავალი დასახლებული პუნქტი, როგორც „ქევ“-ის ორგანული ნაწილი.

* * *

თემური საზოგადოების უძველესი პერიოდის ეთნიკური ტიპის მთლიანობის დამახასიათებლად, როგორც ცნობილია, მიჩნეულია ისეთი ტომობრივი ორგანიზაციები, რომლებიც თავის შიგნით, ცალკეული გვარების სახით, სისხლითი ნათესაობის ნიადაგზე იყვნენ გაერთიანებული. გვაროვნული საზოგადოების დაშლასთან ერთად, ნათესაური კავშირი ადგილს უთმობდა ტერიტორიალურ ანუ სოფლის თემს, რომლის მთლიანობას მეზობლური ურთიერთობა ედო საფუძვლად. სოფლის თემში ოჯახს, რომელიც თავდაპირველად საოჯახო თემის სახით არსებობდა, აგრეთვე გარკვეული ადგილი ეჭირა. სოფლის თემმა გვაროვნული თემი შეცვალა, ხოლო საოჯახო თემი, რომელიც გვაროვნული თემის რღვევის პირობებში წარმოიშვა, რიგ ფუნქციას სოფლის თემშიც ინარჩუნებდა.

სოფლის თემის სტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით საყურადღებოა სვანური ხევის შიგნით ცალკე ჯგუფების სახით წარმოდგენილი მეზობელ სოფელთა გაერთიანებანიც, რომელთა შესახებ მასალები ძირითადად სადღესასწაულო შეკრების სახით იყო ჩვენამდე შემონახული. მათი თავდაპირველი

მის აღსანიშნავად. ერთ შემთხვევაში ვკითხულობთ: „რაიცა სასოფლო მიწაა წყალსა იქით და წყალს აქეთ“ (პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, დასახ. ნაშრომი, 25), ხოლო მეორე შემთხვევაში „... რაც მართლადა და ცხადად საერთოდ და სასოფლოდ არ სჩანდეს“ (იქვე, 27).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნება ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად სვანეთის საისტორიო ძეგლებიდანაც ჩანს.

ხევის შიგნით მეზობელ სოფელთა გაერთიანების საფუძველზე შექმნილი ეს ლოკალური კავშირები ძირითადად შემდეგი სახელწოდებითაა დადგენილი: ბალსზემო სვანეთში — ლაკრან-ი, ბალქსვემო სვანეთში — სიკვობ-ი და ქვემო სვანეთში — ლასკჯარ-ი.

აღნიშნული გაერთიანებანი წარმოადგენდა იმ თავდაპირველ ძირითად ბირთვს, რომლის საფუძველზედაც შემდეგში უნდა შექმნილიყო უფრო ფართო მოცულობის სოფლის თემი—სახევო გაერთიანების სახით. ჩვენ აქ არ ვჩერდებით დაწვრილებით ამ საკითხზე, ვინაიდან ის განხილულია სპეციალურ ნაშრომში[1].

სოფლის თემისა ანუ ხევის შიგნით არსებული საერთო საკუთრება სვანეთში სხვადასხვა სახით იყო შემონახული. საზიარო ნაკვეთს იქ ლ ა ლ ა რ ა ეწოდებოდა; საზიარო საკუთრებაში იმყოფებოდა ლალარა ლეჭმალ ანუ ლალარა ლახვ—საზიარო სათიბი, ლალარა ცხეკ—საზიარო ტყე, ლალარა ლაბლახ—საზიარო საბალახო და ბოლოს საზიარო მოხმარებაში მყოფი ხეხილიც.

ბესარიონ ნიჟარაძის აღწერილობაში ვკითხულობთ: „სვანეთში სახნავი მიწა საერთო მფლობელობაში არ არის. საზოგადო, სასოფლო და სათემო მფლობელობაში არიან: სამწყემსური საძოვარი ადგილები, სათიბები მთებში და ზოგიერთი ტყეები. თვითოეულს წევრს საზოგადოებისას საზოგადო ადგილებში, — სოფლის — სასოფლოში და თემისას — სათემოში თანასწორი უფლება აქვს. საერთო ტყის, სათიბის და საბალახო ადგილების ხმარებას, სარგებლობას ერთიმეორეს ვერვინ დაუშლის“[2]. როგორც ვხედავთ, საერთო მფლობელობაში ბესარიონ ნიჟარაძე ასახელებს სათიბებს, საძოვრებს და ტყეებს. ს. ავალიანის მიხედვითაც საძოვრები და ტყეები სათემო მფლობელობაშია ნავარაუდევი, ხოლო სათიბები სრულიად არაა მოხსენებული, იქ ვკითხულობთ: „Общинного владения комитет не находит, хотя пастбищные, лесные угодья состояли в общем пользовании не только крестьян одного помещика, но целого селения: наем надсмотрщиков, пастухов, сторожей, устройство оросительных сооружений производились сообща целыми селениями“[3].

---

[1] რ. ხ ა რ ა ძ ე. ტერიტორიალურ-მეზობლური გაერთიანებანი სვანეთში, მსე, XII—XIII, თბ., 1963, 387—402.

[2] ბ ე ს ა რ ი ო ნ ნ ი ჟ ა რ ა ძ ე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები. I, თბ., 115.

[3] С. А в а л и а н и. Крестьянский вопрос в Закавказье, I, Од. 1912, 338.

ი. ივანიუკოვისა და მ. კოვალევსკის მიერ აღწერილ მოგზაურობაში, ავტორები სრულიად უარყოფენ საერთო მფლობელობას სათიბებზე, რაც იმითაა გამოწვეული, რომ მათი ცნობები მხოლოდ ერთი რიგის სათიბებს ეხება — სოფლის შიგნით არსებულ სარწყავ სათიბებს, და სრულიად არ ითვალისწინებს მთის სათიბებს, რომელსაც თავისუფალი სვანი იხსენიებს ზემოთ მოტანილ ამონაწერებში. დასახელებული ავტორები წერენ: „Пахотная и сенокосная земля состоит в дворовой собственности; пастбища и луга которых изобилие, составляют собственность обществ; сванеты не помнят, чтобы пахотная и сенокосная земля была когда-нибудь в общинном владении“[1].

ვ. ტეპცოვის მიერ მოცემულ აღწერილობაში საერთო მფლობელობიდან გამორიცხულია ტყეც, ის წერს: „В общинном владении находятся только пастбищные места, нивы же и леса поделены между собой в частную собственность. Но и частная собственность идет в общее пользование, когда это нужно для интересов целого общества. Так например, гость принятый кем-либо из членов, считается гостем целого общества и угощать его должны целым обществом; в этом случае лицу, приютившему гостя, отпираются все частные житницы: он может брать для гостя, что угодно и сколько угодно“[2].

ჩვენი მასალების მიხედვით, მსგავსად თავისუფალი სვანის მასალისა, სათემო მფლობელობაში ძირითადად შედიოდა საძოვარი, გარკვეული რიგის, კერძოდ, ურწყავი სათიბი და ნაწილი ტყისა. იყო სხვა ხასიათის სათემო მფლობელობაც, რაზედაც ქვემოთ შევჩერდებით.

მთის საძოვრები შეადგენდა ნაწილობრივ სახევო და ნაწილობრივ სასოფლო მფლობელობას; იყო აგრეთვე ზოგან შემონახული ლაკრანის საზიარო მფლობელობაც[3]. ტყეებიც სხვადასხვა გვარად იყო დანაწილებული, როგორც სახევოდ, ისე სასოფლოდ, სასამხუბოდ და სახატოდ. სახნავი მიწები და სარწყავი სათიბები კი ოჯახების მიხედვით იყო დაყოფილი; ამავე დროს არსებობდა მცირე რაოდენობით ხატის მიწებიც, ე. წ. ლაბგა̈რ დაბა̈რ-ი (სიტყვასიტყვით — საბეგრო მიწები)[4].

---

[1] В Сванетии. Из путешествия И. Иванюкова и М. Ковалевского, В. Е., 1886, т. V, кн. 8, 590.

[2] В. Т е п ц о в. Сванетия, 43—44.

[3] ლაკრან-ის მფლობელობის შესახებ, იხ. რ. ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი.

[4] თავისებური იყო სვანეთში ბეგა̈რ-ის საკითხი. ჩვენ მიერ შეკრებილი მასალიდან ჩანს, რომ გარდა საერთო სასვანეთო მეზეგრეებისა, რომელთა არსებობაც სახარების მინაწერებიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამრიგად, საძოვრები, ნაწილი სათიბებისა და ტყეები შეადგენდა სხვადასხვა ხასიათის საზოგადოებრივი გაერთიანების საერთო მფლობელობას, ანუ ლალარა-ს, როგორც მას სვანები უწოდებენ.

მფლობელობის ისეთ სახეს, რომელიც ძირითადად განსაზღვრავდა საზოგადოების განვითარების საფეხურს, სახნავი მიწა და საქონელი წარმოადგენდა. სვანეთში, სოფლის თემის შიგნით ეს ორივე სახე ქონებისა საოჯახო მფლობელობას შეადგენდა, თავდაპირველად საოჯახო თემის მფლობელობის სახით წარმოდგენილს, ხოლო შემდგომ უკვე ინდივიდუალური ოჯახისათვის დამახასიათებელი კერძო საკუთრების სახით. მაგრამ ამ შემთხვევაში არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა საძოვრებს, ნაწილს სათიბებისას და ტყეს, რაც სათემო მფლობელობაში იმყოფებოდა.

ლალარ-ად ისეთი ტყე იყო დატოვებული, რომელშიც საშენ მასალას ჭრიდნენ, საწვავად გამოსაყენებელი ტყე კი ოჯახებად ჰქონდათ დაყოფილი. ის, ვისაც ლალარა ცხეკ-ში ხის მოჭრა ესაჭიროებოდა, ნიშანს, ე. წ. „დო̈ლს“-ს დაადებდა, დაჯვარავდა და შემდეგ მას ვერავინ მოჭრიდა; ყველა ცნობდა ერთიმეორის ნიშანს. ტყის მსგავსად არც საზიარო სათიბისა და ხეხილის განაწილება ხდებოდა. ვინც რამდენს მოიპოვებდა თავისი გამრჯე შრომით, — იმდენის მოხმარების უფლებაც ჰქონდა. ლალარა ლექმალ-ის მოსათიბად ყველანი ერთად მიდიოდნენ. ოჯახს, რომელსაც შეეძლო მეტი მუშახელი გამოეყვანა, მეტ

---

აშკარად ჩანს, თითოეულ თემს შედარებით ძლიერი თემი ბეგრავდა. ამ თემებს შორის შემდეგში კეთილი ურთიერთობა მყარდებოდა, მაგრამ ერთი მეორისადმი გარკვეულ დაქვემდებარებას ეს გარემოება მაინც არ გამორიცხავდა. ბეგუ̈რ-ის დადება უფრო ხშირად არაპირდაპირი გზით ხდებოდა და ხატის სახელით სრულდებოდა. ერთი თემი მეორეს თავისი ხატის მებეგრედ იხდიდა და დაბეგრილი თემისაგან მეორე თემის დაბეგვრა ხშირად დიდ მანძილზე მდებარე თემებს შორისაც ხდებოდა. ასე მაგალითად, კალას თემის მიერ იბეგრებოდნენ ქვემო სვანეთში მდებარე ჩოლურისა და ლაშხეთის თემები. ჩოლურის თემის, სოფ. ტვიბი-ის ერთი ნაწილი „ლავარჯან“ დღესაც ლებგუ̈რ-ად (საბეგროდ) იწოდება. ბეგუ̈რ-ს მთელი ტვიბ-ის მოსახლეობა აღდგომა დღეს ღვინით უხდიდა კალას თემს. აქ ჩამოთვლილი ბეგუ̈რ-ის სახეები, რა თქმა უნდა, განსხვავდება იმ ბეგარისაგან, რომელიც ქვემო სვანეთში უკვე ფეოდალური საზოგადოების განვითარების შემდგომ ჩნდება და ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც იჩენს თავს. ასეთი იყო მაგალითად, ლაშხეთის თემზე დადებული გარკვეული სახის ნივთიერი გადასახადი დ ა დ ი ა ნ ა ბ ე გ უ̈ რ. სოფ. ლეჯთან დღესაც არის შენარჩუნებული ძველი ციხის ნანგრევები, სადაც, გადმოცემით, დადიანს მეციხოვნენი — მეცხვანუ̈რ ჰყოლია დაყენებული. იქვე შემონახულია სასწორზე დასადები საწონი ქვაც, რომლის მიხედვით იზომებოდა ლაშხეთის თემის თითოეული ოჯახისათვის სავალდებულოდ გადასახდელი ხორცის რაოდენობა. ამასთან ერთად დადიანა ბეგუ̈რ-ში უნდა გადაეხადათ სანთელი 10—15 კგ წონისა, სგურ (მოქსოვილი კანაფი) ზომით 4—5 მგწდი (მკლავი) და 5—6 გასროლის ტყვია-წამალი.

მოთიბულსაც მოიტანდა. თავის მოთიბულს თითოეული ოჯახი ცალკე ზვინებად დგამდა და ზამთრამდე იქ ტოვებდა. ლალარა ლაბლახ-ს საზოგადოდ ხმარობდნენ როგორც თავისი საქონლის საბალახოდ, ისე გასაქირავებლადაც. საბალახოში მიღებულ ქირას ჩვეულებრივად სათემო პურობისათვის იხმარდნენ და ამით არაყსა და ყვიჟს (საკლავს) ყიდულობდნენ.

სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის სფეროში განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ ხერსთავებს, რომელთაც პერიოდულად ირჩევდა ხევში შემავალი ყოველი სოფელი; მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს თვითონ ხერსთავის არჩევის წესიც. როგორც ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, მართალია, ყოველ სოფელს ხერსთავების წინასწარ განსაზღვრული რაოდენობა უნდა მოეცა, მაგრამ ეს ხერსთავები მ ო რ ი გ ე ო ბ ი თ და ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი დ ა ნ უნდა ყოფილიყვნენ ამორჩეულნი.

ხერსთავის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას შეადგენდა ხ ა ლ ა გ ი ს[1] გახსნა-დაკეტვის წესების დაცვა და ამ წესების დამრღვევთა დაჯარიმება. საამისოდ, ვადების დაწესების უმალვე ყოველ ოჯახს ხერსთავისათვის უნდა ჩაებარებინა გარკვეული ფასის მქონე რაიმე სასოფლო-სამეურნეო იარაღი, რასაც სვანები უწოდებენ წ ი ნ დ ა რ -ს. წინდარი უბრუნდებოდა მეპატრონეს ხალაგის გახსნისთანავე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წინდარის მეპატრონის საქონელი, ზემოთ აღნიშნული წესის დარღვევის შედეგად, ნათესს დააზიანებდა, რასაც სვანურად ნ ა ვ ა რ ეწოდება. ნავარის დროს დამნაშავეს უნდა გადაეხადა ზარალის ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ზარალი წინდარით დაიფარებოდა.

ხერსთავის მეორე ფუნქციას შეადგენდა სათიბების მორწყვის თანაბრიანობის უზრუნველყოფა. მორწყვას საამისოდ არჩეული პირები მორიგეობით აწარმოებდნენ. ერთი და იგივე არხი მრავალი სხვადასხვა გვარის ოჯახის სათიბს რწყავდა. გამორიცხული არ იყო მორწყვის რიგის მიკერძოებით დარღვევა, რაც მკაცრი კონტროლის დაწესებას მოითხოვდა.

ასევე დიდი ადგილი ეჭირა ხერსთავის საქმიანობაში სახევო და სასოფლო სათიბების ექსპლუატაციის ორგანიზაციასაც. ამ მიზნით წესდებოდა ერთი გარკვეული დღე, როდესაც საზოგადო სათიბზე თითო ოჯახიდან თითო მთიბავი გა-

---

[1] სვანეთში არსებული პრაქტიკის მიხედვით სხვადასხვა ოჯახთა მფლობელობაში მყოფ ნაკვეთებს საერთო ღობე უკეთდებოდა, ამ ღობეში დატოვებულ გასასვლელს ეწოდებოდა ხალაგი. ტერმინთან ხალაგი // ალაგი, შდრ. Н. Марр. Извлечение из сванско-русского словаря, 2.

დიოდა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი წევრი იყო ოჯახში და რა საქონელი ჰყავდა მას.

მაგრამ ხევის ამ საერთო ინტერესების მთლიანობასთან ერთად, ადგილი ჰქონდა ინტერესების წინააღმდეგობასაც. ეს ეხება პირველყოვლისა იმ ოჯახებს, რომლებიც სხვადასხვა ნათესაურ გაერთიანებებს ეკუთვნოდნენ, მაგრამ ერთ სოფელში ბინადრობდნენ მეზობლად და ამდენად საერთო ინტერესებით იყვნენ გაერთიანებულნი. ჩვენ აქ არ შევუდგებით გვაროვნული ყოფის იმ მრავალრიცხოვანი გადმონაშთების აღნუსხვას, რომელთაც XIX ს-მდე მიაღწიეს, და კერძოდ, პატრონიმიულ გაერთიანებებს, რომლებიც სვანეთში ლამხუბ-ებისა, თუ სამხუბ-ების სახით იყო წარმოდგენილი და ტერიტორიალური გაერთიანების შიგნით ჯერ კიდევ გარკვეული მნიშვნელობის მქონე საზოგადოებრივ ინსტიტუტებს წარმოადგენდნენ[1]. აღვნიშნავთ მხოლოდ სისხლმესისხლეობის პრაქტიკას, რომელიც პოლიგენური განსახლების პირობებში მეტად თავისებურ სიტუაციას ქმნიდა და გამოხატულებას პოულობდა ერთის მხრით ნათესაური გაერთიანების, ხოლო მეორე მხრით ტერიტორიული მთლიანობის ინტერესთა აბსოლუტურად უკომპრომისო დაპირისპირებაში. იგივე უნდა ითქვას იმ მრავალრიცხოვანი კონფლიქტების შესახებ, რომლებიც სახნავ-სათიბი მიწების მფლობელობასთან იყო დაკავშირებული, რადგან ხშირად გადმოცემა ინახავდა წარმოდგენას ამა თუ იმ ნაკვეთის საერთო მფლობელობაში ყოფნის შესახებ, ხოლო პრაქტიკა ამ ნაკვეთების გამოყენებისა საოჯახო საკუთრების პრინციპს ემორჩილებოდა. ამ რიგის წინააღმდეგობათა მოგვარება მხოლოდ ისეთ მმართველობას შეეძლო, რომელიც ამა თუ იმ ნათესაური გაერთიანების ინტერესებზე მაღლა დადგებოდა და შეძლებდა დროის შესაფერისი სამართლიანობის ფარგლებში დაეკმაყოფილებინა ხევში გაერთიანებულ ოჯახთა ინტერესები, მიუხედავად ამ ოჯახების გვარობრივი კუთვნილებისა.

სწორედ ამიტომ, ხევის მეურნეობრივი საქმიანობის ორგანიზაციის ძირითად ამოცანას ამ კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში შეადგენდა ცალკეულ ნათესაურ გაერთიანებათა სეპარატული ინტერესების ალაგმვა და მთლიანად ხევის კოლექტივის სამეურნეო ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა. და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ XIX ს-ის მთელს მანძილზე ზემო სვანეთში ხევში შემავალი ოჯახების განსახლება და საოჯახო საკუთრებაში მყოფი სამეურნეო ნაკვეთების განლაგება შეესატყვისებოდა მეზობლურს და არა

[1] დაწვრილებით სვანური ლამხუბ-ისა ანუ სამხუბ-ის შესახებ იხ. რ. ხარაძე. დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, 17—41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათესაურ პრინციპს, სახევო მმართველობის აპარატის ეს ძირითადი ამოცანაც სავსებით გასაგები გახდება — ეს უნდა ყოფილიყო სამეურნეო საქმიანობის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც სავსებით უპასუხებდა ტერიტორიული თემის ინტერესებს.

მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც ნათესაური და ტერიტორიული ინტერესების დაპირისპირება არ სვამდა ალტერნატივას — ხევი ან ნათესაური გაერთიანება, როდესაც ეს წინააღმდეგობა არ ემუქრებოდა ხევის მთლიანობას ანდა მის მიმართ ნეიტრალური იყო, სახევო მმართველობის აპარატი დათმობაზე მიდიოდა. ამას კი ადგილი ჰქონდა პირველყოვლისა ზედნაშენურ მოვლენათა სფეროში (სასაფლაოს განაწილება გვარის მიხედვით და სხვა) და განსაკუთრებით სისხლ-მესისხლეობის ინსტიტუტთან დაკავშირებულ საკითხთა სფეროში, რომლებიც, შეიძლება სწორედ ამიტომ, სახევო მმართველობის კომპეტენციას არ შეადგენდა და ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის არჩეული *მორვარების* საშუალებით წყდებოდა.

ამგვარად, სვანების სამეურნეო ცხოვრების მთავარი მიმართულება, რომელშიც მესაქონლეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, განსახლების ძირითადად პოლიგენური სქემა და ამის შესაბამისი გეგმა სამეურნეო ნაკვეთების განლაგებისა, მეურნეობრივი საქმიანობის ისეთ ორგანიზაციას მოითხოვდა, რომელიც შეძლებდა ხევში შემავალი მრავალგვაროვანი ოჯახების სასიცოცხლო მოთხოვნილებათა მეტ-ნაკლები თანაბრიანობით დაკმაყოფილებას იმისდა მიუხედავად, თუ რომელ გვარეულობას ეკუთვნოდა ეს ოჯახი, და ხშირად ამ გვარის ინტერესების საწინააღმდეგოდაც. შესაბამისად ზემოთ დასახელებული მოთხოვნისა, სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაცია და შესატყვისი მმართველობის სისტემა ტერიტორიული გაერთიანების აშკარად გამოვლენილი ნიშნებით ხასიათდებოდა. ეს კი სავსებით უპასუხებდა იმ ძირითად მხარეებს, რომელიც სოფლის თემს ახასიათებდა.

სვანურ ხევ-ს ჰქონდა თავისი სახალხო კრება, რომელსაც *ლუზორ* ანუ *ლალხორ* ეწოდებოდა. ამ კრებას ხალხისაგან ამორჩეული მახვში მართავდა.

როგორც ამას ბესარიონ ნიჟარაძე აღნიშნავს, — მახვში-ს ხევი ირჩევდა უვადოთ და თუ იგი საზოგადოებისათვის მოსაწონი გამოდგებოდა, ეს თანამდებობა მას ღრმა მოხუცებულობამდე შერჩებოდა. უვარგის მახვში-ს კი მაშინვე გამოსცვლიდნენ.

ბესარიონ ნიჟარაძე იქვე წერს: „არჩევა მახვშისა მოხდებოდა ყოველთვის ერთს აღნიშნულს ადგილს, რომელსაც სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელს უწოდებდნენ, ერთი „ლალხორ“, მეორე „სვიფ“ და მესამე „სახევ“ (სა-დადიანო სვანეთში)“[1].

დიმიტრი ბაქრაძე ამის შესახებ შემდეგს წერდა: „В Сванетии общественные дела решаются миром. Так например: общему приговору подлежат суждения о постройке дорог и мостов, о ремонте или покрышке церквей и о взыскании, или штрафах существующего порядка в гражданских и религиозных делах. Всякий раз когда требуется созвать деревню, обязанность эту исполняет выборный старшина. Совещания бывают на площадях и по близости церквей... Дела решаются большинством голосов. Спорные дела частных лиц разбираются словесным судом медиаторов, которые выбираются тяжущимися сторонами из людей разумных и добросовестных“[2].

სათემო შეკრებილობათა წარმოებისა, არჩევისა და მისი უფლებების შესახებ ჩვენ მოგვეპოვება ბესარიონ ნიჟარაძის მეტად მნიშვნელოვანი შემდეგი სახის აღწერილობაც:

„აქვე იკრიბებოდა საზოგადოება,—წერს თავისუფალი სვანი,—ყოველთვის, როცა ყრილობის შესახები რაიმე საქმე იქნებოდა. ჯერ მივიდოდა ერთი რომელიმე წევრი საზოგადოებისა, დაუკრავდა ბუკს (საყვირი) ხალხის შესატყობინებლად. მაშინვე ყველანი შეიმოსებოდნენ საგარეო და სადღესასწაულო ტანისამოსით და შეიარაღებულნი წარემართებოდნენ დანიშნულს ადგილს. აქვე წარმოსდგებოდა სამახვშიო პირი, რომელიც ხალხს ჯერ უწინდელის მახვშის სიცოცხლეშივე ჰყავს ნაგულვები სამერმისო მახვშის მოადგილედ“[3].

მახვშის უფლებები შეზღუდული იყო საერთო ყრილობით, რომლის ერთ-ერთ ფუნქციას მახვშის წინადადების დამტკიცება თუ უარყოფა შეადგენდა. „ყოველ საზოგადო საქმეში, — წერს თავისუფალი სვანი, — მახვში ჯერ დაეკითხებოდა გამოცდილ და სარწმუნო კაცებს და მათებურად დადგენილს მოსაზრებას და გადაწყვეტილებას იგი წარუდგენდა საზოგადო ყრილობას. მოახსენებდა რა საზოგადო ყრილობას საქმის გარემოებას, მახვში წარმოსთქვამდა თავის შეხედულებასაც და დადგენილებას, თუ ეს ყრილობას მოეწონებოდა, ბევრის აწონ-დაწონის შემდეგ დაამტკიცებდა, თუ არა და დადგენილებას შესცვლიდა ან მთლად, ან რამდენადმე.

---

[1] ბესარიონ ნიჟარაძე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, 90.

[2] Д. Бакрадзе. Сванетия, 54—55.

[3] ბესარიონ ნიჟარაძე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, 90.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მახვშის ჰქონდა უფლება, რომ სახალხო ხანგრძლივის დღესასწაულობის დროს, როცა ხალხში მთვრალობისა გამო ჩეხა-კვლა და სხვა უწესობა ხშირად ხდებოდა, — მაშინ ყველასთვის იარაღი აეყარა. აჰყრიდა და დღესასწაულის გათავების შემდეგ ყველას კუთვნილებისამებრ დაუბრუნებდა“[1].

ასეთია სახევო ყრილობის ხელმძღვანელის უფლებები თავისუფალი სვანის მიერ მოცემულ აღწერილობაში.

მახვში-ს უფლება-ვალდებულებანი ოფიციალურად, თითქმის შეცვლილი იყო იმის შემდეგ, რაც უკვე შემოღებული იყო ბოქაულის თანამდებობა სათანადო გასამრჯელოს — 300 მანეთის წელიწადში დანიშვნით.

ეგნატე გაბლიანი ამის შესახებ წერდა: „ამირაჯიბის შემდეგ სვანეთის ბოქაულად დანიშნულ მამაცევისა და რ. ჯორჯაძის დროს მდივანბეგების სახელით მონათლული სვანეთის მახვშიები თანდათანობით კარგავენ თავის მნიშვნელობას და 1860 წ. მათი ძალაუფლება გადადის უკვე მთავრობის მიერ დანიშნულ მამასახლისის ხელში“[2]. მართალია, მომხდარი ოფიციალური ღონისძიებანი ცვლიდნენ თემური მმართველობითი სისტემის არსებულ წესებს, მაგრამ მათ მაინც ვერ შეძლეს მთლიანად ამოეფხვრათ ხალხურ ზნე-ჩვეულებაზე დამყარებული თემური გაერთიანების დამახასიათებელი ძირითადი მხარეები. საყურადღებოა ამ მხრივ, როგორც ოფიციალური დოკუმენტები, ისე ცხრაასიანი წლების მოგზაურთა მიერ დადასტურებული სვანეთის შინაური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ფაქტებიც. ასე მაგალითად, ა. დოლგუშინი თავის მოგზაურობის აღწერისას გადმოგვცემს შემდეგს: „Старик хозяин говорит, что отдавшись под покровительство России, они в сущности сохранили все свое. На самом деле оно так и есть. Законные сельские старшины, утверждаемые русскими властями, не имеют во внутренней жизни сванов никакого значения, и обыкновенно все дела решаются, как и прежде, выборными народом лицами“[3].

უაღრესად მნიშვნელოვანია ის ოფიციალური ცნობებიც, რომლებიც გარკვეულად მიუთითებენ იმაზე, რომ სათემო მმართველობითი სისტემა შემდგომაც განაგრძობდა სვანეთში არსებობას. ს. ავალიანი წერს: „Сванетия управлялась через агента русской власти пристава Сванетии, но фактически она сохранила целиком свое обычное право, попытки изменения его по-

---

[1] ბესარიონ ნიჟარაძე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, 92—93.

[2] ეგ. გაბლიანი. თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 86.

[3] А. Долгушин. Через Сванетию к Эльбрусу, 157.

ეროვნული ბიბლიოთეკა

стоянно сопровождались отчетливо выраженным неудовольствием населения“ . . . და შემდეგ იქვე ნათქვამია: „Кроме пристава „с номинальной властью“ из местных уроженцев князей, Сванетия не имела органы управления[1].

მალაფეევის მიერ 1875 წელს შედგენილი წერილებიდანაც იგივე სურათი ვლინდება. აქ ავტორი პუნქტების მიხედვით ჩამოთვლის არსებულ მდგომარეობას და წერს:

„1) Местное сельское самоуправление выражалось только в выборе должностных лиц; но по заявлению сих последних и собственному сознанию крестьян никто им не подчинялся.

2) К сельскому суду обращаются весьма редко, а когда и обращаются, то сторона недовольная решением, не подчиняется ему.

3) Ни одно уголовное дело, возбужденное с 1869 года, не решено судом. Все обвиняемые находятся на свободе.

4) Подати взимаются (?) с большим трудом несмотря на то, что были установлены в ничтожном размере“[2].

საყურადღებო ცნობები მოეპოვება თავისუფალ სვანს ხ ევის წევრების ურთიერთდამოკიდებულების შესახებაც. „თუ ვისმე სახლკარი და ჭირნახული დაეწვოდა, — წერს ავტორი,— საზოგადოება აძლევდა დაზარალებულს ოჯახს, გარდა წვრილმანის შემწეობისა, კომლიდან თვითო ჩაბანალ ნამუშევარს. სახლის ამშენებელს საზოგადოება მუქთად მოუტანდა საშენ მასალას: ხეს, ქვას, კირსა და სილას... როცა ამშენებელს ნადი დასჭირდება, საზოგადოება უარს ვერ იტყვის, თუ შემთხვევა მოიტანს, საზოგადოება თანასწორად იხდის საზოგადო მტრისადმი საზღაურს. საზოგადოება იწყნარებდა გაჭირებულს მხვეწნელს, როგორც თავის საზოგადოებისას, ისე სხვა საზოგადოებისას და ქვეყნისას. საზოგადოების მოვალეობაა რჩენა უთვისტომო, უნათესაო მოხუცთა; დავრდომილთა და გლახაკთა“[3]. ამას ყველაფერს ხევის სახალხო მმართველობა განაგებდა.

სათემო ყრილობის შესახებ თავის ნაშრომში ეგნატე გაბლიანიც ასევე წერს. ის აღნიშნავს, — რომ სათემო კრებას „თავისი მახვშის თავმჯდომარეობით გამოჰქონდა დადგენილება ერთი მოსახლის ან რამოდენიმე კომლის ლიჰყრე — აყრისა და თემიდან გაძევების შესახებ, მას შეეძლო ცეცხლითა და მახვილით მოსა-

---

[1] С. Авалиани. Крестьянский вопрос в Закавказье, II, Одесса, 1913, 46.

[2] ა. კ-ლი, გლეხთა შეიარაღებული აჯანყება სვანეთში, საისტორიო მოამბე, I, თბ., 1945, 149.

[3] ბესარიონ ნიჟარაძე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, 116.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხლის განადგურება, უძრავი და მოძრავი ქონების ჩამორთმევა საზოგადოების ფონდში გადასაცემად, დამნაშავეების სიკვდილით დასჯა და სხვა...“[1]. შემდეგ მის მიერვეა ჩამოთვლილი ყველა ის მომენტები საზოგადოების ცხოვრებისა, რომელთა შესახებ სათემო ყრილობას უნდა მსჯავრი გამოეტანა, როგორც მაგალითად: მეზობლებზე თავდასხმა, მეზობლებთან კეთილი ურთიერთობის დამყარება, წორ-ის მიღება და გადახდა, ავი სენის შემომტანთა მიმართ ღონისძიებათა გატარება და სხვა, თემიდან გამოქცეულის შემოკვდლება, სათემო მიწების საერთო სარგებლობის მოწესრიგება, ნიხრის დადგენა საქონელზე, ქურდობის შემთხვევაში ღონისძიებათა მიღება, ქალის მრუშობის შემთხვევაში დამნაშავეთა დასჯა, ბაპის დათხოვნა, თემის პირის გამტეხთა დასჯა, მოძალადე თავადისადმი დამხმარის დასჯა და სხვა[2].

საყურადღებოა, რომ XIX საუკუნის II ნახ. და XX საუკუნის ავტორთა მიერ მოცემული აღწერილობანი დასტურდება ადრინდელი სვანური საისტორიო ძეგლებით. XIV — XV სს. სვანური ხევის შესახებ არსებული წერილობითი დოკუმენტები წარმოადგენს ისეთ საბუთებს, რომელშიც ხევის გამაერთიანებელი ყველა ეს მომენტი თვალნათლივ მჟღავნდება.

ასეთია მაგალითად, „დაწერილი ქუეყნისა სამაგრობელი ერთობილისა სეტისა ჴევისა“, სადაც ნათქვამია, რომ ხევი უნდა წარმოადგენდეს ერთ მთლიან გაუტეხელ ძალას. ამ დოკუმენტს სრული სახით ჩვენ აქვე მოვიყვანთ:

„ქ/სეტისა მთავარ მოწამისა თავზდებობითა და შუვა მდგომლობითა დაუწერეთ და დაუდევით დაწერილი ესე ჩვენ სეტისა ჴეუმან ერთობილმან ერთმანერთისა ნდომითა და დამოწმებითა, ამა პირსა ზედა: რომელმანც გარეგანმან კაცმან საუსამართლოდ საუ˹— —˺უროდ დაგვიჭიროს, ვისითა მიზეზითა იყოს, პირი იგი ˹კაცი˺ [იყოს], ვირემდისაც შეიძლოს; რაი იმ კაცსა არ შეიძლოს მ˹ისითა˺ მ [— — — —] [— — —] ˹საჴელო˺ ერთსა ოდ(ენ) არ გარდავაჴდევინოთ, ქვეყანამან გ[არ] ˹დავი˺ ჰადოთ. აწ დღესა და დღისაგან წაღმა რომელმანც [კაც] მან და ˹თ˺ ემმან ესე დაწერილი გაგვიტეხოს და შე[გვიშალოს — — — სეტისა მთავარ მოწამისაგან] და მისისა ზღვრისაგან გამოსრულ იყოს იგი კაცი ˹და მის˺ [ი] თემი მისითა ნდომით სიტყვა უთქმელად.

ამისა გათავე˹ბისა˺ თავზდებად დაგვიწერია ზეით ღმერთი, მთავარ მ˹ოწამეს˺ [ეტისა], კაცთაგან — ქვეყნის ჩენილნი.

---

[1] ე. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 65.
[2] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კილამოშელსა დამიწერია“[1].

ის ოჯახი, რომელიც საზოგადოების მიერ დადგენილ წესებს არღვევდა და ამით საზოგადოების წევრებს ზიანს აყენებდა, სოფლისა თუ ხევის სასარგებლოდ საურავის სახით ჰ ი ბ ა რ-ს იხდიდა.

ჰიბარ-ი თავისებურ ვალდებულებათა სისტემის აღმნიშვნელია სვანეთში, რომელიც მმართველობის ხასიათსაც არკვევს და იმ დროს არსებული სვანური ჩვეულებითი სამართლის განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს.

საყურადღებო ცნობებს შეიცავს ამ მხრივ, როგორც ეთნოგრაფიული მასალა, ისე ზემოთ მოტანილი სახარების XIV—XV საუკუნის მინაწერები[2].

სოფლის საერთო შესაკრები ადგილის გარდა, რასაც ჩვენ ზემოთ შევეხეთ, ყოველდღიური საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების მართვა-გამგეობაში თავს იჩენდა ასევე სოფლის შიგნით არსებული ახლო მეზობლების გაერთიანება. ამ მეზობლების თავშესაკრებ ადგილს ლ ა ნ ყ ა ვ ეწოდებოდა (შდრ. სალაყბოს, ოღირღალს და სხვა).

სვანური ლანყავ-ი სოფლის მუდმივად მოქმედ შესაკრებ ადგილს წარმოადგენდა, სადაც კაცები, ჩვეულებრივ, თავისუფალ დროს ატარებდნენ და ამასთან ერთად, ხელით გარჯასაც ეწეოდნენ. ამავე დროს აქ ხდებოდა საგანგებო შეკრებაც სოფლის საჭირვარამო საკითხების გადასაწყვეტად; არ იყო აღკვეთილი ლანყავ-ზე ქალების დასწრებაც. ამ მხრივ ლანყავ-ი განსხვავდებოდა იმ საკრებულოებისაგან, რომლებიც დამოწმებულია, როგორც სხვა ქართველ მთიელებში— ხევსურული საფეხნოსი, მოხეური ერობისა, თუშური საანჯმოსი, რაჭული სანახშოსი, და ლაზური ღარღალაშა-ს სახით, ასევე მეზობელ მთიელებში დადგენილი დიდოური ვუდიკანისა, ოსური ნიხასი-ისა, ინგუშური ფელასა და ბალყარული ნიღაშ-ისაგან.

ლაჭორის მსგავსად ლ ა ნ ყ ა ვ-იც იმ დიდი ტრადიციის მქონე იყო, რომელმაც თავისი არსებობა ფეოდალური საზოგადოების დროსაც გადმონაშთის სახით შეინარჩუნა. ოფიციალური ხელისუფლება შემდგომ ხანებშიც ცდილობდა, რომ თავისი ძალაუფლება ამ საკრებულოების შუალობით განეხორციელებია, რაც თავისი მხრიდან ხელს უწყობდა ამ გადმონაშთების შენარჩუნებას. სვანეთის სახალხო მმართველობისათვის დამახასიათებელი იყო ტერიტორიალურ საფუძველზე შექმნილი ლოკალური კავშირები: ერთობილ ხევში შემავალ ცალ-

---

[1] ვ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II ნაკვ., თბ., 1941, 44.

[2] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. რ. ხ ა რ ა ძ ე. სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში. მსე, თბ., 1953, ნაკვ. VI.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კეულ ხევებისა, მეზობელ სოფლებისა და სოფლის შიგნით ცალკეულ უბნებში — უახლოესი მეზობელი ოჯახებისა. თითოეულ მათგანს თავისი გამაერთიანებელი ცენტრი გააჩნდა, სადაც მათი შეკრება იმართებოდა და ცალკეული საკითხებიც წყდებოდა.

ის გარემოება, რომ ლანყავ-ის უფლებები ქვემო სვანეთს უფრო თვალსაჩინოდ შემორჩა უკანასკნელ ხანამდე, ვიდრე ეს, მაგალითად, ბალსზემო სვანეთისათვისაა დამახასიათებელი, შესაძლებელია აიხსნას სწორედ ქვემო სვანეთში სათემო საკრებულოების ლაჯორისა და ასევე ლასკარ-ის საზოგადოებრივი მნიშვნელობის შესუსტებით. ქვემო სვანეთისა, ისევე როგორც ბალსქვემო სვანეთის სამთავროებად გახდომისა და იქ ოფიციალური წარმომადგენლის დანიშვნის შემდეგ, ლ ა ჯ ო რ-ის მნიშვნელობა სუსტდებოდა და კნინდებოდა. მოხელეები მაინც ზღუდავდნენ კრების იმ სახით მსვლელობას, როგორც ეს მანამდე არსებობდა. ლ ა ნ ყ ა ვ-ი კი შედარებით თავისუფალ შეკრებას წარმოადგენდა, რომელიც უფრო მეტად იყო ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებასთან ორგანიულად დაკავშირებული. ლ ა ნ ყ ა ვ-ი ხელმძღვანელობდა სოფლის შიგნით მეურნეობის სხვადასხვა საქმეებს: ხვნა-თესვისა, თიბვისა და მწყემსობისა, იმისდა მიუხედავად, რომ სახნავ-სათესი და სათიბი კომლობრივ მფლობელობაში იმყოფებოდა. ყველა ამ სეზონური სამუშაოების დაწყება-გათავების საქმეს ქვემო სვანეთში ლ ა ნ ყ ა ვ-ი ხელმძღვანელობდა, ხოლო ბალსზემო სვანეთში ლ ა კ რ ა ნ ი და ლ ა ჯ ო რ-ი. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლ ა ნ ყ ა ვ-ის მნიშვნელობა დიდი იყო უშკულის აბუასდშიც ანუ თემში, რომელიც ამავე დროს ყველაზე დიდ ხანს ინარჩუნებდა თემურ მმართველობას და დამოუკიდებლობას.

ქვემო სვანეთის სოფლების მსგავსად, უშკულშიც[1] ლანყავ-ი უბნების მიხედვით ეწყობოდა, და, როგორც წესი, ლაგდებოდა სოფლის გზა-ჯვარედინებზე, ხშირად რომელიმე სახლის კედლის გასწვრივ ქვებზე. ეს თავყრილობა ყოველდღიურად იხილავდა თავისი თითოეული წევრის მოქმედებას, აფასებდა მას, აძლევდა სათანადო რჩევა-დარიგებას და აფრთხილებდა თავის წევრს სოფლის პირის გატეხისაგან. პირის გამტეხნი, ერთის მხრივ, ისჯებოდნენ საურავის, ანუ ნაიბარის გადახდით, რაც სოფელსავე ხმარდებოდა. მაგრამ, ამავე დროს, სოფელი იმაზედაც ზრუნავდა, რომ ნაიბარ-ში მიღებული საკლავითა და სასმელით

[1] უშკულში ყველაზე კარგად შემონახულ ლანყავ-ებს ჩვაბიან-ისა და ჩაჟაშ-ის ე. წ. ნესგვინ-ი და ჩვიბრი წარმოადგენს, რომელთაგან უკანასკნელი უფრო გართობისა და მომხდარი ამბების ერთიმეორისათვის გასაზიარებელი თავშესაყარი ადგილი იყო, ხოლო პირველში კი ხალხი სამეურნეო თუ სხვა რამ სასოფლო საქმეების გადასაწყვეტად იკრიბებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამნაშავესათვის პატიება გამოეთხოვა. უ შ კ უ ლ-ა ბ უ ა ს ტ-ის სხვა თემებისაგან გამოცალკევება და კარჩაკეტილობა, რაც აგრეთვე ხევის ლოკალურ ეგზოგამიურობაშიც მდგომარეობდა, გამოწვეული უნდა ყოფილიყო მის გარშემო არსებული ფეოდალური ურთიერთობისა და ბალსზემო სვანეთში ვარგ-ების პრეროგატივისაგან თავის დაცვით.

მფლობელობის სახეებით უშკულ-აბუსტ-ი არ განსხვავდებოდა სხვა ბალსზემო ხევებისაგან, სადაც ასევე არ იყო ფეოდალური საკუთრება განვითარებული. აქაც უნდა აღინიშნოს სხვადასხვა სახის სათემო მფლობელობის ნიშნები. ყველაზე მაჩვენებელია ამ მხრივ სათემო მფლობელობა სათიბებზე, რომელიც წარმოდგენილი იყო საერთო საუშკულო ანუ აბუსტ-ის მფლობელობის სახით, შემდეგ სასოფლოსი, სამხუბ-ისა და საოჯახოსი. ეს უკანასკნელი ძველად საოჯახო თემის მფლობელობას წარმოადგენდა. სახნავი მიწები საოჯახო მფლობელობაში იმყოფებოდა, ხოლო საძოვრები, როგორც სათემო, ისე სასოფლო კუთვნილებას შეადგენდა, ყველაფერ ამას კი ხევი განაგებდა.

## 2. „ვარგ“-ის საკითხისათვის სვანეთში

XIX ს-ის დამდეგისათვის სვანეთი წარმოადგენდა ფეოდალური საქართველოს ნაწილს, მაგრამ, ზემოთ არა ერთგზის აღნიშნული გარემოების გამო, მისი სხვადასხვა კუთხე საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების სხვადასხვა ნიშანს ატარებდა. შემთხვევითი არ არის, რომ XIX ს-ის ორმოციანი წლების ერთი საბუთი ქვემო სვანებს უწოდებდა „მორჩილებს“, ბალსქვემოურებს — „ნახევრად მორჩილებს“, ხოლო ბალსზემოურებს — „ურჩებს“ (შესაბამისად: „покорные“, „полупокорные“, „непокорные“)[1]. ყველაზე თვალნათლივ ეს გარემოება მოჩანს საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებულ მასალაში, საკუთრივ საგლეხო რეფორმის ჩატარების კონკრეტულ პირობებში, მაგრამ ნამდვილი ვითარების დადგენას აქაც რიგი გარემოება ართულებს. მათ შორის პირველია რუს მოხელეთა მიერ საქართველოს მთიანეთისათვის უცხო სოციალური ტერმინოლოგიის გამოყენება და არ ცოდნა იმ სპეციფიკური შინაარსისა, რომელსაც სდებდა მოსახლეობა სვანეთში შემოტანილ წოდებრიობის ზოგად ნომენკლატურაში, თუ ამავე რიგის ადგილობრივ ტერმინებში.

ქვემო სვანეთში საგლეხო რეფორმა იმავე დროს და იმავე პირობებში ჩატარდა, როგორც სამეგრელოში. სარეფორმო მასალის წინასწარი შესწავლის შე-

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, ед. хр. 6164, ч. 93, лл. 10—25.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დეგად მიღებული დასკვნები არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ დასმულიყო საკითხი ქვემო სვანეთის გლეხთათვის რაიმე გამონაკლისის გაკეთების შესახებ[1]. მართლაცდა, როგორც ირკვევა, ქვემო სვანეთი გლეხების პირად თუ საადგილმამულო ვალდებულებათა მხრივ, თითქმის არ განსხვავდებოდა სამეგრელოსაგან.

აღნიშნული გარემოება კარგად მოჩანს იმ მრავალრიცხოვანი დოკუმენტებიდან (განსაკუთრებით ვლასტოვის და ლევაშოვის მოხსენებებიდან), რომლებიც საფუძვლიანად არის შესწავლილი სწორედ საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებით ს. ესაძის, ს. ავალიანის, პ. გუგუშვილის, შ. ჩხეტიას, მ. დუმბაძის, ი. ანთელავას და სხვათა მიერ.

ბალსქვემო სვანეთში მდგომარეობა განსხვავებული აღმოჩნდა. ჯერ კიდევ ი. შახოვსკომ მიაქცია ყურადღება, რომ დადეშქელიანის სამთავრო—ბალსქვემო სვანეთი — გამოირჩეოდა საქართველოს სხვა სამთავროებისაგან მთავრებსა და გლეხებს შორის არსებული ფაქტიური ურთიერთობით პირად და საადგილმამულო ვალდებულებათა სფეროში. თავისებურება იმაშიაც მდგომარეობდა, რომ ბალსქვემო სვანეთში აზნაურობა არ არსებობდა, მაგრამ, როგორც ი. შახოვსკოი გადმოგვცემს, მთავრებს — თათარყანს და ციოყს — ჰქონდათ „სიცოცხლისა და სიკვდილის უფლება“ („право живота и смерти)“[2].

ეცერში, სოფ. ბარშში — დადეშქელიანების რეზიდენციაში — ახლაც მიუთითებენ სვიფს — სოფლის შესაკრებ მოედანს, — სადაც მთავარს ხის ჩრდილში ქვის სკამი ედგა. აქ თათარყან დადეშქელიანი არჩევდა ეცერის მოსახლეობის საქმეებს.

რ. კანდელაკს მოყავს საარქივო დოკუმენტი, რომელშიც აღრიცხულია ბეჩოს მოსახლეობის ვალდებულებანი დადეშქელიანების მიმართ როგორც პირადი, ასევე საადგილმამულო ურთიერთობის სფეროში. ამ მასალის საფუძველზე რ. კანდელაკი ფიქრობს, რომ ბატონყმური ურთიერთობა საბატონო სვანეთში ზოგ შემთხვევაში გაცილებით უფრო მძიმე იყო, ვიდრე დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებში[3]. დასავლეთ საქართველოს გლეხთა მდგომარეობა XIX ს-ის პირველ ნახევარში საფუძვლიანად არის შესწავლილი მ. დუმბაძის მიერ, რომელსაც საკმაოდ ვრცელი ფაქტობრივი მასალა მოჰყავს. საკუთრივ სამეგრე-

---

[1] Документы по истории Грузии (1862—1917), под ред. Ш. Чхетия, I, Т., 1954, XXXVIII—XXXIX.

[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 103214, лл. 405—413.

[3] რ. კანდელაკი. კლასობრივი სტრუქტურა და სოციალური ურთიერთობა XIX ს. პირველი ნახევრის სვანეთში, „სკოლა და ცხოვრება“, 1961, № 12, 60.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის გლეხთა შესახები მასალის დაპირისპირება[1] რ. კანდელაკის მიერ მოყვანილ მასალასთან, რომელიც ბეჩოს მოსახლეობას შეეხება, არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ ბალსქვემო სვანეთის მოსახლეობის მდგომარეობა ამ მხრივ უფრო მძიმე იყო, ვიდრე დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეების მოსახლეობისა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზემოთ დასახელებული დოკუმენტის თავისებურება მისდამი კრიტიკულ დამოკიდებულებას მოითხოვს. იგი შედგენილია სვანეთის ბოქაულის მიერ 1860 წელს იმ ყოველწლიური ანაზღაურების ოდენობის გაანგარიშების მიზნით, რომელიც უნდა მიეღო დადეშქელიანების ბეჩოს შტოს ყმა-მამულის ჩამორთმევის შემდეგ და მის საკომპენსაციოდ. ბუნებრივია, სვანეთის ბოქაული მაქსიმალურად გაზრდიდა ვალდებულებათა ღირებულებას, მით უმეტეს, რომ რუსეთის ხელისუფლება დაინტერესებული იყო ამ ოპერაციის სწრაფად გატარებაში.

ბალსქვემო სვანეთში საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების დონის დახასიათებისათვის საყურადღებოა, რომ აქ ჩვენ გვაქვს გარკვეული კატეგორიები, რომელთა შორის გამოირჩევიან მოჯალაბეები[2]; უკანასკნელთა მიმართ ზოგჯერ იხმარება ტერმინი „შინაყმა“, „ფამლი“. ამასთან კავშირში ს. ავალიანი დასძენს, რომ მის ხელთ არსებული დოკუმენტების მიხედვით, მოჯალაბეთა ჯგუფს შეადგენენ პირველ რიგში ნასყიდნი და ტყვედ ჩავარდნილნი. ა. სტოიანოვმა მოჯალაბეებში რომაელი კლიენტები დაინახა[3], მაგრამ რაში მდგომარეობს ამ კლიენტების ნიშნები — ვერ თქვა.

ბალსქვემო სვანეთში ფეოდალურ ურთიერთობათა ამ თავისებურებამ აიძულა რუსეთის მმართველი წრეები საგლეხო რეფორმის განხორციელების დროს „გამონაკლისი“ დაეშვათ[4].

ამიტომ იყო სწორედ, რომ განსხვავებით ქვემო სვანეთისაგან, სადაც რეფორმის გატარების დროს ეს საკითხები არ დასმულა და რეფორმაც „საერთო საფუძველზე“ ჩატარდა, ბალსქვემო სვანეთში ამ რეფორმას რამდენადმე განსხვავებული სახე მიეცა.

როგორც ცნობილია, რუსეთის მოხელეებმა მოწესრიგებულად ჩათვალეს ურთიერთობა დადეშქელიანებსა და მათ გლეხებს შორის მას შემდეგ, რაც შედგა დოკუმენტი, რომელსაც ეწოდა „1869 წლის 4 აგვისტოს შეთანხმება“. შე-

---

[1] მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957, 90—91.

[2] С. Авалиани. Крестьянский вопрос в Закавказье, II, 49—50.

[3] А. Стоянов. Путешествие по Сванетии, 306.

[4] С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом, Т., 1907, 416—417.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბამისად ამ დოკუმენტისა დადეშქელიანებმა თითქოს „ნებაყოფლობით დაუთმეს“ თვითეულ ოჯახს „უსასყიდლოდ, სამუდამოდ და სამემკვიდრეოდ“ ის მიწები, რომლებიც ამ ოჯახებს რეფორმამდე ეჭირა — დაახლოებით 4 ქცევის რაოდენობით, გლეხები თითქოს „გათავისუფლდნენ“ ყველა ვალდებულებისაგან თავადების მიმართ; მათ მიეცათ ტყეებით და საძოვრებით სარგებლობის უფლება, რაშიაც თვითეული ოჯახი წელიწადში 50 კაპ. იხდიდა[1]. ამგვარად, ბალსქვემო სვანეთში საგლეხო რეფორმის შემდეგ გლეხი უშუალოდ გადავიდა ვითომც „მესაკუთრეთა“ კატეგორიაში, განსხვავებით საქართველოს სხვა კუთხეებისაგან და მათ შორის ქვემო სვანეთისაგან, სადაც „გათავისუფლების“ შემდეგ გლეხი „დროებით ვალდებულად“ დარჩა[2].

ეს იყო შედეგი იმ თავისებურებისა, რომელიც ახასიათებდა ბალსქვემო სვანეთს ფეოდალური ურთიერთობის სფეროში.

ეთნოგრაფიული მასალისა და საოჯახო არქივებში დაცული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ბალსქვემო სვანეთში ადგილობრივი მოსახლეობა მიწის მფლობელობის სულ ცოტა ორ ფორმას ასხვავებდა — ნ ა დ ე ლ ს და ნ ა ყ ი დ ს. რეფორმის შემდეგ უპირატესობა მიიღო ტერმინმა „ნალჯომ“. ნალჯომი მონაზომს ნიშნავს. ეცერში ნალჯომი 12 ცხვადიშს უდრის[3], ე. ი. დაახლოებით ერთი დღიურის თანატოლია.

გადმოცემით, რეფორმის ჩასატარებლად მოსულ კომისიას ჯაჭვით მოუზომია მიწის ზემოაღნიშნული ფართი და გლეხებისათვის მფლობელობაში გადაუცია. ეს საკითხი საკმაო სისრულით არის გაშუქებული სპეციალურ ლიტერატურაში[4] და აქ მასზე აღარ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იმ დოკუმენტებში, რომლებიც ჩვენს მიერ ბალსქვემო სვანეთში საოჯახო არქივებში იყო მიკვლეული, ყურადღებას იპყრობს რიგი სპეციფიკური გამოთქმა. ასე, მაგ., ეცერში (ს. ბარში) მიხეილ გურჩიანის ოჯახში აღმოჩნდა ქუთაისის ნოტარიუსის ივანე განგესოვის სააქტო წიგნის მეხუთე ნაწილის ამონაწერი

---

[1] Сельское хозяйство и аграрные отношения. сост. П. Гугушвили, II, Т., 1950, 527 — 529; ა. კალვეიტის ცნობით, სადადეშქელიანო სვანეთის გლეხთა „გათავისუფლების“ შემდეგ მათ მიეცათ სამოსახლო და 5 ქცევა სახნავ-სათიბი მიწისა (Э. Кальвейт. Очерки сельского хозяйства верхней Сванетии, 51).

[2] С. Авалиани. Крестьянский вопрос в Закавказье, II, 47.

[3] ეცერი. სოფ. ლანტელი. კოწია ბექიზას-ძე პაკელიანი.

[4] Э. Кальвейт, Очерк селького хозяйства верхней Сванетии, 51; С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом,416-417; С. Авалиани. Крестьянский вопрос в Закавказье, II, 52; Сельское хозяйство и аграрные отношения, II, 527—529 და სხვა.

(1872 წელი, გვ. 50, № 92), რომელშიაც ნათქვამია, რომ თანახმად გამოსყიდვითი ოპერაციის „ნაკაზის" 92 მუხლისა, ეძლევათ მიწის მფლობელობის სიგელი „...Мгалобелу Чате и Муза Елиузовым сыновьям Гурчиани на уступленные им бывшим их владельцем, князем Гела Джансуховым сыном Дадишкилиани, по добровольному между ними соглашению безвозмездно, в вечное и потомственное владение угодья, коими они пользовались до составления протокола четвертого августа тысяча восемьсот шестьдесят девятого года, а именно» (ჩამოთვლილია მიწის ნაკვეთები მათი დანიშნულების, ზომებისა და საზღვრების ჩვენებით).

სხვა დოკუმენტებით ირკვევა, რომ 1869 წლის 4 აგვისტოს ოქმით ბალსქვემო სვანეთის გლეხობას მიუღია მონაზომი მიწები (ნალჯომი) თითოეულ კომლზე ხუთი ქცევის რაოდენობით. მიწა გაცემული იყო „უსასყიდლოდ", „საუკუნო და მემკვიდრეობით მფლობელობაში". ამასთან ერთად მისაღებია მხედველობაში, რომ დოკუმენტში მოხსენებულია არა ერთი პირი — ოჯახის უფროსი — არამედ ოჯახის ყველა მამაკაცი — წევრი, რაც საოჯახო თემის უფლებრივი ნორმების დამახასიათებელ მხარეს შეადგენდა. მცირეოდენ განსხვავებას, რომელიც სხვადასხვა პირთა ნალჯომების ფართობის მიმართ შეინიშნება, თავისი განმარტება აქვს: ეს გარემოება შეპირობებული იყო იმით, რომ ნალჯომის სახით გლეხს ეძლეოდა, როგორც წესი, იგივე ნაკვეთი, რომელიც მას ძველად ჰქონდა.

ასეთი ოდენობისა და ხასიათისაა ნალჯომი. საგლეხო რეფორმის დროს ეცერსა და ცხუმარში აღწერილი 132 კომლიდან 130 კომლმა ნალჯომის სახით მიიღო 709 ქცევა და 408 კვ. საჟენი მიწა. მართალია, ნალჯომი, მფლობელობის ფორმის თვალსაზრისით, ნასყიდი მიწისაგან არ განსხვავდებოდა, მაგრამ თავისი წარმოშობით იმ თავისებურებას ასახავდა, რომელიც სადადეშქელიანო სვანეთში დამკვიდრებულ ფეოდალურ წესწყობილებას ახასიათებდა. ამგვარად, ნადელმა ბალსქვემო სვანეთში ნალჯომის სახე მიიღო და მისი გამოსყიდვის წინასწარი პირობის გარეშე საოჯახო მფლობელობაში გადავიდა.

ბალსქვემო სვანეთში ნასყიდი მიწებიც იყო. მიწის ნასყიდობა სვანეთის ამ ნაწილმა, ჩანს, ძველთაგან იცოდა, მაგრამ საგლეხო რეფორმის შემდეგ ბალსქვემო სვანეთში მიწის ყიდვა-გაყიდვის პრაქტიკამ ფართო ხასიათი მიიღო. ზემოთ დასახელებული დოკუმენტების ნაწილი გლეხობის მიერ დადეშქელიანებისაგან მიწის ყიდვის ფაქტს ასახავს. ცალკეულ შემთხვევებში და მოგვიანო ხანებში მიწის ყიდვა გლეხთა შორისაც წარმოებდა.

ეცერში ს. კალაში ილია ალექსანდრეს-ძე ჩხეტიანის ოჯახში დაცულია შემდეგი საბუთი:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„1898 წელსა აპრილის 26-სა დღესა.

ჩვენ ქვემო ამისა ხელის მომწერელმან ლეჩხუმის უეზდის ეცერის საზოგადოების და სოფელსა ცხუმარს მცხოვრებმა თავადმა კონსტანტინე ლევანის-ძემ დადიშქელიანმა, მოგყიდე ჩემი საკუთარი ადგილი სახნავი წოდებული ნეგბარ ზომით ორი ცხვადიში, სამზღვრებთა შორის აღმოსავლეთით, კ~ზ ალექსანდრე დადიშქელიანის ადგილი, დასავლეთით კ~ზ ალექსანდრეს სახლამდის, სამხრეთით, ისევ კ~ზ ის ადგილამდის ჩრდილოეთით სასოფლო გზამდის. ესე ზემორე აღნიშნული ადგილი მოგყიდე შენ სოფელსა კალაშს მცხოვრებს გლეხს ჯაშბეგ ლაზარეს-ძეს ჩხეტიანს და ფასი სრული მივიღე რიცხვით ორასი მანეთის საღირალი ვეჯი ჩხეტიანისაგან. ეს არის ჩემი პირობა არ გედაო არც მე და არცა ჩემი ძე და მომავალი.

და მასშინა ჩვენს საკუთარს ხელს ვაწერთ კ~ზ ბექირბი დადეშქელიანი".

ამავე რიგის დოკუმენტი, როგორც შედარებით ადრინდელი, ასევე გვიანდელი ხანისა, სხვაც არა ერთი მოიპოვება. მაშასადამე, ასე ნაყიდი მიწაც სამემკვიდრეო მფლობელობაში გადადიოდა.

ყიდვისთანავე ეს მიწა საოჯახო-სათემო მფლობელობაში ექცეოდა და ოჯახის გაყოფისას მოწილეთა შორის თანაბრად იყოფოდა.

ბალსქვემო სვანეთში მიწის იჯარით გაცემის პრაქტიკაც არის დადასტურებული. ჩვენს ხელთ საამისოდ არსებული ეთნოგრაფიული მასალები და საბუთები არ შეიცავენ არც ერთ ცნობას, რომელიც გლეხის მიერ მიწის იჯარით გაცემაზე მიუთითებდეს.

ამასთან კავშირში ყურადღებას იპყრობს ერთი დოკუმენტი, რომელიც იმავე ალექსანდრე ჩხეტიანის ოჯახში აღმოჩნდა და 1876 წლის 24 თებერვლით არის დათარიღებული.

„ჩყოვ-სა წელსა თებერვლის 24-ს დღესა, ესე პირობის ხელით წერილი მოგეცით მე ამისა ქვემორე ხელის მომწერმან ლეჩხუმის უეზდის სვანეთის უჩასტკის სოფლისა ეცერის მცხოვრებმან კნიაზ თენგიზ დადიშქელიანმა, თქვენ სოფლის ფარის საზოგადოების სუპის მცხოვრებს გლეხს ლაზარე ეტას ძეს ჩხეტიანს და შენს ძმებს ომანს, არანს და სოფლის ეცერის საზოგადოების მცხოვრებ ბათუს ამნაისვარის ძეს ხაბალანს მას შინა, რომელ მე მაქვს სოფელსა კალაშს სახლი თვისის მოწყობილობით, აგრეთვე ადგილები გარდაცვალებულის გლეხის ბათურ მუღალიანის ნაქონი, ადგილები სახელწოდებით...

აგრეთვე წისქვილი ეს ზემორე აღნიშნული რაც არის თქვენთვის ლაზარის და მისის ძმების და მათისათვის მომიცია სანახევროთ, ესე იგი სამუშაოთ იმ პირობით, რომ ეს ადგილები თქვენ უნდა იმუშავოთ კარგი მუშაობით და ნახევარი

მოსავალი თქვენი უნდა იყოს, ნახევარი მე უნდა მომცეთ, ხოლო ჩვენ ჩხეტიანები და ხაზოლანი გეკვრით ამ პირობით, რომა როგორც სხვანი თქვენი მოსახლენი იხთიან გარდასახადს ისე მომრთმევი ჩვენ ვიქნებით. აგილის მოსავლისაგან ნახევარი აგრეთვე წისქვილს და ტყეს და ხეს რაც... ბეგარა მართებს სხვათა გლეხთა ეცერის მოსახლეთა თქვენი ისრე ჩვენ მოგართვათ მოთხოვნილების დროს...“.

ბალსზემო სვანეთში საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმები კიდევ უფრო გაურკვეველი აღმოჩნდა. საქართველოში საგლეხო რეფორმის საკითხისადმი მიძღვნილ ზემოთ დასახელებულ შემაჯამებელ შრომებსა და დოკუმენტებში ნათლად ჩანს სვანეთის ამ ნაწილში მტკიცედ დადგენილი გვარების არსებობა, რომლებიც აზნაურებად იწოდებიან. ესენია: ჯაფარიძეები, იოსელიანები, ქურდიანები, დევდარიანები, ყიფიანები, ჩარკვიანები, ჟორჟოლიანები...[1] ისინი, სხვა გვარებთან შედარებით, სარგებლობენ გარკვეული უპირატესობით, მაგრამ ფაქტიური მდგომარეობით საკმაოდ შორს დგანან იმ აზნაურებისაგან, რომელთაც, ვახუშტისეული კლასიკური განმარტებით, გვარჩამომავლობის გარდა ჰქონდათ „...დაბნები და ძალედვათ გამოსვლა მარქაფითა, კარვითა და მათთა განწყობილებითა“[2]. მართალია, ამ დროისათვის უციხო და უმარქაფო აზნაური საქართველოს სხვა კუთხეებშიაც ბევრი იყო, მაგრამ მათდამი გლეხების ვალდებულება იურიდიული ნორმის სახეს ატარებდა. ბალსზემო სვანეთში ასე არ იყო. საბუთების უმრავლესობა უჩვენებს, რომ პირადი ვალდებულება XIX ს-ში აქ დაკანონებული არ ყოფილა. ერთ-ერთი ადრინდელი ინფორმატორი ამ საკითხებისა — ვლასტოვი — მაგ., წერდა, რომ ბალსზემო სვანეთის თემებში მოსახლენი უხდიან აზნაურებს ხორბალსა და ქერს წელიწადში არა უმეტეს 5 მანეთის ღირებულებისა, მაგრამ არც ბეგარით, არც პირადი სამსახურით ვალდებულნი არ არიან[3]. სხვა დოკუმენტები ამავე მდგომარეობას ადასტურებენ. მაგ., ლევაშოვი, რომელიც პირადად გაეცნო სვანეთში საქმის ვითარებას, ასევე ახასიათებს წოდებრივ ურთიერთობას[4]. მისი

---

[1] Д. Бакрадзе. Сванетия, 47.

[2] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა. ..,14.

[3] Сельское хозяйство и аграрные отношения..., II, 517—518.

[4] ЦГИА Груз. ССР, ф. ОВД, д. 7, л. 30; ЦГВИА, ф. ВУА, д. 103214, лл. 405—413; Д. Бакрадзе. Сванетия, 47; Д. Маргиани. Сванетия. Некоторые черты быта, 72; В. Тепцов. Сванетия (Географический очерк), 49; В Сванетии. Из путешествия И. Иванюкова и М. Ковальского, 609; Э. Кальвейт. Очерк сельского хозяйства верхней Сванетии, 50; С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом, 416—417; С. Авалиани. Крестьянский вопрос в Закавказье, II, 51; Сельское хозяйство и аграрные отношения, II, 524.

სიტყვით, ზოგიერთ გლეხს „უმნიშვნელო გადასახადი“ მიაქვს აზნაურებთან, მაგრამ იგი აქვე დასძენს — აზნაურებისა და გლეხების შეხვედრისა და ამ საკითხზე საუბრის შედეგად აზნაურებმა ანგარიში გაუწიეს „აშკარა სამართლიანობის გრძნობას“-ო... ე. ი. აზნაურები აიძულეს უარი ეთქვათ თავის პრეტენზიებზე გლეხების მიმართ.

მაგრამ რუსეთის მოხელეთა მტკიცება სვანეთის ამ ნაწილში ფეოდალური ურთიერთობის არარსებობის შესახებ საბუთად ვერ გამოდგება, რადგან გლეხთა „გათავისუფლება“ მნიშვნელოვან ხარჯებთან იყო დაკავშირებული. არა ერთი რუსი მოხელე, ამოდიოდა რა მთავრობის ფინანსიური ინტერესებიდან, როგორც ცნობილია, უარყოფდა პირადი და საადგილმამულო ვალდებულების არსებობას არა მარტო სვანეთში, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებშიც. საამისოდ საჭირო იქნებოდა სხვა საბუთი და ასეთად ჩვენ მიგვაჩნია ბალსზემო სვანეთის აზნაურთა განცხადება, სადაც ისინი თვითონ აღიარებენ, რომ „...В Сванетии, в отличие от прочих местностей Закавказья, у дворян не было крестьян, водворенных на помещичьей земле, а помещики имели дворовых людей, которые исполняли обязанности как домашней прислуги, так и полевых рабочих“[1].

მაშასადამე, ნათელი ხდება, რომ რეფორმის დროისათვის ვერც ერთმა აზნაურმა ბალსზემო სვანეთში ვერ წარმოადგინა სათანადო საბუთი გლეხზე თავისი უფლებების დასადასტურებლად.

პირიქით, მათ თვითონ აღიარეს, რომ ასეთი უფლებები მათ არ ჰქონიათ. მაგრამ უდავოა, რომ ბალსზემო სვანეთის მოსახლეობის ნაწილს რაღაც გადასახადი მიჰქონდა აზნაურთა სასარგებლოდ; ჩანს, გადასახადის ოდენობა რეგლამენტირებული არ იყო, და ძნელია თქმა, რას წარმოადგენდა იგი „რეგულირებული ძარცვის სისტემას“, რომელსაც მომძლავრებული გვარი იჩენდა სუსტი გვარის მიმართ, თუ ფეოდალურ გადასახადს. ამ გვარებს, როგორც ცნობილია, რიგი სხვა პრეროგატივაც ჰქონდა — გაორკეცებული წორი, გადიდებული ნაჭვლაში და სხვა, მაგრამ აქაც ბოლომდე არ არის ცნობილი, თუ ამ უპირატესობის ნიადაგს რა შეადგენდა — ძალა, ქონება თუ წოდება. ოფიციალური სტატისტიკა კი დაბეჯითებით აღრიცხავდა აზნაურებს არა მარტო ქვემო სვანეთში, არამედ ბალსზემოშიც. ამ სტატისტიკის მონაცემებით იფარის ს. ს. ბოგრეშსა და წვირმში 14 აზნაური იყო აღრიცხული, უშკულში — 1, ხოლო მესტიაში 146

[1] Сельское хозяйство и аграрные отношения..., II, 524.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მულახში 161; ლენჯერსა და კალაში, უშკულის, იფარის, ლატალის სოფლების დიდ ნაწილში არც ერთი აზნაური არ არის ნაჩვენები[1].

პირადი ვალდებულების მხრივაც ბალსზემო სვანეთში თავისებურება შეინიშნება. XIX ს-ის საარქივო მასალა და ლიტერატურული წყაროები მიუთითებენ, რომ ბალსზემო სვანეთში გარდა მოსახლეობის იმ ფენისა, რომელიც გადასახადს იხდიდა, არსებობდა მეორე ფენა, რომელსაც საბუთები უწოდებენ „дворовые люди". ლევაშოვი, მაგ. 1870 წ. აგვისტოს ერთს მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ბალსზემო სვანეთში ზოგ მოსახლეს ყავს რამდენიმე გლეხი მოსამსახურედ[2]. ხოლო ერთი წლის შემდეგ მეორე მოხსენებაში წერდა: ზოგ აზნაურს ყავს უმნიშვნელო რაოდენობის მოსამსახურე-ო[3]. ამ მერყეობას ძირითადი ტერმინების ხმარებისას იმიტომ აღვნიშნავთ ხაზგასმით, რომ ჩვენ მოგვეპოვება დ. ბაქრაძის მესამე ცნობა: ბალსზემო სვანეთში მონების ყოლა ყველას შეუძლია-ო[4]. მოსახლეობის ამ კატეგორიას ხან „მოჯალაბე"-ს უწოდებენ და ხან „ფამლი"-ს. ამ კატეგორიათა აღმნიშვნელი ტერმინების სხვადასხვაობის მიუხედავად, ყველა საბუთი შეთანხმებულად მიუთითებს, რომ მისი შექმნის წყაროს შეადგენდა, პირველყოვლისა, სყიდვა და დატყვევება. დ. ბაქრაძის ცნობა იმის შესახებ, რომ ყველას ჰქონდა უფლება ყოლოდა მონა, კარგად შეესატყვისება ცნობილ მასალას ლანტყავის შესახებ. ბალსზემო სვანეთში ყველას ჰქონდა შესაძლებლობა ყოლოდა ტყვე, მაგრამ ამის საჭიროებას ყველა ოჯახი არ გრძნობდა. ფამლის არსებობა ბალსზემო სვანეთში შესაძლებელია წარმოადგენდა პრეროგატივაზე პრეტენზიის იმ ერთ-ერთ ფორმას, რომლითაც ზოგიერთი გვარი რიგითი გვარებისაგან გამიჯვნას ლამობდა.

ფამლი შესაძლებელია დაკავშირებულია ტერმინ ფამილიასთანა[5] და ამ შემთხვევაში ოჯახში გარედან შემოყვანილ მუშახელს აღნიშნავს. საყურადღებოა ტერმინ ფამლი-ს მნიშვნელობის გარკვევისათვის ქვ. სვანეთში დადგენილი ჯალაბი-ც, რომელსაც ფამლი-ს პარალელურად ხმარობდნენ. ფამლი თუ ჯალაბ-ი თავისი მნიშვნელობით სავსებით შეესატყვისება მოჯალაბე-ს და საყურადღებოა, რომ ჩვენ ამ ტერმინს სვანეთის ოფიციალურ დოკუმენტებშიც

---

[1] Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 г., Т., 1893, 236—240.

[2] Сельское хозяйство и аграрные отношения, II, 523.

[3] იქვე, 529.

[4] Д. Бакрадзе. Сванетия, 48.

[5] М. Косвен. Семейная община и патронимия, М. 1963, 47, შენიშვნა 9.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვხვდებით ფამლის მნიშვნელობის სრული შესატყვისობით. ს. ავალიანის აღწერილობებში ეს შემდეგი სახითაა მოცემული: „...второй разряд крестьянского населения состоял из моджалабов, т. е. дворовых людей, которые исполняли личные обьязанности в домах помещиков“. შემდეგ: „Моджалабы, находящиеся в услужении в помещичьих домах, в большинстве случаев, как в Княжеской так и в Вольной Сванетии или покупались или обращались в дворовую челядь из пленников“[1].

ფ ა მ ლ ი, ჩვენს მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ადგილობრივი მოსახლეობიდანაც დგებოდა, ხოლო ტყვე კი უმეტეს შემთხვევაში საჯსარ-ის ანუ სასყიდლის მიღების წყაროს წარმოადგენდა, როგორც დადეშქელიანებისათვის ასევე სვანეთის დანარჩენი მოსახლეობისათვისაც.

დადეშქელიანები ფამლის აჭმევდნენ, აცმევდნენ, ახალგაზრდა ქალებს თვითონ ათხოვებდნენ და ქალის ოჯახს მიღებული ნაჭვლაშის ნაწილს აძლევდნენ. როდესაც ფამლი თავის ოჯახში ბრუნდებოდა, მას დადეშქელიანის სავალდებულო სამსახური მოხდილად ეთვლებოდა. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ფამლი თავის სახლში აღარ ბრუნდებოდა და თავისი სიცოცხლის ბოლომდე დადეშქელიანების ოჯახში რჩებოდა. ფამლი ასრულებდა დადეშქელიანების ოჯახში როგორც საშინაო საქმეებს, ისე საგარეოს — ხვნა-თესვასა და მესაქონლეობასთან დაკავშირებულ სამუშაოებს. საყურადღებოა, რომ სამეურნეო საქმიანობა ფამლი-ს შორის სვანურ დიდ ოჯახში არსებული ორგანიზაციის მსგავსად თითო წლით, ან სამი წლის ვადით იმავე წესით ნაწილდებოდა.

ზემოთ აღწერილი დამოკიდებულება სვანეთის მოსახლეობისა დადეშქელიანებთან სრულიად გარკვეულ ეკონომიურ დამორჩილებას გულისხმობდა. ამავე დროს აღწერილი ურთიერთობა დადეშქელიანებისა დანარჩენ მოსახლეობასთან ფეოდალური ურთიერთობის სფეროში ეკონომიური დამოკიდებულების ისეთ მხარეებს ავლენს, რომლებშიც კიდევ მოჩანს თემური საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ცალკეული წესჩვეულებები და ახალ ვითარებაში გამოყენების გამო მათში მომხდარი ცვლილებები.

რაფიელ ნიჟარაძის ცნობით „ფამლი ისეთივე გაგებით იხმარება, როგორც ქართულად ყმა. იგი უფლებრივად შეზღუდულია. მას არ შეუძლია ბატონის გარეშე სადმე წავიდეს ანდა სურვილისამებრ სამუშაო მოითხოვოს, ასეთი ფამლიები ჰყავდათ სადადეშქელიანო სვანეთში მხოლოდ თავადებს“.

ამავე დროს რაფიელ ნიჟარაძე გვაწვდის სრულიად ახალსა და საყურად-

---

[1] С. Авалиани. Крестьянский вопрос в Закавказье, II, 49—50.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღებო ცნობას ფამლის შესახებ, საიდანაც ირკვევა, რომ ზოგჯერ ფამლი შეადგენდა არა მარტო ოჯახისა, არამედ მთელი სოფლის კუთვნილებას. რ. ნიჟარაძის ცნობით: „ძველთა გარდმოცემით სოფელსაც ჰყოლია ფამლები, ეს ის პირები იყვნენ, რომელნიც ტყვეთ წამოყვანილი ჰყოლიათ ლაშქრობის დროს“. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სათემო ლაშქრობანი სვანეთში, შეიარაღებული სვიმრას სახით ახდენდნენ ნადავლისა და ტყვეების მოსაპოებლად თავდასხმას, როგორც უცხო ტომებზე ისე თავისსავე მეზობელ თემებზე, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამ გზით მოპოვებული ტყვეებისაგან იქმნებოდა სოფლის ფამლი. ეს მასალა საყურადღებოა სვანეთში სამხედრო დემოკრატიის თვალსაზრისითაც.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ფამლი-ს არსებობის ფაქტი ბალსზემო სვანეთისათვისაც დასტურდება. მაგრამ სვანეთის ამ ნაწილში ეს ურთიერთობა ზემოთ აღნიშნული ხასიათის ვალდებულებას არ შეადგენდა და განსხვავებული დამოკიდებულების სახეს ატარებდა.

ფამლი-სთან ერთად ზემო სვანეთში დასტურდება ე. წ. ქორსმერდეც. ეს უკანასკნელი სიტყვა-სიტყვით სახლში მყოფს ნიშნავს; იგი შესდგება ქორ-ისა (სახლი) და მერდე (ყოფნა)-საგან. ამდენად, ქ ო რ ს მ ე რ დ ე იმავე შინაარსისაა, რაც ზემოთ აღნიშნული მ ო ჯ ა ლ ა ბ ე.

ქორსმერდეთ გახდომის წესი შემდეგში მდგომარეობდა: ქორსმერდეთ უხდებოდა შეძლებულ ოჯახს ისეთი პირი ან ოჯახი, (ცოლი, ქმარი და შვილები), რომელსაც მატერიალურად უჭირდა. შეძლებულ ოჯახს კი ამ დროს მუშახელი ჭირდებოდა. როდესაც შემკედლებელ ოჯახს მუშახელი წამოეზრდებოდა და ქორსმერდეც ეკონომიურად მოძლიერდებოდა, მაშინ ეს უკანასკნელი ისევ თავის სახლში ბრუნდებოდა. ჩვეულებრივად ქორსმერდე თანასოფლელი იყო.

ქორსმერდე, ოჯახში შემოკედლებული ზოგჯერ ათ წლამდეც რჩებოდა და კიდევ მეტსაც. იმ შემთხვევაში, როდესაც ქორსმერდე სამ წელზე მეტს ცხოვრობდა, მას წასვლისას ხარითა და ძროხით ასაჩუქრებდნენ, ზოგჯერ დაასახლებდნენ კიდეც. ხშირად ეს ოჯახები ერთმანეთს გაყრის შემდეგაც ეხმარებოდნენ; ყოფილი ქორსმერდე ამუშავებდა ამ ოჯახის ყანას სანახევროდ ან იღებდა ტყეს მოსაჭრელად.

ქორსმერდე მოჯამაგირის მდგომარეობისაგან არსებითად განსხვავდებოდა. ეს უკანასკნელი სვანეთში ლ ი დ ი ა ნ ე-ს სახელწოდებითაა დადასტურებული. ლიდიანე ოჯახს წინასწარ განსაზღვრული ანაზღაურებით, ერთი ან რამოდენიმე წლით მიყავდა. შრომის ანაზღაურება ზოგჯერ მხოლოდ ჩასაცმელითა და საჭმელ-სასმელით ხდებოდა; ზოგჯერ კი საქონლითა და ფულითაც.

ლიდიანეს უფლება-მოვალეობანი და მისი ადგილი ოჯახში ზუსტად იყო განსაზღვრული. ქორსმერდე-საგან განსხვავებით საოჯახო საქმეების გადაწყვეტაში მონაწილეობას ის არ იღებდა. ლიდიანედ ყოფნა ხალხს სათაკილოდ მიაჩნდა და ამიტომ თანასოფლელებთან დადგომას ერიდებოდნენ, ცდილობდნენ სხვა ხევში წასულიყვნენ.

ასეთია ის ეთნოგრაფიული მონაცემები, რომელიც ეხება სვანეთში ფამლის, ქორსმერდესა და ლიდიანეს არსებობას. აქვე დასტურდება აგრეთვე ლაჭირ-იც ანუ შეხვეწილი, რაც ამ გზით უცხო პირის ოჯახში შეყვანას გულისხმობს. ლაჭირ-ი შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მოკიდებულთანაც[1].

ნ. ბერძენიშვილის მიერ მიკვლეული ტერმინი „მოკიდული" და შინაარსის მისი განსაზღვრება, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტისა, იპყრობს ყურადღებას სხვა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვითაც.

თვითონ ის ძირითადი საკითხიც, რომელსაც თავის შრომაში ნ. ბერძენიშვილი აყენებს: „კალთას მოკიდება იყო ერთადერთი წყარო მისი წარმოშობისა, თუ მოკიდების სხვა სახეობანი კიდევ უფრო ძველად არსებობდა და კალთას მოკიდება შემდეგ წარმოიშვა?"[2] ესეც შეიძლება დამატებითი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე იყოს განხილული.

ვფიქრობთ, „კალთას მოკიდება"-ზე უფრო ადრე უნდა არსებულიყო „ჭელს მოკიდება", რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების რჯულის მიხედვითაა ცნობილი. ჭელს-მოკიდება წარმოადგენდა ერთი მოდგმის ანუ ერთი მამის ხალხის გაერთიანებას საერთო პასუხისმგებლობაზე ფიცის დადების სახით[3]. ჭელს-მოკიდება იქ გვაროვნული საზოგადოების გადმონაშთების საფუძველზე შექმნილი ჩვეულებითი სამართლის ერთ-ერთი ელემენტთაგანია. ამიტომ, ამ „მოკიდებაში" შემონახული იყო უფრო ადრინდელი პრინციპი საზოგადოებრივი გაერთიანებისა, ხოლო შემდეგი დროის ინსტიტუტებისათვის, ბუნებრივია, მოკიდების ამოსავალი მომენტიც უკვე სხვა იქნებოდა.

„მოკიდებული"-სადმი მიძღვნილ ნ. ბერძენიშვილის სპეციალურ გამოკვლევაში მრავალი საკითხია დასმული. ჩვენთვის ამ შემთხვევაში განსაკუთრებით

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, „მოკიდებული"—სათვის, მიმომხილველი, I, თბ., 1949, 39—56.

[2] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. 55.

[3] რ. ხარაძე, ხევსურული რჯული. ანალები ეტ. I, 1947, 188—189. შდ., აგრეთვე ნ. ხიზანაშვილი (ურბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები. მსე, ტ. II, თბ., 1940 წ., 66.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყურადღებოა განმარტება — „მოკიდებულისა", რომელიც მას სვანურ „ლაჯირ"-თან აახლოებს. „მოკიდებულის", როგორც საზოგადოებრივი ერთეულის ძირითად განსაზღვრებას ნ. ბერძენიშვილი შემდეგნაირად აყალიბებს: „მოკიდულში იმ დასაწყის დროსვე იგულისხმებოდა, როგორც თანასწორი, ისე სოციალურად მეტნაკლებად დამოკიდებულნიც. იურიდიულად ეს უკანასკნელი კატეგორიაც თავისუფალი იყო. ესენი იყვნენ, ვინც „შვილად" შეეწყნარებოდნენ „მამაუფალს„ ანუ ვისაც შვილად „მოიკიდებდა" „მამაუფალი". ეს „შვილები", საფიქრებელია, შეადგენენ „კალთას მოკიდულთა" კატეგორიას მოკიდულის საერთო შედგენილობაში". შემდეგ ავტორი იქვე განაგრძობს: „ასე, რომ მოკიდული იმთავითვე ფართო მოცულობის საზოგადოებრივ გაერთიანებას წარმოადგენდა, მოკიდულის დამახასიათებელი იყო მისი წევრების თავისუფლება და ინტერესთა თანხმობა"[1].

სწორედ ეს განსაზღვრება, რომ „მოკიდული" წარმოადგენდა „საზოგადოებრივ გაერთიანებას", რომლისთვისაც „დამახასიათებელი იყო მისი წევრების თავისუფლება" გვაძლევს შესაძლებლობას სვანური ჯ ი რ-ი ანუ ლ ა ჯ ი რ-ი დავუახლოვოთ „მოკიდებულის" საზოგადოებრივ კატეგორიას რომელიც ნ. ბერძენიშვილის მიერ არის დადგენილი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუტებიდან უძველესად ლ ა ჯ ი რ-ი გვეჩვენება, რომელიც თავისი ხასიათით თემური საზოგადოების ბუნებას უპასუხებს.

ქორსმერდე-ც, ფამლისთან შედარებით უფრო ადრინდელი საფეხურის გამომხატველი ჩანს, რადგანაც ისეთ მკვეთრ უფლებრივ სხვადასხვაობას არ გულისხმობს ქორშარსა (ოჯახის წევრებსა) და ქორსმერდეს შორის. ხოლო ფამლი, როგორც ზემოთ დავინახეთ, გამოყენებული იყო კლასობრივ საზოგადოებაში დამორჩილებული ფენის სახითაც.

ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ „XIX ს-ის პირველ ნახევარში და ამ საუკუნის დამლევამდე თავისუფალ სვანეთში, მართალია, შემონახული იყო თემური წყობილების მნიშვნელოვანი ნიმუშები, მაგრამ ამ საუკუნის პირველ ნახევარში თავისუფალი სვანეთის ცხოვრებაში უკვე იჭრებოდა და გზას იკაფავდა ფეოდალური ურთიერთობა"[2], რომ ბალსზემო სვანეთში თავისუფალი მეთემეს დაყმევების პროცესი XIX ს. პირველ ნახევარში დაიწყო[3].

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. 55—56.

[2] რ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, კლასობრივი სტრუქტურა და სოციალური ურთიერთობა XIX ს. პირველ ნახევარში სვანეთში, „სკოლა და ცხოვრება", 1961, № 12, 70.

[3] იქვე, 71.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სვანთა საზოგადოებრივი ყოფის საკითხების გასარკვევად ფეოდალური ხანის უფრო ადრინდელ წერილობით წყაროებში გამოირჩევა XIII—XV ს. საბუთები, რომელთა შორის მოიპოვება უნიკალური ძეგლი „ჯაფარიძეთა სიგელის“ სახით და ხელნაწერთა მრავალი მინაწერი, რომლებიც ამ პერიოდის სვანთა საზოგადოებრივი ყოფის ისტორიისათვის საყურადღებო ცნობებს შეიცავენ.

„ჯაფარიძეთა სიგელი“ უაღრესად რთული დოკუმენტია[1] და მისი სპეციალურად შესწავლის გარეშე მისით სარგებლობა ხშირად გადაულახავ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მაგრამ ამ სახითაც მას გარკვეული ჩვენების მოცემა შეუძლია სვანთა საზოგადოებრივი ყოფის ისტორიის შესასწავლად. ამ დოკუმენტით უდავოდ დგინდება, რომ XV ს-ის შუაში ბალსზემო სვანეთის თემთა გაერთიანება წარმოადგენდა მნიშვნელოვან ძალას, რომლის გავლენის სფეროში შედიოდა აგრეთვე ქვემო სვანეთის ლაშხეთის ხევის საგრძნობი ნაწილი და თანამედროვე მთარაჭის მნიშვნელოვანი ტერიტორია. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, თუ როგორ „მოაჯსენეს სრულიად სვანთა“ ჯაფარიძის სისხლის წორში სარგის, აბესალომ და ვამიყ ჯაფარიძეებს“... გლოლას ზედათ, ცენას იქით, ოსეთს აქათ, სრულად მთიულეთის თემი მათით სამართლიანითა მთითა, ბარითა, საყდრებითა, წყლითა, წისქუილითა...“[2]

„ერთობილი ჴევის“ ამ მნიშვნელობის საჩვენებლად თუნდაც ის ფაქტი კმარა, რომ ეცერელი რუჩაგიანები და დადეშქელიანები ხევმა მამია დადიანთან „გაგზავნა“, რათა მათ „აჯა ეთხოვნათ“ ალექსანდრე მეფესთან, რომლის უძლიერეს იარაღს სვანთა წინააღმდეგ, როგორც ეტყობა, მხოლოდ გზის დაკეტვა წარმოადგენდა: „თუ ჯაფარიძის სისხლს გარდიჴდიანო, სუანთ გზას მივცემო...“ ალექსანდრე მეფესთან სვანეთის „სრულიად ჩენილები“ მიდიან საქმის გასარიგებლად; გეგუთში მათ „ბატონი დადიანი“ მიუძღვის; წორს ასევე „სრულიად სუანნი“ იხდიან: „დაუდევით სიგელი სუანთა და გარდაიჴადეს“.

„სუანების“ მიერ წორში მიცემულ ტერიტორიაზე გლეხიცა ჩანს და აზნაურიც, მაგრამ ბალსზემო სვანეთში, ამ საბუთის მიხედვით, არც ერთია და არც მეორე.

ამავე დროის სხვა დოკუმენტები სხვა რიგის მონაცემებს შეიცავენ. იმ მრავალმხრივ საყურადღებო მინაწერებში, რომლებიც პ. ინგოროყვას მიერ არის გამოცემული, ხშირად იხმარება „ვარგი“ და „გლეხი“, „უფროსი“ და „უმცროსი“, „უზედაესი“ და „უქვედაესი“. რა თქმა უნდა, ეს არის მტკიცედ ჩამო-

---

[1] ამ ძეგლის შესახებ იხ. ა ლ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, სვანური „ქალაქოლ“-ის საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზ. მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე“, 1962, № 3, 228.

[2] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, 33—34.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვეთილი სოციალური ნომენკლატურა, რომელიც გარეგნულად უპასუხებს საერთოდ ქართული საბუთების ტერმინოლოგიას, მაგრამ კონკრეტული შინაარსის დაზუსტებას მოითხოვს ადგილობრივი პირობების შესაბამისად.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სოციალურად დიფერენცირებული ტერმინების ასეთი დაპირისპირება შეიმჩნევა პირველ ყოვლისა იმ საბუთებში, რომლებიც ასახავენ მთელი ზემო სვანეთის, ე. ი. ერთად აღებული ბალსზემო და ბალსქვემო სვანეთის ვითარებას და ამდენად ეხებიან არა მარტო „თავისუფალ“ სვანეთს არამედ „სადადეშქელიანო“ სვანეთსაც. ასეთია მაგ., „ერთი „სამაგრობელი“, სრულიად სვანეთის ხევისა „უშკულსა და ლალვერს შუა“, რომელიც X ს-ის სახარების მინაწერის სახით არის წარმოდგენილი. თვითონ მინაწერის თარიღი დადგენილი არ არის. ამ საბუთით ირკვევა, რომ „თავისუფალი“ და „საბატონო“ სვანეთი ერთნაირად ზრუნავენ იმაზე „რაიცა საჭეოსა საქმესა უკეთ მოუჴდებოდეს“[1]. მოსახლეობის ყველა ფენა ამ საბუთში ერთნაირად არის წარმოდგენილი. საბუთი შედგენილია მთელი ზემო სვანეთის სახელით და გამოთქმა „ვარგი“ და „გლეხი“, „უფროსი“ და „უმცროსი“, ერთის მხრივ, ზემო სვანეთის ერთს ნაწილში აშკარად გამოვლინებულ სოციალურ დიფერენციაციაზე მიუთითებს, მეორეს მხრივ, როდესაც საქმე მთელი ზემო სვანეთის ინტერესებს ეხება, მათი მოვალეობების თანაბრიანობაზე ლაპარაკობს. სოციალური ტერმინების ასეთსავე დაპირისპირებას ვხვდებით ბ. ნიჟარაძის მიერ მიკვლეულ ერთ საბუთში, რომელიც ასევე მთელი ზემო სვანეთის სახელით არის დაწერილი, ყველა სოციალურ ფენას ასახავს, მაგრამ საერთო სახევო მოვალეობით ერთნაირ სიბრტყეზე აყენებს მათ.[2]

ალ. ხახანაშვილს გამოქვეყნებული აქვს რიგი საბუთი, რომლებშიაც არა ერთგზის მოიხსენება „ვარგი“ და „გლეხი“, „უფროსი“ და „უმცროსი“, „უზედაესი“ და „უქვედაესი“[3]. არა ერთი საბუთი, რომელიც მოიხსენიებს „ვარგსა“ და „გლეხს“, „უფროსს“ და „უმცროსს“, „უზედაესს“ და „უქვედაესს“ გამოქვეყნებული აქვს აგრეთვე პ. ინგოროყვას[4]. მაგრამ ეს საბუთებიც მთელს ზემო სვანეთს შეეხება და დიფერენცირებული სოციალური ტერმინების დაპირისპირებას აქაც იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ყველა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში.

ზემოხსენებულ დოკუმენტებსა და სხვა ამავე რიგის საბუთებში აღნიშ-

---

[1] ე გ. გ ა ბ ლ ი ა ნ ი. თავისუფალი სვანეთი, თბილისი, 1927, 74—75.

[2] ბ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ე, სვანეთის ხელთნაწერები. სახარებანი, „მოამბე“, № IX, 1904.

[3] А. Хаханов. Сванетские рукописные Евангелия, 28.

[4] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, 4 და სხვ.

ნული „ერთობილი ჭევი“ ან „სრულიად სუანეთი“ — უშკულსა და ლალვერს შუა — მთელს ზემო სვანეთს მოიცავდა[1]“. ამ დოკუმენტების შედგენის დროისათვის ბალსზემო და ბალსქვემო სვანეთი განსხვავებულ ვითარებაში იმყოფებოდა. მაგრამ ზემო სვანეთს, მიუხედავად იმ პოლიტიკური განსხვავებისა, რომელიც ახასიათებდა მის ზემო და ქვემო თემებს, საერთო ინტერესებიც ჰქონდა და ეს ორივე კუთხე ზემო სვანეთისა—დოკუმენტების ერთობილი ჭევი — ერთნაირად ზრუნავდა იმაზე „რაიცა საჭეოსა საქმესა უკეთ მოუჴდებოდეს“. ბალსზემო სვანეთის თავისუფალი მეთემე და ბალსქვემოს „ვარგი“ და „გლეხი“ საერთო სახევო საქმეებში თანაბარ მოვალეობას იღებდნენ. მაგრამ საერთო გასაჭირის წინაშე მათი გათანაბრება წოდებრივ გათანასწორებას არ ნიშნავდა, და საბუთის დამწერი იმ ტერმინოლოგიას მიმართავდა, რომელიც პირველყოვლისა ბალსქვემო სვანეთს შეეხებოდა, თუმცა არც ბალსზემოსათვის იყო უცნობი. ამ რიგის დოკუმენტი საერთოდ ბალსქვემოური დოკუმენტების კვალობაზე იქმნებოდა, რომელიც თავის მხრივ საქართველოში საყოველთაოდ ცნობილ ფორმულებს მისდევდა. მაგ., XIV—XV ს-ის ერთ საბუთში, რომელიც ბალსქვემო სვანეთს შეეხება ვკითხულობთ: „... მთავარ ანგელოსისა მხერისა თაუს დებობითა და შუვამდგომელობითა დაუწერეთ და დაუდევით დაწერილი ესე ჩვენ ერთობილმან ლაჰილისა სოფელმან, ერთმან ერთისა ნდომითა და დამოწმებითა, მტკიცე და უქცეველი, ყოულისა მიზეზისაგან უმიზეზო...“[2]

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამ დროისათვის ბალსზემო სვანეთი ყოველგვარი სოციალური დიფერენციაციის გარეშე იდგა, რომ ფეოდალიზაციის პროცესი სვანეთის ამ კუთხეში მხოლოდ XIX ს-ში შეიჭრა, რომ აქამდე ბალსზემოური სვანები გვაროვნული წყობილების ნიადაგზე ვითარდებოდნენ? რა თქმა უნდა, არა. გამოქვეყნებული საბუთები თვალნათლივ მიუთითებენ, რომ სოციალური დიფერენციაციის პროცესი ზემოთ მოყვანილი საბუთების შედგენის პერიოდისათვის დიდი ხნის დაწყებული იყო, რომ ზოგიერთი ამ დროის საბუთი თავისუფალი მეთემეს გაგლეხების ფაქტს ასახავს.

XV ს-ის ერთი საბუთით უზბეგ და არღონ იოსელიანები დემეტრე სეტიელს „სამოკეთოდ“ აძლევენ დაწერილს: „... მას ჟამსა, ოდეს მოგინდა (?! ავტ.) ჩუენთა ჭელთა [გლეხად] ყოფაი. და ჩუენ წყალობაი გიმედეთ. აწ დღისითაგან წაღმა თქუენთუის კარგი ვიყოთ, რაიც თქუენსა საქმესა უჴობდეს იგი მოვიჭიროთ, არაი და (გა)-კლოთ, ვითა ჩუენსა გლეხსა ეგრე დაგადგეთ, თქუენი თა-

---

[1] რ. ხ ა რ ა ძ ე. სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, 165 და შმდ.

[2] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, სვანეთის საისტორიო ძეგლები II, 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი საუსამართლოდ და სამაჯნოდ არაი ვის მივანებოთ...“[1] ამავე დროის სხვა დოკუმენტი ამბობს „...იოსელიანმან და მისმან კაცმან...“[2] XV ს-ის მეორე ნახევრის ერთ დოკუმენტში აღნიშნულია „...რაც იოსელიანსა და მათ ყმათა სიგელი უდს“[3]. ჩანს, „სამოკეთოდ“ დაწყებული საქმეები „დაყმევებით“ მთავრდებოდა, რაც სათანადო დოკუმენტებითაც იყო გაფორმებული. XV ს-ის მეორე დოკუმენტი მოიხსენიებს ვინმე ჯაფარიძეს თავის „ყმისად“[4].

თუ რა პირობებში წარმოებდა ეს „მოკეთობა“, კარგად ჩანს მეორე სეტიელის მიერ მოცემული დოკუმენტიდან. ამ დოკუმენტით ივანე სეტიელი და მისი ძმა არჯევანი სთხოვენ პირნათელ ჯაფარიძეს „შენი მტრის მტერი ვიქნებით და მოყვრის მოყვარეო“. ამასვე პირდება ჯაფარიძე სეტიელს, მაგრამ სეტიელმა ჯაფარიძეს „ასისა თეთრისა სათიბი სამოკეთილოდ მოახსენა“, მაშინ როდესაც ჯაფარიძე სეტიელს დაპირდა „თუ რაი შემვედრო — შეგინახო“-ო[5].

ამავე დროის ზოგი სხვა საბუთიდან ჩანს, რომ მეთემეს ვალდებულება ამა თუ იმ ოჯახის მიმართ არ არის ჩამოკვეთილად დადგენილი. მაგ., მჯაფრიანი „უბოძებს“ ხერგიანს „მტკიცესა და უქცეველს“ „თუ ხერგიანი ასი მოსახლე იყოს, ამ ორი საკლავის მეტი არა ჰმართებდეს“-ო[6]. მაგრამ მეორე საბუთით იმავე მჯაფრიანმა ვინმე მუტვილიანს და მის შვილებს დაუწერა „...ერთი ცხუარი ბეგარა, ერთი მგზავრობაი საჯამაგიროს იყოს, ერთი ხამი, სამი ნადობა უკუნისამდე“[7].

ამ დროის დოკუმენტებში ფიქსირებულია შემთხვევა გარკვეული გადასახადის ზევით დამატებითი გადასახადის მოთხოვნისა: „ღმრთისა თავსდებობითა, ჭიდს იქით არა გთხო(ო) ერთი საკლავისგან მეტი“[8]; ჭიდ სვანურად მისატანს ნიშნავს (ლიჭდე — მიტანა-მოტანა).

ცალკეული დოკუმენტები, რომლებიც ბალსზემო სვანეთს შეეხება, ასევე მოიხსენიებენ „ვარგთა და გლეხთა“, „დიდთა და მცირეთა“ ბალსქვემოური დოკუმენტებისათვის დამახასიათებელი ფორმულების შესაბამისად[9] და ჩანს მათი გავლენით.

---

[1] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, 14.

[2] იქვე, 43.

[3] იქვე, 15.

[4] А. С. Х а х а н о в. Сванетские рукописные Евангелия, 27

[5] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, 13.

[6] იქვე, 15.

[7] იქვე, 16.

[8] იქვე, 16.

[9] იქვე, 53—54 და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოთ მოყვანილი დოკუმენტები თვალნათლივ მიუთითებენ, რომ XV ს-ის ბალსზემო სვანეთში სოციალური დიფერენციაციის პროცესი გარკვეულ სახეს ატარებს; ეს პროცესი სვანეთის ამ ნაწილში, ისევე როგორც საქართველოს მაღალმთიანეთის სხვა რაიონებში, გულისხმობდა კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებას და ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებას სოფლის თემის არსებობის პირობებში. მეთემეთა გაგლეხება ამ დროს საქართველოს მაღალმთიანეთის ამ ნაწილში ეპიზოდურ და სპორადულ ხასიათს ატარებდა. ხერგიანთა ძლიერი გვარი მედგარ წინააღმდეგობას უწევს მჯაფრიანს, მაგრამ მუტვილიანი ამავე მჯაფრიანის მიერ მტკიცედ არის დაბეგრილი „უკუნისამდე". რა თქმა უნდა, მრავალი ხევის მოსახლეობა ინარჩუნებს თავისუფლებას და მედგარი ბრძოლის წყალობით გაგლეხებას თავს არიდებს. ამიტომაა, რომ XV ს-ში ერთობილი ხევი, როგორც ბალსზემო სვანეთის მეთემეთა გაერთიანება, იმდენად ძლიერია, რომ ფაქტიურად წარმოადგენს სვანეთის ამ ნაწილის წამყვან პოლიტიკურ ძალას, რომელიც თანასწორუფლებიანობს ბალსქვემო სვანეთის სამთავროსთან, თავის გავლენას ავრცელებს ქვემო სვანეთის აღმოსავლეთ კუთხეზე და მთარაჭაზე. მართალია, სამეფო ხელისუფლებასთან დაპირისპირებაში „ერთობილი ხევი" დამარცხდა; მან დაკარგა თავისი გავლენა ლაშხეთსა და რაჭაში; იგი იძულებული გახდა ჯაფარიძის სისხლის წორში დიდი ქონება გადაეხადა. მაგრამ ბალსზემო სვანეთის ფარგლებში მან თავისი მნიშვნელობა დიდხანს შემოინახა, რადგან ფეოდალური მონარქიის ცენტრალური ხელისუფლების მოშლის დროისათვის ბალსზემო სვანეთში იგი წარმოადგენდა ისეთ საზოგადოებრივ ძალას, რომლის ლოკალური მნიშვნელობა ცენტრალური ხელისუფლების მოშლის შემდეგ კიდევ უნდა გაზრდილიყო.

ამ პროცესის გაგებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მემატიანის ცნობას გიორგი III-ის ერთი ლაშქრობის შესახებ, რომელმაც ისე გამოიყვანა ჯარი ალყიდან, რომ „... არა დიდებული, არა აზნაური, არა ვარგი და საცნაური აზნაურის ყმაცა დაკლებულ იქმნა მათ ლაშქართა შინა"[1]. წოდებათა ამ დაღმავალი თანმიმდევრობით ისტორიკოსი წარმოაჩენს სოციალური იერარქიის სრულიად გარკვეულ სისტემას, რომელშიაც ვარგი ჯერ კიდევ არ არის აზნაური, მაგრამ არც ყმათა კატეგორიას განეკუთვნება.

ნ. ჩიმაკაძის ცნობით ვარგ-ი სვანეთში მხოლოდ თავადს ეწოდებოდა[2].

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამ., თბილისი, 1959, 14.

[2] ნ. ჩიმაკაძე. თავისუფალი სვანეთი, ძველი საქართველო, II, თბ., 1913, 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. სტოიანოვი კი აღნიშნავდა, რომ ვარგი იქ, როგორც თავადს, ისე აზნაურს უდრიდა — „Варг—князь, дворянин“[1].

საკითხის გარშემო არსებული ეთნოგრაფიული მასალა საყურადღებო მონაცემებს შეიცავს.

ბოლო ხანებში ადგილზე ჩატარებულმა მუშაობამ ნათელი გახადა, რომ ბალსქვემო სვანეთში დადეშქელიანების იქ გაბატონებამდე არსებობდნენ ისეთი დიდი გვარები, რომლებიც დადეშქელიანების მსგავს ფეოდალებად არ ითვლებოდნენ, მაგრამ სხვებთან შედარებით ეკონომიურად უფრო ძლიერ გვარს წარმოადგენდნენ და **ვარგ**-ებადაც იწოდებოდნენ. ასეთებად ეცერში მაგალითად, პირველ რიგში უნდა იყვნენ დასახელებული რ ე ჩ ე გ ი ა ნ ე ბ ი ანუ რ ი ჩ ქ ი ა ნ ე ბ ი, რომლებიც XV საუკუნეში დადეშქელიანებს თანდათანობით ამოუხოციათ. რეჩეგიანისა თუ რ უ ჩ ა გ ი ა ნ ი ს სახით ეს გვარი იხსენიება სვანეთის XIII საუკუნის ხელნაწერებში, იგი „მატიანე სუანეთისა კრებისაი“ -ში ეცერის გვარების ჩამოთვლისას ნახსენებია ცხრაჯერ[2]. ამ რიჩიგიანებს იხსენიებს ბ. ნიჟარაძეც სვანური ფოლკლორული მასალების მოყვანისა და განხილვისას, როდესაც წერს: „თითონ სიმღერის ერთი ადგილი ამბობს, რომ სორთმანის დროს ეცერში შვიდი კერია (იშგვით კერა), ე. ი. მეკომური რიჩგიანები, რომელთაც სიმღერა რიჩეგვიანებს ეძახის, სცხოვრობდნენ და სორთმანის მებრძოლი ძმებისა, ვიცბისა და მაცბი დოლელებისაგან რიჩიგიანები დაიღუპნენ“[3]. ჩვენს მიერ ეცერში ჩაწერილი გადმოცემების მიხედვითაც, სანამ დადეშქელიანები სვანეთში მოვიდოდნენ, შვიდი მოსახლე რეჩკიანები ანუ რეჩეგიანები იყვნენ ეცერის ვ ა რ გ-ე ბ ი, და ყველანი ესენი სოფელ ლადრერში ცხოვრობდნენ. უკანასკნელი მათ შორის სორთმან რეჩეგიანი ყოფილა, რომელიც ხალხისაგან გამორჩეულ ორ განთქმულ ვაჟკაცს ვიცბილსა და მაცბილს მოუკლავთ. ისინი შეხიზნულან რეჩეგიანების კოშკში და სამი წელიწადი იქ მჯდარან. როდესაც სორთმანისათვის მარტო მოუსწრიათ წინ ტელაფ-ზე (დეფანზე) რომ მჯდარა, მაშინ მოუკლავთ. მერე შეკრებილა ხალხი და დარწმუნებულა, რომ სორთმანს მართლაც სული დაულევია. ამის შემდეგ რეჩეგიანების მიწას დადეშქელიანები დაპატრონებიან და იქ პაკელიანების ნახაშერების შტო დაუსახლებიათ. რეჩეგიანების ძველი ნასახლარი, რომელზედაც ჩვენ ადგილზე მიგვითებდნენ, ახლაცაა იქ შერჩენილი. შემდეგში დადეშქელიანებს რეჩიგიანების ნასახლარზე

---

[1] А. Стоянов. Образцы сванской народной поэзии, СМОМПК, X, Т. 1896, 37.

[2] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, დასახელებული ნაშრომი, 74—75.

[3] თავისუფალი სვანი, იალბუზის გარშემო, „ივერია“ 1889, № 100.

იმიტომ დაუსახლებიათ სხვადასხვა გვარის ხალხი: პაკელანები, აფრასიძეები, სტეფლიანები — რომ შეშინებიათ ერთის რომელიმე გვარის გაძლიერებისა, რადგანაც იქ კარგი მოწყობილი კუთხე ყოფილაო, ნათქვამია ბოლოს ჰარაკ-სა ანუ გადმოცემაში.

ბალსქვემო სვანეთში დადეშქელიანების გაბატონების შესახებ სხვადასხვა გადმოცემა არსებობს, ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით ფუთა დადეშქელიანი დათვის კვალს გამოჰყოლია ეცერში. „ფუთა კარგი მოჭიდავე ყოფილა, მთელი ეცერი შეკრებილა, აურჩევიათ კარგი მოჭიდავეები და ფუთასათვის უთქვამთ თუ ამ ჩვენს არჩეულ მოჭიდავეებს ყველას წააქცევ, მაშინ ეცერში დაგასახლებთო, მართლაც ფუთას ყველა წაუქცევია; ხალხს მოსახლიდან თითო ცხვარი გამოუყვანია, საღამოს ეს ცხვრები გაუშვიათ და ასეთი პირობა დაუდვიათ, რომ დილით, სადაც ამ ცხვრებს დაიჭერდნენ იქ აუშენებდნენ ფუთას სახლს. ცხვრები დილით ბარშში უნახავთ, იქ სადაც შემდეგ დადეშქელიანის სასახლე იყო აშენებული. ფუთას მთელი ეცერი დახმარებია სახლის აგებაში; ფუთას ეცერის ბაპის ქალი შეურთავს ცოლად და თანდათანობით ეცერის მიწა-წყალზე გაძლიერებულა“.

იმის შემდეგ, რაც ბეჩოსა და ეცერში დადეშქელიანები მომაგრებულან, ამ თემების უფროსებიც ესენი გამხდარან და ყველაფერს უკვე თვითონ განაგებდნენ. ეს გარემოება მანამდე არსებული თემური მმართველობის წესებსაც შეხებია. თუ თემში ერთმანეთში მკვლელობა მოხდებოდა, დადეშქელიანები დამნაშავეს ბორკილებს ადებდნენ და ზოგჯერ საკითხს ხალხის მიერ არჩეულ უხუცესთა საბჭოს — მ ო რ ვ ა რ-ის გარეშეც წყვეტდნენ.

დადეშქელიანებს ხალხი შემდეგი ეპითეტებით მიმართავდა: ფ უ ს ტ[1], მ ა ხ ვ შ, ბ ა ტ ო ნ ი, რაც ვარგ-ების მიმართ არ ითქმოდა.

ჩვენს მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალით ბალსქვემო სვანეთში რეფორმამდელ პერიოდში გლეხი უხდიდა ბატონს როგორც შრომით, ასევე პროდუქტებით გადასახადს. ამ გადასახადს გარდა, საადგილ-მამულო გადასახადი წარმოადგენდა ე. წ. ჭიდ-ს, რომლითაც აღინიშნებოდა აგრეთვე ბატონისათვის საქორწინო მისართმევი; ამის გარდა, იცოდნენ ბატონის ოჯახის წევრის გარდაცვალებისას შესაწევარის მიტანა, რომელსაც ეწოდება ნ ა წ ვ ა ნ უ ნ. საყურადღებოა, რომ ჭიდ და ნაწვანუნ წარმოადგენდა რიგით მეთემეთა შორის ურთიერთდახმარების ფორმებს, რომლებიც ძველთაგან მოქმედი ინსტიტუტი არის. ჩანს, ამ შემთხვევაშიც ჩვენ საქმე გვაქვს ტიპიურ მოვლენასთან, რო-

---

[1] ტერმინ ფუსტ-თან დაკავშირებით იხ. Н. Марр. Извлечение из сванско-русского словаря, 30; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, III, 1959, 130—135.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დესაც ფეოდალური საზოგადოება თავისი მიზნით იყენებს თემური საზოგადოების მიერ შექმნილ ფორმებს, ე.ი. იმ საზოგადოების ტრადიციებს, რომლის ნანგრევებზედაც იგი ყალიბდება.

სოფლის წისქვილების დიდი ნაწილი დადეშქელიანის საკუთრებას შეადგენდა. წისქვილის გადასახადს დადეშქელიანს წელიწადში ერთ მანეთს უხდიდნენ. მაგრამ, ამასთან ერთად, პრაქტიკაში იყო გლეხთა ცალკეული ჯგუფების მიერ საკუთარი წისქვილების მშენებლობა. ის გლეხები, რომელთაც ასეთ წისქვილებში წილი არ ედოთ და არც საბატონო წისქვილებით სარგებლობდნენ, იხდიდნენ მინდს (ნალქვირ).

შრომით ვალდებულებას შეადგენდა შეშის მოჭრა-მოტანა, ნადობში მონაწილეობა (სვ. ნოდი) ხვნის, მკის და თიბვის დროს (როდესაც მუშის გამოკვება დადეშქელიანის ხარჯზე ხდებოდა, მაგრამ საუზმეს მუშა თავის სახლში ჭამდა); მშენებლობის დროს დახმარება (გალდამი) და სხვ.

შიდა-საოჯახო სამუშაოებისათვის, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დადეშქელიანებს ყავდათ ფ ა მ ლ ი.

ლატალი, სადაც ჩარკვიანები სახლობდნენ, ძველთაგან იყო ცნობილი ბალსზემო სვანეთის ერთ დიდ და სახელგანთქმულ ხევად: მას დასავლეთით სადადეშქელიანო სვანეთი საზღვრავდა და ეს გარემოება მას სხვა თემებთან შედარებით უფრო მეტად რთულ მდგომარეობაში აყენებდა. ეს თემი, რომელიც ათ სოფელს აერთიანებდა, თავის შიგნით ორ ნაწილად იყოფოდა; ლექვა ლატლი (დასავლეთ ლატალი) და ლეჟა ლატლი (აღმოსავლეთ ლატალი). დასავლეთ ნაწილს ლატალისას უწოდებდნენ აგრეთვე ჰ ო ყ უ ლ დ ა შ ს. მასში შედიოდა შემდეგი სოფლები: იფხ, ლეშუკ, სიდიანარ, შყალერ, მაცხვარიშ, კვანჭიანარ და ლაჰილ. ლეჟა ლატლის ეკუთვნოდა შემდეგი სოფლები: ჲენაშ, ლახუშდ, სგობულდ. ლატლის ხევის ვ ა რ გ-ებად ჩარკვიანები ითვლებოდნენ. მათ ჰქონდათ ყველაზე უკეთესი და მეტი მიწა. ასე მაგალითად, ლატალის საუკეთესო სახნავ მიწას ე. წ. ტ ე ბ დ ი ა შ ი წარმოადგენდა და ის მთლიანად ჩარკვიანებისა იყო. ჩარკვიანების ძალმომრეობა დანარჩენ მოსახლეობაზე შემდეგში გამოიხატებოდა: ნადის სახით არსებული მოხმარება მათ სავალდებულოდ აქციეს, რაც უკვე თემის წევრებისათვის სამაგიერო მოხმარებას გამორიცხავდა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც თემიდან ჩარკვიანის ნადში ვინმე მონაწილეობის მიღებაზე უარს იტყოდა, მისი ოჯახიდან ხარი უნდა გამოეყვანათ და დაეკლათ. ამავე დროს ჩარკვიანები საგვარმეტო წორს და გაორკეცებულ ნაჭვლაშს მოითხოვდნენ.

